

კ. ოქთხელის და ამზ. წიგნის მაღაზის გამოცემში.

30 ԳԵՂԵ-ԱԿՏՈՒՏՈ

## ყრმათათვის ნამშლბი

## 3. ማመልከት-ወጪ



## შოთა რესთაველი

二 一九一四二

16 JUN 1969  
negative 3  
16 JUN 1969  
negative 3



კ. ოცხელის და ამს. წიგნის მაღაზიის გამოცემა.

309 ԵՐԵՎԱՆ-ՑԱՀՈՐԵԿԱՆ

კურმათათვეის; ნაამბობი  
გ. იოსეელიანის-მიერ.



## ପେଟା ହୃଦୟରେ କିମ୍ବା ପାତାରେ



seinen Söhnen und den Kindern der Söhne  
wollt wohnen auf dem Lande z. n. 246 m.  
Geboren.

3 0 3 6 n 6-8 y a m b a 6 n

ყრმათათვის ნამბობი.

I

## ამბავი როსტევან მეფისა

არაბეთში ცხოვრებდა შეფე როსტევან. ეს დიდებული შეფე იყო თავდაბალი, უხვი, მოწყალე, სამართლიანი მმართველი და მრავალი ლაშქრის პატრონი. ამასთან ის იყო შეუდარებელი მეომარი და მეტად კარგი მოლაპარაკე. მეფეს შვილად ერთად-ერთი ასული ჰყავდა—თინათინ, რომელიც ისე-თი ლამაზი და მშვენიერი იყო, რომ მზეც-კი ვერ შეედრებოდა.

როსტევან რომ მოხუცდა, თავის ქალის ტახტზე დასმა, გადასწყვიტა. იხმო ვეზირები, დაბრძანდა ტახტზე, ისინიც გვერდით მოისვა, ტკბილად დაუწყო, საუბარი. და ბოლოს ასე უბრძანა:

„მე გარდავსრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო მნელია; დღეს არა, ხვალე მოგვედრი, სოფელი ასე მქმნელია, რაღაა იგი სისათლე, რასაცა ახლავს ბოლოს; ჩემი ქა დაგვიგათ ხელმწიფელ, გისკან შზე საწყნელია.“

ვეზირებს ეწყინათ. მოხუცი მეფე ძლიერ უყვარდათ, სხვის კარგს მისი ავიც-კი ერჩივნათ და არ უნდოდათ მისი გადადგომა ტახტიდგან, მაგრამ მაინც უარი ვერ ჰყადრეს, დათანხმდენ და მოახსენეს:

„ରୂପା କୁଳିର କ୍ଷେତ୍ରମିଳିଯୁଦ୍ଧ,  
ଶାରତ ଭୟତିରେ ଦେବାଦୀରିବା...  
ଲୋକର ଭାବିରେ କ୍ଷେତ୍ରର,  
ମୃତ୍ୟୁ ନେତ୍ରରେ କ୍ଷେତ୍ରର“.

ამ გვარად შეფეხ და ვეზირებმა გადასწყვიტეს თინათინის ტახტზე აყვანა.

შეფეხ როსტევანს სპასპეტად (ჯარის უფროსად), ყავდა აუთანდილი, რომელიც ისე უყვარდა, როგორც ღვიძლი შვილი. თვით აუთანდილიც დიდის კაცის შვილი იყო. მისთანა ტანადი, მშვენიერი და ყოჩალი ჭაბუკი მთელს არაბეთში არ მოიპოვებოდა. ახალგაზდა აუთანდილს გულში თურმე შეფის ჭალის—მშვენიერის თინათინის სიყვარული ჩავარდნოდა და სულ მის ნახვასა და ცქერას ნატრობდა. ამიტომაც თინათინის გამეფეხბა ძლიერ იამა. ეხლა მაინც ხომ ხშირად ენახავ და მისი ცქერით დაესტკბებიო, ჰფრის მფრინავი.

შეფეხ როსტევანმა ბრძანება გასცა მთელს არაბეთში:

„თინათინ ჩემი ხელმწიფულ დავსვი მე, შისტან შშობულმან; მან განაჩათლენეს უოველნი, ვით შემან შანათობელმან!

შოდით და ნახეთ უოველმან, შემსხმელმან, შემსმებელმან“

მთელი არაბეთის დიდკაცობა და ლაშქარი შეიკრიბა სასახლეში. ყველაფერი რომ მზათ იყო, მოხუცმა შეფეხმ გამოიყვანა თავისი მზეთუნახავი ჭალი, დასვა ძვირფას სამეფო ტახტზე, თავზე გვირგვინი დაადგა, ხელში სკიპტრა მისცა და სამეფო სამოსელით შემოსა. მშვენიერი თინათინ კიდევ უფრო გამშვენიერდა და იქაურობას სხივი მოპფინა. ყველაზე უწინ მოხუცმა შეფეხმ ჰსცა თაყვანი, მიულოცა გამეფეხბა და დალოცა. შემდეგ სხვებმა ჰსცეს თაყვანი, მიულოცეს და ქება შეასხეს. როგორც-კი მილოცვა გათავდა, გაისმა სხვა-და-სხვა საკრავების ხმა და იწყო საერთო მხიარულება.

ნადიმობის დროს თინათინმა მოიწყინა. მამის მოხუცება გაახსენდა, თავის თავი ლირსად არ მიაჩნდა, მის ნაცვლად ტახტზე ასულიყო, გული ამოუჯდა და მშვენიერი თვალები მარგალიტის ცრემლებით აევსო. მამა მივიდა, ეალერსა, და უთხრა: ნუ სტირი, ჩემო კარგო, დღეს არაბეთი შენია, იყავ მოწყალე ყველას თავი შეაყვარე, როგორც მზე ერთგვარად

ანათებს და ათბობს ვარდსა და ნაგავს, შენც ეგრე გებრა-  
ლებოდეს დიდი და პატარა. აი თვით მისი სიტყვები:

„ვარდთა და ნეხეთა ვინადგან შზე სწორედ მფუფინების,  
დიდთა და წვრილთა წეალება შენცა ნუ მოგეწუინების..

ასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია.

მამის დარიგებას ქალი გულდასმით ისმენდა, ყურს უპყრობ-  
და და გულში იმარხავდა. გაიმართა ლხინი და ქეიფი. მეფემ  
მეტად მოილხინა. ქალმა აღასრულა მამის დარიგება. გააღე-  
ბინა სალარო და საჭურჭლენი და იმდენი აუარებელი სხვა-  
და-სხვა გვარი საჩუქრები გასცა, რომ არ დარჩენილა ცარი-  
ელი არც კაცი და არც ქალი. ლხინი დიდხანს გაგრძელდა.

ერთს დღეს, ნაღიმობის დროს, როცა ყველანი მხია-  
რულობდენ, როსტევან მეფემ ერთბაშად მოიწყინა და თავი  
ჩაჰვიდა. ამ ამბავმა ყველანი გააკვირვა. სტუმართ დაიწყეს  
ცილობა, ნეტამც რა უმძიმს მეფესაო. სუფრის თავში მისი  
გაზრდილი ავთანდილი და უხუცესი ვეზირი სოკრატი ერთად  
ისხდნენ. მათ მოინდომეს მეფის გამხიარულება. ადგნენ, აივ-  
სეს ჭიქები, მეფის წინ მუხლი მოიყარეს და ხუმრობით მო-  
ახსენეს;

„დაგიდრეჯია, შეფერ, აფარ გიცინის ჰირით,  
შართალ ხარ,—წახდა საჭურჭლე თქვენი მძიმე და ქვირით;  
უველას გასცემს ასული თქვენი, საბოძვარ—ხშირით,  
უოლამცა მეფედ ნუ დასვი, თავსა რად უგდე ჭირით“

მეფემ რომ ეს მოისმინა, გაეცინა და გაკვირდა, სი-  
ძუნწის შეწამება როგორ მკადრესო. მაგრამ ხუმრობა მოე-  
წონა და ბრძანა: „სტუუის ვინც სიძუნწეს მწამებსო.. მე  
ის მაწუხებს, რომ მოვხუცდი და არავინა მყავს ისეთი,  
ვისაც ჩემგან ესწავლოს სამამაცონი ზნენიო, ან შგვანდეს  
მშვილდოსნობაში, ან კიდევ ბურთაობაშიო. ჩემი გაზრდილი  
ავთანდილი მარტო ცოტად თუ წამაგავსო“. .

ავთანდილმა რომ ეს მოისმინა, გაეცინა და თავი ჩაღუ-  
ნა. მეფემ ჭიოთხა: „რას იცინიო“

ავთანდილმა ჰკადრა: „მოგახსენებ, მხოლოდ ჯერ პირობა მიბოძე, რაცა გკადრო, არ გეწყინოს, არ გარისხდე, არ გაწყრეო“.

მეფემ პირობა მისცა და თინათინის მზე დაიფიცა, ავთანდილმა მოახსენა: „სანაძლევო დავსდვათ, ჯარი მოწმედ დავისწროთ, გავიდეთ და, აბა ვსცადოთ, ვინ აჯობებსო“

მეფეს იამა და სიცილით უბრძანა; არ შეგარჩენ მაგ კვეხნასო: ხვალვე წავიდეთ, ვინადიროთ, მოწმებიც თან ვიახლოთ და შაშინ ვნახავთ, ვინცა სჯობსო. ავთანდილი დაპყაბულდა და ასეთი სანაძლევო დასდეს: „ვინცა იყოს უარესი თავ-შიული სამ დღეს ვლიდეს“.

ამის შემდეგ მეფე კვლავ გამხიარულდა! იწყეს ხუმრობა, სიმღერა და თამაში. ნადიმი რომ გათავდა, მეფემ მონადირეთ უბრძანა, მინდორი მოიარეთო, ნადირი მიიქვლიეთ და გამოლალეთო.

დილით ავთანდილი სასახლეში ადრე მივიდა.. ძვირფასს ცხენზე იჯდა და მშვენივრად გამოწყობილი იყო. მეფეც შეჯდა ბედაურზე და წავიდნენ დიდის ამაღლით. მეფემ ბრძანა, თორმეტი მონა ჩვენ გვახლდენ, შვილდ-ისარი მოგვაწოდონ, ნასროლი დათვალონ და ნაკრავიც შეადარონ.

გაიმართა ნადირობა, აუარებელი სხვა და სხვა გვარი ნადირი მოაწყდა. მეფე და მისი გაზრდილი ერთმანეთს ეჯიბრებოდენ. მინდორი ნადირის სისხლით შეღებეს და მთელი ველი გაირბინეს. შეშინებული ნადირი წინ გაირევეს და წყლის ნაპირს მიაღწიეს. წყლის იქმთ კლდე იყო და ნადირი მას შეეფარა, სადაც ცხენი ვერ მიუდგებოდა.

ნადირობა გათავდა. მეფე და ავთანდილი წყლის პირას ჩამოხდნენ. ორნივე ძლიერ დალლილნი იყვნენ და ერთმანეთს ეხუმრებოდენ: „მე გაჯობეო“. მხლებლები რომ მოგროვდნენ, მეფემ მათ უბრძანა: „მართალი სთქვით, არ მოგვერიდოთო“. მათაც ჰკადრეს: ავთანდილმა გაჯობაო: ორივემ ათასი დახოცეთ, მაგრამ მან ოცით მეტი მოჰკლაო და არც ერთჯელ

არ დაუცილებია; თქვენი ნასროლი ისარი კი ბევრჯელ მიწით ვნახეთ გასცრილიო. მეფეს ძლიერ გაეხარდა, იამა თავისი გაზრდილის ჯობნება. ამ ღროს ლაშქარიც მოგროვდა და მეფესა და ავთანდილს გარს შემოერტყა. გამზრდელი და გაზრდილი მამა-შვილივით ხუმრობდენ და მხიარულობდენ.

## II

### ვეფხის-ტყაოსნის ნახვა:

როსტევან. მეფე და ავთანდილ რომ წყლის პირად ისხდნენ, საკვირველი რამ ნახეს. მოშორებით წყლის პირად ერთი ვილაც მშვენიერი ვაჟ-კაცი იჯდა და მწარედ სტიროდა. გარედან მას ვეფხის ტყავი ეცვა და ასეთივე ჭუდი ეხურა. ხელში მკლავის უმსხოსი მათრახი ეჭირა და გვერდით შავი ტაიში (ბედაური) უდგა. მეფეს გაუკვირდა და ამბის შეტყობა ისურვა. ერთი მონა გაგზავნა და უბრძანა, აქ მიხმეო. მონაც მივიდა და მოახსენა, მეფე გიბრძანებსო. მაგრამ ვეფხის-ტყაოსანი ისე იყო შეპყრობილი თავის დარდით და ნალველით, რომ სხვა ალარა ესმოდა-რა ქვეყანაზე; მეფის მონას ხმაც არ გასცა. მონა დაბრუნდა და პასუხი არა მოიტანა-რა. მეფემ იწყინა, თორმეტი კაცი გაგზავნა და უბრძანა აქ მომვარეთო. ვეფხის-ტყაოსანს რომ აბჯრის ჩხრიალი შეესმა, შეკრთა, თავი მაღლა აიღო; ცრემლები მოიწმინდა, მსწრაფლ მოახტა თავის ცხენს და გასწია. მეფის კაცებმა შეპყრობა დაუპირეს, მაგრამ საწყლები სულ ერთიანად დახოცა. ვისაც-კი მათრახი გადაჰკრა, მკერდამდის გააპო. მეფე ძლიერ გაჯავრდა და მდევარი გაგზავნა. მაგრამ ვინც-კი დაეწია ვეფხის-ტყაოსანს, წუთი სოფელს გამოასალმა. მაშინ თვით მეფე და ავთანდილი შეჯდენ ცხენზე და დაედევნენ. ვეფხის-ტყაოსანმა სტყორცნა თავის ცხენს მათრახი და ისეთი გააჭენა, რომ ერთბაშად გაქრა. ვერავინ მიხვდა, ქვესკნელში ჩაძვრა, თუ ზეცას აფრინდა. ბევრი

ეძებეს, მაგრამ კვალიც კი ვერსად იპოვნეს. ლაშქარმა მკვდრები დაიტირა და დაკოდილებს უპატრიცნა. მეფე საშინლად დალონდა; დაანება ყველას თავი და სასახლეში დაბრუნდა. აქ საწოლში შებრძანდა სევდიანი და არავის არ იკარებდა ავთანდილს გარდა. მთელს სასახლეს, მხიარულების ნაცვლად, გლოვის ფერი დაედო.

თინათინმა რა გაიგო მამის ეგრეთი შეწუხება, ადგა და სანახავად იახლა. მოლარეს ჰქითხა, რასა იქსო. მან მოახსენა მეფე ბრძანდება ფერ-მკრთალი და წინ უზის ავთანდილიო. ქალი უკანვე დაბრუნდა, არ უნდოდა ავთანდილის შეხვედრა. მოლარეს უბრძანა, მამამ თუ მიკითხოს, მოახსენე, აქ იყო-თქმ. მეფემ, მართლაც, მალე ბრძანა: ნეტა რას იქს ჩემი ძვირფასი, ჩემი სიცოცხლე ქალიო? მოახსენეს, წელან ბრძანდებოდა, გიკითხათ და წაბრძანდაო. მან მაშინვე იხმო თავისი საყვარელი ქალი, გვერდით დაისვა, აკოცა და ყველაფერი უამბო. თინათინმა მამას მოახსენა, ნუ ემდური ნურც ღმერთსა და ნურც ბედსაო. თუ ის კაცი ხორციელი ვინმე იყო, მნახველი გამოჩნდებაო. მეფე ბრძანდებით, გაგზავნეთ კაცი ყველგან და მოგიტანენ ამბავსო. მეფეს ეს რჩევა ჭკუაში დაუჯდა, იხმო მრავალი მონები და გაგზავნა იმ უცხო ვაჟის საძებნელად. მონები წავიდნენ ყოველ მხრით და მთელი წელიწადი ეძებეს, მაგრამ არამც თუ თვითონ ის; მისი მნახველიც კი ვერავინ იპოვნეს. მაშინ მეფემ ბრძანა, ის უთუოდ მოჩვენება რამ იყოო, დაანება თავი ჯავრს, გამხიარულდა და უწინდებურად იწყეს სასახლეში ქეიფი და ნადიმობა.

ერთ დამეს ავთანდილი თავის სადგომში იჯდა, წინ ჩანგი ედვა, უკრავდა და ამღერებდა.. ამ დროს შემოვიდა თინათინის მოსამსახურე ზანგი და მოახსენა, დედოფალი გიბარებსო. გახარებული ვაჟი წამოხტა, ძვირფასი კაბა ჩაიცვა და გასწიო მზეთუნახავთან. თინათინი ოთახში ბრძანდებოდა, უსაპირო ყარყუმი ესხა და ბროლის კისერზედ გრძელი თმა შემორტყმოდა. კაცის თვალი მასზე უმშვენიერესს ვერავის ნახავდა. მაგრამ

მოწყენით იჯდა. ვაჟს ტკბილად უბრძანა, დაჯექიო. ვაჟმა აღტაცებით დაუწყო ცქერა და მოახსენა: მიბრძანეთ, რა გიმ-ძიმთო? თინათანმა ალექსით შოაგონა, მან და მეფემ რომ ვეფხის-ტყაოსანი ნახეს და სთხოვა, წადი, ძებნე იგი ვაჟი, ახ-ლოს იყოს თუნდა შორსო, და მით შენი ჩემდამი სიყვარული, რომელიც შეტყობილი მაქვს, კიდე უფრო დამიმტკიცეო. სა-მი წელიწადი ვადა მისცა და უთხრა: თუ იპოვე ხომ კარგიო, თუ არა-და, დავიჯერებ, მოჩვენება ყოფილაო. თინათინმა ავ-თანდილს გაუმჟღავნა დაფარული სიყვარული და საშინელი ფი-ცი მისცა, შენს მეტი ქმარი არ შევირთოო. ატაცებულმა ავთანდილმა აღუთქვა ბრძანების ალსრულება. მერმე ერთად დასხდნენ, ისაუბრეს, ცოლ-ქმრობის პირობა დასდვეს. თინა-თინმა შეჰვიცა:

„ფიცით გითხირდი: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი, შზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი, სრულად მოგწედე სამოთხესა, ქვესგნელს ვიუთ დასანთქმარი; შენი შედავდეს სიუვარული, გულსა დანა ასაქმარი“.

ავთანდილი რომ შინ დაბრუნდა, ნაღვლობდა, ვაი თუ ველარ ველირსო ჩემი მზის ნახვასაო. მთელი ლამე სულ ამის ფიქრში იყო; მის თვალს ძილი არ მიჰკარებია. რომ გათენდა, ცხენზე შეჯდა და სასახლეში წავიდა. როსტევან მეფე ნახა და მოახსენა, მსურს სალაშქროდ წავიდე და მტერთა ჩვენთა ვა-გრძნობინო თქვენი ქალის გამეფება და ძლიერებაო. მეფემ ნება დართო, გადაკოცნა როგორც შეილი და გაისტუმრა.

ავთანდილი პირდაპირ თავის მამულში წავიდა. მის ყმებს ძლიერ იამათ ბატონის მობრძანება, მიეგებნენ და დიჭინ აძ-ბით დახვდნენ. მაგრამ აქ იგი სულ სამი დღე დარჩა. მოიხმო თავისი თანაშეზრდილი ერთგული ყმა შერმაღინი, მოისვა გვე-რდით და ყველაფერი დაწვრილებით უამბო. მას ჩააბარა სახლ-კარი, ყმა და მამული და თავის ნაცვლად დასტოვა პატრო-ნად. ყმებს წერილი დაუგდო, რომ შერმაღინი მის მაგიერ პატრონად გაეხადათ, მინამ ის დაბრუნდებოდა. შერმაღინს

უთხრა, თუ სამის წლის გათავებამდის არ დავბრუნდი, იცოდე, მკვდარი ვიქებიო, დამიტირეთ, მიგლოვეთ და მეფესაც აცნობე ჩემი სიკვდილიო. შერმადინი ძლიერ შეწუხდა, ბევრი ეხვეწა მეც წაგყვები, წამიყვანეო. მაგრამ ავთანდილმა გადაჭრილი უარი უთხრა და მარტო წავიდა: ბატონი რომ გაისტუმრა, შერმადინმა შეკრიბა ავთანდილის ქვეშევრდომნი და წაუკითხა მისი წერილი ყველა დაალონა ბატონის მოულოდნელმა მოშორებამ.

### III

#### ავთანდილის წასვლა და ტარიელის ძებნა.

ავთანდილი რომ წავიდა დიღხანს იმგზავრა; არაბეთის საზღვარს დასცდა და სხვა ქვეყნებში შევიდა. მრავალი ქვეყანა მოვლო, დიდი გაჭირვება გამოსცადა, ბევრი მგზავრიც გაიცნო და ვეფხის-ტყაოსნის ამბავი გამოიკითხა, მაგრამ ვერა შეიტყო-რა. მგზავრობის დროს ავთანდილი ხშირად იგონებდა თავის საყვარელს და მისი მოშორება გულს უკლავდა. ავთანდილმა იმდენ ხანს იარა და ეძება ვეფხის-ტყაოსანი, რომ სამ წელიწადს ბევრი უღარა აკლდა-რა. ბოლო დროს, ისეთ მივარდნილ ადგილს მიაღწია, მთელ თვეს აღამიანის სახე. არ უნახავს. საღამოს ეამს დალლილი ავთანდილი ერთს მაღალის მთის წვერზე ავიდა დასადგომათ. იქიდან ისეთი თვალუწვდენელი მინდორი დაინახა, რომ შვიდი დღის სავალი იყო. მთის ძირში წყალი ჩამოდიოდა და ნაპირები ტყეს შეეკრა. ავთანდილმა იანგარიშა დრო და ნახა, რომ ორი თვე-და დარჩენოდა ვადამდის. ამან უფრო მოუკიდა ცეცხლი საბრალოს და არ იცოდა რა ექნა, — დაბრუნებულიყო შინ, თუ კიდევ დარჩენილიყო. თუ არ დავბრუნდი, დრო გავაო, მკვდრათ ჩამთვლიან, მიგლოვენ და მიტირებენო; მერმე რაღა პირით მივიდეო; დავბრუნდე და, რა ამბავი მიუტანო შზეთუნახავს,

ჩემს მიჯნურსო. მერმე ლმერთს შესჩივლა, რად გამიწბილე ამდენი ცდა და ძებნაო. მაგრამ ბოლოს იფიქრა:

„განგებასა ვერ-ვინ შესცვლის, არ საქმიერი არ იქმნებისო“,

და გადასწყვიტა მოცდა. აღგა და გადინადირა ქედი მა-ლალი ტყიანი. წყალს გასკილდა და მინდვრად გავიდა. იქ მრავალი მხეცი და ნადირი ნახა. ავთანდილს ჭამა მოუნდა. შველს ისარი ჰკრა და მოკლა: ცხენიდან გადმოხტა. კვესით ცეცხლი აანთო, შამფური გათალა და მწვადი ააგო. მინამ მწვადი შეიწოდა, ცხენს საძოვარი მისცა. ამ დროს ექვსი ცხენოსანი კაცი დაინახა, მისკენ მომავალნი. გაუკვირდა, რა-დგან მთელს თვეს კაცის სახე არ ენახა. იფიქრა, უთუოდ მე-კობრები (ავაზაკნი) არიანო, აიღო საჩქაროდ შვილდ-ისარი, მოსხტა ცხენს და მათკენ გასწია.

რომ მიუხალოვდა, ნახა ორ წვეროსან ვაჟკაცს მოჰ-ყავდათ ახალგაზდა დაკოდილი უწვერო ვაჟი, რომელსაც თავიდან სისხლი სდიოდა და ხშირად გული უღონდებოდა. ავთანდილმა შესძახა მათ: „ძმანო ვინ ხართ? მე მეკობრებს გამსგავსეთო“. მათ უპასუხეს: „დაგვიწყნარდი, ღვთის გული-სთვის და გვიშველეო“. მერმე უამბეს რომ ჩვენ სამნივე ძმები ვართო. სანადიროთ წამოვედით, ვინადირეთ, გავიმარჯვეთ და ლაშქარი შინ გავისტუმრეთო. ჩვენ აქ დავრჩით სამნი ძმანი და ერთმანეთს დავეჯიბრეთო. ამ დროს ვალაც საკვირველი ვაჟი ვნახეთ, ვეფხის ტყავში გახვეულიო.

„ანაზდად მოუმე გამოხნდა, კუშტი, ბირ-გამქუშავია.

ზედა სჯდა შევსა ტაიჭისა, მერანი რამე შევია,

თავსა და ტანსა ემოსა გარე თბა ვეფხის ტუავია.

კერ მისი მსგავსი შეენება კაცთაგან უნახავია“.

გაგვაკვირვა მისმა შეენებამ და შეპყრობა მოვინდომეთო, დავედევნეთ, შეუტიეთ და ამ უმცროსმა ხელი სტაცაო. მან მათრახი მოუქნია და თავი ესე გაუჩეხა, რომ მკვდარს დაამს-გავსაო. თითონ წავიდა ტიაჭით და, აი დახე, საღ მიღისო“, მიუთითეს ავთანდილს.

ავთანდილი ამაზე კარგს რაღას გაიგონებდა! აუსტრულ-  
და წალილი, იპოვა მან ვისაც ეძებდა ასე დიდხანს. მგზავრებს  
გზა დაულოცა და უთხრა, აი ჩემ ბინაზე ჩამოხტით და იქ  
დაისვენეთო, თვითონ კი გახარებულმა ცხენი გაჰქუსლა. ვე-  
ფხის-ტყაოსანს რომ მიუახლოვდა, იფიქრა,— შეყრა მისი არ  
ივარებს, რადგან კაცს არ იკარებსო. თუ ადამიანია, უთუოდ  
საღმე ბინაც ექნებაო, ამბობდა გულში ავთანდილი. საღაც წავა,  
მეც იქ მივყვები დაფარულად და იქ მოვდებნი რამ ლონესაო.  
მართლაც ასე მოიქცა: გამოუდგა ფარულად უკან. ორი დღე  
და ღამე იარეს; მესამე დღეს, საღამო უამს, ავთანდილმა დაი-  
ნახა უზარ-მაზარი კლდეები. იმ კლდეებში ქვაბი იყო და ძირს  
წყალი ჩამოუდიოდა. წყლის პირს საშინელი შამბდ მოსდე-  
ბოდა. უზარ-მაზარი ხეები კლდის. წვერებს ასცილებოდენ.  
ვეფხის-ტყაოსანმა გაიარა წყალი და კლდეები და ერთ გამო-  
ქვაბულს მიმართა. ავთანდილი ცხენიდან გაღმოხტა დიდ ხე-  
ზე ავიდა და იქიდან ცქერა დაუწყო.

ვეფხის-ტყაოსანი რომ ქვაბს მიუახლოვდა. კარზე გამო-  
დგა ტირილით ვიღაც შავად შემოსილი ქალი. ვაჟი ცხენი-  
დან გაღმოხტა, მოეხვია ქალს ყელზე და ცხელის ცრემლით  
შესტირა: „დაო ასმათ! ხომ ხედავ, გაგვიცრუვდა ჩვენ იმე-  
დი; ვეღარ ვნახავთ სიცოცხლეში, ვისიც ცეცხლი ჩვენ გვე-  
დებაო“. ესა სთქვა და მკერდს ხელი იკრა. თვალთაგან ცხა-  
რე ცრემლი სდიოდა და თმას იგლეჯდა. ქალიც მას ეხვეოდა  
და მწარეთ მოსთქვამდა. კლდენიც მათ მოთქმას ბანს აძლევ-  
დენ. ავთანდილი გაკვირვებით უცქეროდა ამ საკვირველ ამ-  
ბავს და ვერ მიმხვდარიყო. როცა დაწყნარდენ, ქალმა ცხენი  
ქვაბში შეიყვანა და შეკაზმულობა მოხადა. ვაჟაც აბჯარი შე-  
მოხსნა. მერე ორნივე ქვაბში შევიდენ. ავთანდილი მთელი ღამე  
გარეთ დარჩა და ფიქრობდა, როგორ უნდა გაეგო მათი ამბავი.

როცა გაოენდა, შავებიანი ქალი ქვაბიდან გამოვიდა;  
ცხენი გამოიყვანა, ლაგამი ამოსდვა და წმენდა დაუწყო. მერმე  
შეკაზმა და აბჯარიც გამოიტანა. გამოვიდა ვეფხის-ტყაოსანი

ვაჟი, მოეხვივნენ ერთმანეთს და ტირილით გამოესალმენ. ვეფხის-ტყაოსანი შეჯდა ცხენზე და წავიდა. საბრალო ქალი-კიდარჩა მარტო გულ-დაწყვეტილი და დალონებული.

ვეფხის-ტყაოსანი რა გზითაც მოვიდა, იმავე გზით წავიდა. ქვაბს რომ გაშორდა და მინდვრად გავიდა, ავთანდილმა იფიქრა: „ლმერთმა მომხედაო: იმ ქალს შევიპყრობ და ყველაფერს ვათქმევინებო“. ახსნა ცხენი ზედ შეჯდა და ქვაბისკენ გასწია. ქალი ქვაბიდან გამოიჭრა, ეგონა ვეფხის-ტყაოსანი დაბრუნდაო, მაგრამ სახე რომ ეუცხოვა, კივილი მორთო. ავთანდილი ცხენიდან გაღმოხტა და მიახლოვება უნდოდა. ქალი ახლოს არ იკარებდა და შეხედვაც-კი ეზარებოდა. ტარიელს ეძახდა და შველას ევედრებოდა. ავთანდილი მუხლს უყრიდა და ეხვეწებოდა: „ლმერთი იწამე იმ ყმის ამბავი მიამბეო“. ბევრი ეხვეწა და ემუდარა, მაგრამ არა გაუვიდა-რა. ავთანდილს ხვეწნა მოეწყინა, გაჯავრდა, აღვა, ქალი თმით წამოზიდა, ყელზე დანა დააბჯინა და უთხრა: „თუ მიამბობ, ამის მეტს არას გავნებ, თუ არა და, ლმერთმა ისე ჩემი მტერი მოკლას, მე შენ მოგკლაო“.

ქალმა უპასუხა: ეგ რა ღონე მოიგონეო? თუ მომკლავ, მეც ეგ მინდა, ტანჯვისაგან დამიხსნიო. რას იზამდა. ქალს თავი დაანება, ბოდიში მოითხოვა, ცალკე დაჯდა, ნაღვლობა და ტირილი დაიწყო, რომ ამდენმა ცდამ ამაოდ ჩაუარა. ამ დროს თავის მიჯნურს იგონებდა და ახსენდებოდა. ქალი ჯერ მრისხანედ იჯდა და ყურს არ უგდებდა. მერმე-კი ტარიელი წარმოიდგინა, ვაჟი შეებრალა და ოვითონაც ტირილი დაიწყო. ავთანდილი აღვა, კიდევ მუხლი მოუყარა და ემუდარა: „მაპატიე, რაც შეგცოდე და შემიბრალე მიჯნურიო“. ქალს რომ მიჯნურობა შეესმა, ამოუჯდა გული და ტირილს მოუმატა. ავთანდილმა ეგ შენიშნა და კიდევ უთხრა: „დაო, მიჯნური მხეცსაც შეებრალებაო. მეც მიჯნური ვარ, ლმერთი იწამე, ჩემმა მზემა გამომგზავნაო. ორისგან ერთი მიყავ: ან მაცოცხლე, ანუ მომკალ, ჭირი ჭირსა მომიმატეო“.

ქალმა რომ ეს გაიგონა, შეებრალა ავთანდილი და უთხრა: ტარიელიც მიჯნურია, ამისთვის მებრალებიო. თუ მომისმენ, რასაც გეტყვი, მეც შენს თხოვნას აგისრულებო. ავთანდილს გულში გაეცინა და ასე ეპასუხა: დაო ეგ სიტყვა სწორედ ამ არაკს ჰეგასო. ორი კაცი მიღიოდა; წინა კაცი ჭაში ჩავარდა და უკან მსვლელმა ჩასძახა: ამხანაგო! მანდ იყავ, მომიცადე. მე შინ წავალ, თოკს მოვიტან, ამოგზიდავ და გიშველიო". სხვა რა გზა მაქვს, არ გელოდე, სად უნდა წავიდეო? — უპასუხა ჩავარდნილმა. ჩემი საქმეც ამას გავსო, — უთხრა ავთანდილმა, — რა ღონქ მაქვს, არ გისმინოო.

ქალმა უთხრა ავთანდილს ვეფხის-ტყაოსნისა და თავის სახელი და ურჩია, აქ დაიმალე ქვაბში, დაუცადე მოსვლამდის და, როცა მოვა, ვეცდები გაგაცნო, შენი თავი შევაყვარო და ის გიამბობს ყველაფერსაო. ავთანდილს იამა და სიხარულით დაყაბულდა.

შევრი ხანი აღარ გასულა, მოისმა ხევში ჩხაპუნი. გაიხედეს და მომავალი ტარიელი დაინახეს. ასმათი ადგა, ავთანდილი საჩქაროთ ქვაბში დამალა, გაეგება ტარიელს და ორნივე ატირდენ. ქალმა აბჯარი შემოხსნა, ქვაბში შეიტანა და ცხენიც შეიყვანა. ტარიელს ქვეშ ვეფხის ტყავი დაუგო. ავთანდილი სარკმლიდან ჩუმად უჭვრეტდა ყველაფერს. ქალმა კვესით ცეცხლი აანთო, მწვადი შეწვა და ტარიელს მიართვა. მან ერთი ნაჭერი აიღო, პირში ჩაიდო, მაგრამ ჭამის თავი აღარ ჰქონდა და გაუცოხნელი ლუკმა პირიდან გადმოაგდო. მერმე დაწვა და ცოტა მიეძინა. შილში საშინლად შეკრთა, წამოვარდა ცეტივით, ტირილი მორთო და თავში იცა. საბრალო ქალიც, მისი შემცეკერი, ტიროდა და პირს იხოკდა. მერმე ტარიელს ჰქითხა, რათ დაბრუნდი, გენაცვალე, ასე მალე, რა შეგემთხვაო? ვაუმა უპასუხა, ვიღაც მონაღირე მეფე ვნახე თავისი ლაშქრითაო; არ მინდოდა შევყროდი, მოვერიდე და შინ დავბრუნდიო. ხვალ დილით ისევ წავალო.

ასმათმა ამათ ისარგებლა და ტარიელს უსაყვედურა რა-  
ტომ ადამიანს არ იყარებო? დედა-მიწა მოგივლია, ერთი კაცი  
როგორ ვერ იპოვე, რომ გიძმოს, შეგაქციოს და მარტო ყო-  
ფნიი არ გაშმაგდეო.

ტარიელმა უპასუხა: „დაო ასმათ; ვინ არის შენს გარდა  
ქვეყანაზე ისეთი ხორციელი ადამიანი, რომ ჩემთვის იწამოს  
თავი, ჩემთან გასძლოს და ჩემი ჭირი აიტანოსო“?

ასმათმა მოახსენა: „რაღგან შენი ვეზირობა ღმერთს ჩემ-  
ზედ მოუგდია, მე გიპოვი ისეთ კაცს, თუ ფიცს მომცემ არას  
ავნებო“. ტარიელმა შეჰვიცა, რომ, ძმასავით შევიყვარებო.  
მაშინ ასმათი ადგა, შევიდა ავთანდილთან, მოპკიდა ხელი და  
გამოიყვანა: ტარიელს ავთანდილი ძალიან მოეწონა, ადგა, წინ  
მიეგება და მიესალმენ ერთმანეთს. ეს ორი ვაჟკაცი რომ ერ-  
თად შეიყარენ, მშვენიერი რამ სანახავი იყვენ. ტარიელმა მო-  
ისვა გვერდით უცხო ვაჟი და ჰკითხა, ვინ ხარ, ან საიდან მო-  
სულხარო? ავთანდილმა დაწვრილებით უამბო თავისი ვინაობა,  
მოაგონა ისიც, მან და მეფემ რომ ნახეს ტარიელი ვეფხის ტყა-  
ვით მოსილი წყლის პირზე, ტარიელმა რომ მეფე როსტევანს  
ჯარი დაუხოცა და გაქრა, მეფემ რომ მოიწყინა, საძებნელად  
კაცები გაგზავნა და ვერა გაიგეს-რა. მერმე მოახსენა, მე ჩემ-  
მა მზემ თინათინმა გამომგზავნაო, სამი წელი ვადა მომცა გე-  
ძებე და ვერ გიპოვეო. ბოლოს უთხრა, შენგან გალახული სა-  
მი ძმა ვინმე ვნახე, მათ მიჩვენეს შენი გზა და მოგაგენიო.

ტარიელს ყველაფერი გაახსენდა; შეებრალა ავთანდილი,  
გმირობა მოუწონა, აქო და დაუმაღლა მოსვლისთვის. ავთან-  
დილმა მაღლობა მოახსენა, თვითონაც აქო და შეამკო ტარი-  
ელი. მერმე უთხრა, შენმა შეყრამ ყველაფერი დამავიწყა და  
მის მეტი არა მინდა-რა რომ გიახლო, სიკვდილამდის გაამო  
და გემსახუროო. ტარიელი არ დათანხმდა, შენც მიჯნური ხარ,  
მებრალებიო. რაკი-მპოვე და წადილი აგისრულდა, გეტყვი,  
რათ ვარ აგრე გაღმოქრილიო. ჩემი ამბის თქმა ძნელია, გულ-  
ზე აღმურს მომიკიდებს, მაგრამ რა ვქნა, რა კი მოვალე

ვარ შენთვის თავი არ დავზოგოვო. ასმათს უთხრა: „დაო, მოდი, მომიჯექი და, თუ დავბნდე, წყალი მაპკურეო“. მერმე საშინლათ ამოიოხერა და მოჰყვა თავის ამბავს.

## IV

### ამბავი ტარიელისა.

აი რა უამბო ტარიელმა ავთანდილს.

ინდოეთში შვიდი სამეფო იყო. ექვსი სამეფო ფარსადან მეფეს ეჭირა და მეფეთა-მეფეს უწოდებდენ. ის იყო უხვი, მდიდარი, ტანად ლომი, პირად მზე და ომში მძლე. მეშვიდე სამეფო თვით ტარიელის მამას სარიდანს ეჭირა. სარიდანიც გამოჩენილი კაცი იყო და ბეღნიერად ატარებდა წუთისოფელს, მაგრამ ამჯობინა, იგიც ფარსადანს დამორჩილებოდა. ადგა, მოციქულები გაუგზავნა მეფეთა-მეფეს და თავისი სამეფო მას გადასცა. მეფეთა-მეფემ მოუწონა ასეთი ერთგულება, დაუმადლო და მას სარჩოთ მთელი სამთავრო უბოძა ყმა და მამულით. მთელი თავისი სახელმწიფოს ამირბარობაც მას მისცა. ამირბარს ინდოეთში პირველი ადგილი ეჭირა, მთელი ლაშქრის წინამძლოლი იყო და დიდი პატივიც ჰქონდა.

თვით ფარსადან მეფე უშეილო იყო. ამიტომ ტარიელი რომ დაიბადა, მეფე-დედოფალმა შვილად აიყვანეს და მეფურად ზრდა დაუწყეს. მაგრამ ხუთს წელს შემდეგ დედოფალს მარგალიტივით ქალი მიეცა. მეფე-დედოფალი დიდს მხიარულებაში იყვნენ. მთელმა სახელმწიფომ მიულოცა და სასახლეში დიდ ხანს ლხინი და თამაში არ შემწყდარა. მეფემ აუარებელი მოწყალება გასცა, ნათლობა გადიხადა და თავის ქალს ნესტან-დარეჯანი დაარქვა. ცოტა რომ მოიზარდა, ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს ერთად ზრდა დაუწყეს. ქალი რომ შვიდი წლის შეიქმნა, ვაჟი თორმეტი წლის იყო. ამ დროიდან ქალ-ვაჟი გააშორეს ერთმანეთს. ტარიელი მამას

დაუბრუნეს და იქ იწვრთნებოდა. ისეთი მშვენიერი, მარდი და მამაცი შეიქმნა ტარიელი, რომ ყოველ კაცს უკვირდა. არც ომში, აოც ნაღირობაში და არც ბურთაობაში ტოლი არა. ჰყავდა.

ნესტან-დარეჯანიც გაიზარდა და სწავლის დრო მოუვიდა. მეფემ მისთვის ცალკე სასახლე ააგო და მშვენივრად მორთო, გარს ქვის კედელი შემოავლო და შიგ სამოთხის მსგავსი ბალი გააშენა. მეფე ფარსაღანს ერთი ქვრივი და ჰყავდა, სახელად ~~დაჭარი~~. ეს ქალი განთქმული იყო თავისი სწავლით და სიბრძნით. ამიტომაც მეფემ იგი დაუნიშნა აღმზდელათ თავის ძვირფას ქალს. გამდლათ-კი ასმათი მიუჩინა. ამ გვარად იზრდებოდა ნესტან-დარეჯანი თავის საკუთარ სასახლეში და სულ თან-და-თან მშვენიერდებოდა.

გავიდა ხანი, ტარიელს მამა მოუკვდა. მთელი წელიწადი შავებში იყო, გლოვობდა საყვარელ მამას და არც სასახლეში მისულა. ბოლოს, როგორც იყო, მეფემ შავები გაახდევინა, სასახლეში მოიყანა, ნაღიმი გაუმართა და გართობა დაუწყო, ამირბარათაც, მამის ნაცვლად, იგი დანიშნა. ამირბარობა ტარიელს მთელმა ინდოეთმა მიულოცა და დიდი პატივი სცეს. ამას შემდეგ მეფე ტარიელს აღარ იშორებდა, შვილივით მიაჩნდა და სულ ერთად ნაღირობდენ და მხიარულობდენ. ტარიელი ისე დამშვენდა, რომ მზეს ადარებდენ.

V

### ტარიელის გამიჯნურების ამბავი.

ფარსაღან მეფე და ტარიელი ერთ დღეს სანაღიროთ წაბრძანდენ. ინადირეს და საღამო უამს შინ დაბრუნდენ. გზაზე მეფემ ტარიელს ხელი მოჰკიდა და ალერსით უთხრა: „ტარიელ, მოდი, წავიდეთ, ჩემი ქალი ვნახოთ, და დურაჯები მივართვათ“. შევიდენ მშვენიერ ბალჩაში. იქ სხვა-და-სხვა



ନୀତି ଅମାତମା ପ୍ରାରଦ୍ଧା ଅଶ୍ରୁଃ, ପ୍ରାରମ୍ଭିଲମା ତ୍ଵାଲ୍ଲି ମନ୍ତ୍ରିରୁ ମହିସ ଜ୍ଞାନାଙ୍ଗସ  
ରୂ ମିଶମା ମହାନୀକ୍ଷଣେବାମ ମରବିଦିଲା. (ଘ୍ୟ. 18).

ფრინველების ტკბილი გალობა მოესმათ. ბალჩას გარს აღვის ხეები ჰქონდა შემორგული. მეფე თავის ქალთან შებრძანდა, ტარიელი გარედ დარჩა და მარტო ლაპარაკი ესმოდა. მეფემ ასმათს უბრძანა, დურაჯები შემოიტანეო. როცა ასმათმა ფარდა ასწია, ტარიელმა თვალი მოჰკრა მზის უნახავს და მისმა მშვენიერებამ მაშინვე მოხიბლა, გული მოსტაცა და ცნობა დაუკარგა.

ტარიელი იმ წამსვე სასახლეში წაიყვანეს, დააწვინეს და ექიმები დააყენეს. მეფე და დედოფალი თავს ევლებოდენ და შვილივით უვლიდენ. გონს როცა მოვიდა, ტირილი შეესმა, თვალი აახილა და ნახა, რომ მეფე-დედოფალი თავზე აღგენ და დასტიროდენ. მეფე მოეხვია და ემუდარა, ხმა გამეციო, მაგრამ ტარიელმა ხელახლა დაკარგა ცნობა, ვერ მიხვდნენ იმის უძლურების მიზეზს და თვალ-ნაცემი ეგონათ. სამ დღეს უკან ტარიელი უკეთ შეიქმნა. ეშინოდა არავინ მიმიხვდეს, რა მიზეზით ვარ ავათო და ამიტომ თავის სადგომში დაწოლა ამჯობინა. აქ ის კარგად გახდა, თუმცა-ლა გულში სიყვარულის ალმური ედებოდა და უწინდელი აღარც ფერი ჰქონდა და აღარც ხორცი. მეფე-დედოფალს ტარიელის ადგომა ძლიერ იამათ და უწინდებურათ გართობა დაუწყეს.

ნესტან-დარეჯანმა ყველაფერი იცოდა, რაც მოუვიდა ტარიელს და როგორც იტანჯებოდა იგი მისი სიყვარულით. თვითონაც ძლიერ მოსწონდა მშვენიერი ახალ-გაზრდა ამირბარი და დაფარულათ ეტრფოდა, მაგრამ გამუღავნება ვერ გაბედა. ბოლოს, სხვა რომ ვერა გააწყო რა, ადგა და თავის ერთგულ გამზრდელ ასმათს გაანდო საიდუმლო.

ერთ ღამეს ფერ-მკრთალი და სევდიანი ტარიელი თავის საწოლ ოთახში იჯდა. ამ ღროს ასმათის მონა მივიდა და წერილი მიართვა. ტარიელს ძლიერ გაუკვირდა. ასმათი სწერდა ტარიელს, თქვენი ნახვა მწარიან და ნება. მიბოძეთ მოვიდეო. ტარიელმა საჩქაროდ პასუხი მისწერა და შეუთვალა, თვითონ გიახლები, თუ მიხმობთო. მეორე დღეს ტარიელს მეფის კა-

ცი მოუვიდა და სასახლეში წავიდა. მეფე ცდილობდა ტარიელის გართობას და ამიტომ ქორ-მიმინოთი სანადიროთ წაბრძანდა. შინ რომ დაბრუნდენ, სანადიმოდ დასხდენ. აქაც მომღერლებმა და დამკვრელებმა ტარიელს გართობა დაუწყეს. მეფე შეიარულად ბრძანდებოდა, რადგან ტარიელის მორჩენას ელირსა და აუარებელი წყალობა გასცა იმ დღეს. ტარიელი ცდილობდა შეიარულად ეჩვენებინა თავი მეფისთვის, მაგრამ სიყვარულის ცეცხლი სწვავდა და თავიდან სევდა ვერ მოეშორებინა.

საღამოს ტარიელი შინ წავიდა; ტოლ-ამხანაგები თან გახლენ და იქაც ნადიმი და სმა გაიმართა. ნადიმობის დროს ტარიელის მოლარე შემოვიდა და ბატონს ჩუმად ყურში უთხრა, ვიღაც ჩადრში გახვეული ქალი გკითხულობთო. ტარიელმა უბრძანა ცალკე ოთახში შეიყვანეო. თვითონაც ადგა. სტუმრებთან ბოდიში მოიხადა და გავიდა. კარებში რომ ფეხი შედგა, წინ ასმათი მოეგება, თაყვანი სცა, კრძალვით ბოდიში მოიხადა და ნესტან-დარეჯანის წერილი მიართვა. ქალი სწერდა: „ნუ დაიჩნევ, ლომო წყლულსა, ტყვილა ბნედა და სიკვდილი რა სიყვარული გვონია. მე შენის ქმრობის მდომი, წინათაც ვიყავი, მაგრამ აქამდის საუბრად დრო არ შემხვედრია, ყველა ვიცი, რაც შენ ჩემთვის თავს გადაგხდენია: მე შენი ვარ, ნუ მოკვდებიო. ისა სჯობია, გმირული საქმე მიჩვენო. ხომ იცი, ხატაველები ყველანი ჩვენი მეხარჯენი არიანო. იმათი ამაყობა და ურჩობა ჩვენგან რა დასათმობიაო. წადი, შეეხი ხატაველებს და თავი ისახელე, მერმე მოდი და შენი მთვარე შეგეყრებიო.“

ტარიელი ამაზე უკეთეს რაღას შეიტყობდა! ამ წერილმა ისე გაახარა, რომ თავი სიზმარში ეგონა.. ადგა იმ წამსვე, სამაგიერო წერილი მისწერა ნესტან-დარეჯანს და შეპპირდა ბრძნების ასრულებას. ასმათს ამ სიკეთისათვის მრავალი თვალ-მარგალიტი უბოძა, შაგრამ მან მარტო ერთი ძვირფასი ბეჭედი გამოართვა სახსოვრად და წავიდა. წასვლის დროს ტაუბრეს

იმაზე, თუ საიდუმლო როგორ დაეფარათ, რომ არავის არ გაეგო. მხიარული ტარიელი ისევ სტუმრებთან დაბრუნდა. სიხარულით აღტაცებული იყო და ქეიფი განაგრძო.

## VI

### ომი ტარიელისა ხატაველებთან და გამარჯვება.

ტარიელმა ხატავეთში კაცი გაგზავნა, წერილი მისწერა რამაზ მეფეს და შეუთვალა: ხომ იცით ინდოეთის მეფის ძლიერება, მორჩილთა ზედა მოწყალება და ურჩითათვის რისხვაო. გირჩევთ მოხვიდეთ, თაყვანი სცეთ და მორჩილება განუცხადოთ. უკეთუ არ მოხვალთ, ჩვენ მოვალთ და თქვენის სისხლით გაზიარებთო. ამის შემდეგ ტარიელი აღარას დარდობდა, მხიარულად იყო, დროს ატარებდა და ხატავეთიდან ჰასუხს ელოდა.

ერთ ღამეს სასახლიდან რომ დაბრუნდა თავის ოთახში დაჯდა, ნესტან-დარეჯანი მოაგონდა და თუმცა დაღლილი იყო, მაგრამ ძილი არ ეკიდებოდა. ამ დროს ასმათის მონა მოვიდა და წერილი მოართვა. ასმათი სწერდა ტარიელს, შენი მთვარე გიბარებსო. ვახარებული ტარიელი აღგა და იმ წამსვე წავიდა. როცა მივიდა, ასმათი წინ მიეგება მოცინარი და მოახსენა: „მოდი ნახე ვარდი შენი, უფრპკვნელი და დაუჭინარიო.“ ასწია ფარდა და შეიყვანა ტარიელი შიგნით.

„სადა დგა კუბო შემკული ბადახშითა და ლალითა,  
შიგან სჯდა იგი შირითა შზისაებრ ეჭვა-მკრთალითა.“

ტარიელმა მოიხარა თავი, სალაში მისცა და წინ გაუჩერდა ქალს. რომელიც მას უცქეროდა ლამაზად თავის მელნის ტბის თვალებითა. აღტაცებული ტარიელი თვალს ვეღარ აშორებდა. ქალი საშინლად მორცვხობდა და ხმა ვერ გასცა. ცოტა ხანს ასე იყვნენ და სტკბებოდნენ ერთმანეთის ცქერით. მერმე ასმათმა ტარიელს ყურში უთხრა, აწ-კი წაბრძანდით, რადგან თქვენთან

ლაპარაკი ერცხვინებათ. გულ-დაწყვეტილი ტარიელი გამოვიდა, ასმათიც თან გამოჰყა, გააცილა და მოახსენა, ნურას ნაღვლობთო. ტარიელი შეეხვეწა, მისი ამბავი ხშირად მაცნობეო. მერმე ცხენზე შეჯდა და შინ წავიდა. მთელი ლამე ფიქრში იყო და არ დაუძინია. ნანახი სანატრელი სურათი თვალ-წინ უდგა.

გავიდა ხანი, ხატავეთში გაგზავნილი კაციც დაბრუნდა და ტარიელს რამაზ მეფის წერილი მიართვა. ხატავეთის მეფე სწერდა ტარიელს, როგორ გახედე და მანდ ხლება შემომი-თვალეო. ტარიელი გაჯავრდა, მაშინვე მზადებას შეუდგა და ლაშქარი დაიბარა. აუარებელი ჯარი შეიკრიბა ყოველ მხრი-დან. ტარიელმა დაათვალიერა ჯარი და ძლიერ მოიწონა. წასვლის წინა ლამეს მარტოდ იყო, თავის მზეთუნახავს იგო-ნებდა და მოშორება აწუხებდა. ამ დროს წერილი მიიღო, ნე-სტან-დარეჯანი იბარებდა. ტარიელი საჩქაროდ ადგა გამოეწყო და იახლა. ასმათი კარებში დახვდა, შეუძლვა და სავარძელი დაუდგა. შეყვარებულებმა ტკბილად ისაუბრეს ცოლ-ქმრობის პირობა შეჰქრეს, ცოტა ხილიც მიირთვეს, გამოეთხოვენ ერთ-მანეთს. და გაიყარენ.

დილით ტარიელმა ამართა სამეფო დროშა და წავიდა საომრად ხატავეთს დიდი ლაშქარით. ინდოეთის საზღვარს რომ გასცილდა, წინ რამაზ მეფის მოციქულები მოეგებენ ძლვნით და საჩუქრებით. რამაზი სწერდა ტარიელს, გვაპატიე რაც შევცოდეთ, ნუ ამოგვწყვეტით ლვთის გულისათვისო. ჯარი უკან დააბრუნეთ, თქვენ მობრძანდით ცოტა ყმებით და ყვე-ლაფერი ჩაიბარეთო. რამაზ მეფეს თურმე ტარიელის მოტყვი-ება, დალატი და მოკვლა უნდოდა მაგრამ იმ ლამეს მისგან დავალებული ხატაველი იახლა და ჩუმათ შეატყობინა, რამაზ მეფე დალატს გიპირებსო, ასი ათასი მეომარი ჰყავს დამალუ-ლი და, როგორც კი მიუახლოვდებით, თავს დაგესხმიან და ამოგწყვეტენო. ტარიელმა მას დაუმაღლა, დაასაჩუქრა და გაისტუმრა. მერმე თათბირი მოახდინეს და გადასწყვიტეს, რომ

ტარიელი სამასი დარჩეული ვაუ-კაცით დაწინაურებულიყო, ხოლო დანარჩენ ჯარს უბრძანა, მომყევით უკან შორი-ახლოს დაფარულადო. დილით რამაზის მოციქულები გაისტუმრა და აცნობა მას მოვდივარო. მართლაც სამი დღე იარა. მერმე ერთი ტევრის პირს ჩამოხტა, წინ კიდევ შემოხვდა მეფის მოციქული, ძლვენი მიართვა და მოახსენა, რამაზ მეფე მოდისო. ტარიელმა მასთან მყოფნი გმირები გააფრთხილა ამ სიტყვებით:

გთქვი თუ: ძმანო, იგი კაცნი ჩვენს დაფატსა გვიდგებიან,  
შედაგთა თქვენთა სიმაგრენი აშისთვისცა რად დაფიან;  
ვინცა მოჰქვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან!  
აშ შევებათ ხატაველთა, ხმალი ცუდად რად გვაბიან.

მერმე მოემზადენ საომრად და წავიდენ რისხვით წინ. როცა ტარიელის რაზმი რამაზ მეფეს წინ მიეგება, მიხვდა, რომ ამირბარმა იცოდა მისი ლალატი და ამიტომ დამალულ ჯარს უბრძანა, თავს დასხმოდენ ინდოელებს და ამოეწყვიტათ. ტარიელი და მისი მხლებელნი არ შეშინდენ, ჩაერიენ ხმალ-და-ხმალ მტერს და მრავალი დახოცეს. ამ დროს უკან მომავალი ტარიელის ლაშქარიც გამოჩნდა და მეხივით დაეცა მოულოდნელად მტერს თავზე. ხატაველები შეშინდენ და პირი იბრუნეს. ტარიელი და მისი ლაშქარი დაედევნენ და ვინც კი ცოცხალი გადურჩათ, სულ ერთიანად დაატყვევეს. თვითუნ რამაზ მეფეს ტარიელმა ომში გაემკლავა, ცხენიდან ჩამოაგდო და შეიპყრო. დამარცხებულმა რამაზმა შენდობა სთხოვა ტარიელს და ყველა თავისი ციხე-ქალაქები ჩააბარა. ტარიელი დაეპატრონა ხატაველს, უთვალავი ალაფი აიღო და უკან დაბრუნდა. დატყვევებული რამაზ მეფეც თან წამოიყვანა. ფარსაღანთან მახარობელი და ათასი დატვირთული ჯორ-აქლემი გაგზავნა წინ-დაწინ, თან წიგნი მისწერა და შეუთვალა:

„მეფეო, სვემცა ას თქვენი სვიანად!  
მე ხატაველთა მიმუხთლეს, თუმცა მათ ეცათ ზიანად.  
ჩემი აშბავი. დასტური ამად გაცნობე გვიანად;  
მეფე შევიზუარ, მოგივალ მე ალაფიან-ტუვიანად“.

ფარსაღან მეფეს ძლიერ იამა თავის გაზრდილის გამარჯვება და დიდი ამბით მიეგება იგი ტარიელს ყველა თავისი დიდებულებით და ჯარებით. ტარიელმა წარუდგინა მას რამაზ მეფე. ფარსაღანმა თავაზიანად მიიღო დატყვევებული მეფე და და გაათავისუფლა, შეუნდო, სახელმწიფო დაუბრუნა და გაუშვა შინ, მაგრამ პირობა კი ჩამოართვა, კვლავ ოლარ გაებედა ურჩობა და ყოველთვის ხარკი ეძლია. დამადლებულმა რამაზმა თაყვანი სცა და მორჩილება განუცხადა.

შემდეგ მეფემ ნაღირობა გაუმართა ტარიელს და გუართო. ნაღირობა რომ გათავდა, საღარბაზოთ შინ მოვიდენ. მეფე-დედოფალმა პირველად გამოიყვანეს საღარბაზოთ თავიანთი მზეთ-უნახავი ქალი, ნესტან-დარეჯანი.. ნადიმობის დროს ქალი დედას უჯდა გვერდით. დედოფალი ტარიელს მიეგება, აკოცა და ისიც წინ დაისვა. ტარიელი მშვენიერი სანახავი იყო. ძვირფასი კაბა ეცვა და ეხვია საკირველი რამ რიდე, რომელიც ხატავეთში იშოვა. მცირედ დაკოდილი ხელიც გულზე ჰქონდა ჩამობმული. ქალ-ვაჟი მალვით უჭვრეტდენ ერთმანეთს და ისე სტკებოდენ. გაიმართა გამოუთქმელი. ლხინი და ქეიფი. მეფემ მრავალი ჯილდო უბობა გმირ ტარიელს. სმაში რომ შევიდენ, დედოფალი ადგა და გავიდა თავის ქალით. ლხინი ძილის პირამდინ არ შემწყდარა. როცა ადგენ, ტარიელი თავის სადგომში წავიდა მოსასვენებლად, მაგრამ ნესტან-დარეჯანის სახე თვალ-წინ ედგა და ძილი არ ეკარებოდა. ამ დროს ასმათი მოვიდა.. ტარიელი ადგა, მიეგება, აკოცა, გვერდით დაისვა და ქალის ამბავი ჰქითხა. ასმათმა ამოილო და წიგნი მიართვა. ნესტან-დარეჯანი ალტაცებით იგონებდა მას და თან სწერდა, რიდე შენი მე მიბოძე სახსოვრად და შენ ნაცვლად ეგ სამკლავე შეიბიო. ტარიელმა ქალს წიგნი მისწერა, თავის რიდე გაუგზავნა და ასმათი მადლობით გაისტუმრა. მერმე მოისვენა, მაგრამ ძილში სიზმარი ნახა, ვითომ საყვარელი მასთან იყო. შეკრთა გამოელვინა, ოლარ ჰყავდა და ძლიერ დალონდა.

იმ დღეს მეფე-დედოფალმა ტარიელი იხმეს, წინ დაისვეს და რჩევა ჰქითხეს: „ხომ ხედავ, რომ მოვხუცდი და ვაუგო ლმურთია არ მოგვცა. გვინდა ქალი გავათხოვოთ, კარგი საქმრო აურჩიოთ და ტახტიც მას ჩავაბაროთ, რომ სამეფოს უპატრონოსო.“ საბრალო ტარიელს ამის გაგონებაზე ელდა ეცა, მაგრამ, რა-კი შეატყო, რომ მეფე-დედოფალს საქმე გადაჭრილი ჰქონდათ და სასიძოც არჩეული ჰყავდათ, დაშლა ველარ გაბედა. მათ სასიძოთ, თურმე ხვარაზმელი მეფის ვაუი აერჩიათ. „მას არავინ სჯობსო“, ამბობდენ და მოციქულიც მზათ ჰყავდათ გასაგზავნად.

თავ-ზარ-დაცემული და გაშმაგებული ტარიელი შინ დაბრუნდა, შავმა ფიქრებმა მოიცვეს და გულზე ცეცხლი ეციდებოდა. სალამოს ასმათის წერილი მიიღო, ასმათი სწერდა; ჩქარა მოდი, შენი მთვარე გიბარებსო. გულ-მოკლული ტარიელი ადგა და იმავ წამს წავიდა. ასმათი ძირს დახვდა მოწყენილი და თვალ-ცრემლიანი. ხმა არ გასცა, ფარდა ასწია და ტარიელი პირ-და-პირ ქალთან შეიყვანა.

ნესტან-დარეჯანი საშინელი სანახავი იყო: გარისხებული როგორც ვეფხი, მიწოლით იყო ტახტზე წამომჯდარი; ტარიელის ნაჩუქარი რიდე ეხურა, ფერი წასვლოდა და ცხელს ცრემლსა ღვრიდა. გულ-შემოყრილი ტარიელი მოშორებით დაჯდა. ქალი წამოჯდა წარბ-შეჭმუხვნილი, გარისხებული და ტარიელს ასე უსაყვედურა:

„მიკვირს, რად მოხევე მშეღელი პირისა მტკიცისა,

გამწირავი და მუხთალი, შენ გამტეხელი ფიცისა,

შაგრამ ნაცვალსა ჰასუსსა მოგცემსო ზენა მის ცისა.

შენ არ იცი ხვარასმშასი საქმროდ ჩემად მოუკანება?!

შენ ჯდომილხარ საფაზიროდ, შენი როულა ამას ნება.

შენ გასტეხე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი მცნება:

ღმერთმა ჰქმნას და დაგანით ცუდად შენი ხელოვნება!

გახსიუს თდეს ჰქად-ჰქად ჰქმიდი, ცრემლნი შენნი ველთა ჰქანდეს;

მკურნალნი და დასტაქარნი წამალსა-უე მოგიტანდეს?

მამაცისა სიცრუგესა ნეტარ სხვანი რამცა ჰგგანდეს!

რადგან დამთმე, მეცა დაგთმობ, ვინძი უფრო დაზიანდეს!“

მაგრამ იმედი ნუ გაქვსო, დასძინა, რომ ან იგი შევირთო ქმარად, ან შენ ინდოეთში ცოცხალი დაგარჩინოთ.

ტარიელმა რომ ეს საყვედური მოისმინა, დიდი იმედი მიეცა, რაღაც დარწმუნდა, რომ ქალი მას არავისზე არ გასცვლიდა. ადგა და ემუდარა, პასუხი მომისმინეო. ქალმა უთხრა: „რაცა იცი, სთქვიო“, და თავი დაუქნია. ტარიელმა თავი გაიმართლა და უთხრა; დაშლა არ შემეძლო, რაღაც მეფე-დედოფალს წინ-და-წინ ჰქონდათ გადაწყვეტილიო. ამასთანავე მოუწოდა ღმერთსა და ცას და საშინლად შეჰფიცა: მე შენს ღალატში არ კრევივარ და არც ფიცი გამიტეხიაო. ქალს იამა, დაუჯერა, დატკბა, ახლოს დაისვა და ერთად არჩიეს თუ, რა უნდა ექმნათ, ტარიელმა სთქვა სულ ერთიანად გავსწყვეტ ყველასო. მაგრამ ნესტან-დარეჯანმა ურჩია, მარტო სიდე მოჰკალი და სხვის სისხლს ნუ დაიდებ, კაცის სისხლის თავს დადება ცოდვა არისო. ტარიელსაც შოეწონა ნესტან-დარეჯანის რჩევა და დათანხმდა. მერმე ადგა, გამოეთხოვა ნესტან-დარეჯანს და მოწყენილი წამოვიდა.

ხვარზმელ მეფეს ძლიერ იამა ფარსადანის დამოყვრება და ინდოეთში შვილის გამეფება. ამიტომ მალე დათანხმდა და სასიძოც დიდი. ამალით გამოისტუმრა საქორწინოდ. მოვიდა მახარობელი, სიდე მობრძანდება, მიეგებეთო. მეფეს გაეხარდა, იხმო ტარიელი და უბრძანა: აბა მოვემზადოთ და ისეთი ქორწილი გადვიხადოთ, როგორიც ინდოეთს შვენისო. ტარიელიც შეუდგა მზადებას. მოედანზე წითელი ატლასის კარვები დადგეს. სასიძო თავის ამალით იქ უნდა ჩამომხტარიყო და დაესვენა. წინ ჯარი და დიდ-კაცობა უნდა მიგებებოდა. მეფე და ტარიელიც მეორე დღეს თვით სასახლეში უნდა დახვედროდენ და დიდი პატივით უნდა მიელოთ.

საღამოს დაღლილი ტარიელი თავის სადგომზე დასასვენებლად წავიდა. შინ რომ მივიდა, მონამ ასმათის წერილი დაახვედრა. ტარიელს ნესტან-დარეჯანი იბარებდა საჩქაროდ. ტარიელი პირ-და-პირ წავიდა, ცხენიდან აღარ ჩამომხტარა. მზის

უნახავი კვლავ წარბ-შეჭმუხვნილი და გარისხებული დახვდა-  
როცა ტარიელი მივიდა და წარსდგა, ქალმა წყრომით უთხრა:  
„რასა სდგახარ და არ ასრულებ დანაპირებსო? ეგებ კიდევ  
გამწირე და მომატყუეო?“.

ტარიელს ეწყინა, პასუხი აღარ გასცა, ფიცხლავ უკან  
დაბრუნდა და თავის გულში ამბობდა, აგრე როგორ დავძა-  
ბუნდი, რომ ქალი საომრად მიწვევსო! როგორც კი სადგომ-  
ზე მივიდა, ასი დარჩეული ვაჟ-კაცი იახლა და გასწია სასიძოს  
მოსაკლავად. ქალაქი ისე გაიარეს, რომ არავის გაუგია. სასო-  
ძოს ტკბილად ეძინა მშვენივრად მორთულს ატლასის კარავში.  
ტარიელმა ხმლით კარავის კალთა ჩასჭრა, შევიდა, მოჰკიდა  
ხელი საბრალო სასიძოს ფეხებში და თავით ბოძედ მიახალა.  
ეს რომ ამაღამ გაიგო, ყვირილი მორთო. ტარიელი ბედაურს  
მოახტა, გასწია საჩქაროდ და თავის შეუვალ ქალაქში გამაგრ-  
და. აქიდან კაცი აფრინა ყოველგან და თავისი ჯარები დაი-  
ბარა საჩქაროდ.

რომ გათენდა, მეფისაგან გამოგზავნილი სამი დიდებული-  
მოვიდა. ფარსაღანი უთვლიდა ტარიელს: „ვაჟო, შვილივით  
გაგზარდე, რად მიყავ ასეთი საქმე, რად შემიცვალე ლხინი-  
ჭირად, სიცოცხლე რად გამიმწარეო?.? ხეარაზმას სისხლი რად  
დამდე კისერზეო? თუ ჩემი ქალი გიყვარდა, რატომ არ შემა-  
ტყობინეო?“ ტარიელმა პასუხად მეფეს შეუთვალა: „რადგან  
ღმერთმა ვაჟი არ მოგცათ, ინდოეთი ჩემია და ვერავის დაუ-  
თმობ, მინამ მე წელზე ხმალი მარტყიაო“.

## VII

### ნესტან-დარეჯანის დაკარგვის ამბავი

ტარიელი ძლიერ ნაღვლობდა, რადგანაც სასიძოს მოკვ-  
ლის შემდეგ თავის სატრფოს ამბავი ვერა გაიგო-რა. ერთ დღეს  
სევდიანი მინდვრად გამოვიდა და შორს ვიღაც ორი მგზავრი

დაინახა: როგორ მიახლოვდენ, ნახა რომ მონას თავ-გადაგლე-  
ჯილი და სახე-დაკარწული ასმათი მოჰყავდა. ტარიელს თავ-



ზანგებმა ჩასვეს ქალი კიდობანში და ზღვისაკენ გაუყენეს (გვ. 28).

ზარი დაეცა, მიხვდა ეს კარგს არას მოასწავებდა და დაუყვირა, რა ამბავიაო? საბრალო ქალმა სიმწარისაგან ჯერეთ ხმა ვერ ამოილო; მერმე ტირილით მოახსენა ყველაფერი, რაც ნესტან-დარეჯანს გადახდა.

ფარსადან მეფემ, რაკი ტარიელს ვერა დააკლო რა, ჯავ-რი უნდოდა თავის დაზე—დავარზე ამოეყარა, რადგან ამას აბ-რალებდა თავის ქალისა და ტარიელის გამიჯნურებას. მეფემ დის მოკვლა გადასწყვიტა და დაითიცა კიდეც, რომ უსათუოდ აასრულებდა. ეს რომ დავარმა გაიგო საშინლად გააფთრდა, მისდგა საბრალო ნესტან-დარეჯანს და ჯერეთ უშვერის სი-ტყვებით აგინა, მერმე სტაცა გრძელ თმებში ხელი, წამოზიდა და იმდენი ცემა, რომ ერთიანად დაალურჯა. საბრალო ქალმა ერთი ხმაც არ გასცა. დავარმა რომ ცემით გული იჯერა, მოიხმო ორი მონა ზანგი და გადასცა მათ, ზანგებმა ჩასვეს ქალი კი-დობანში და ზღვისაკენ გაუყენეს. დავარმა იცოდა, რომ მეფი-საგან კარგი არა მოელოდა-რა, ამის გამო დანა დარცა და თავი მოიკლა.

ეს რომ უამბო ტარიელს, ასმათი შეეხვეწა: „მომკალ და ნულარ მაცოცხლებ, მიმაღლე შენსა ღმერთსაო!..“

ტარიელი ჯერედ გაქვავდა ჯავრისაგან, მაგრამ მერმე გული გაიმაგრა და ასმათს უთხრა, თავს ნუ იკლავო. საბრალომ გადასწყვიტა წასულიყო სატრტოს საძებრათ. მაშინვე შინ და-ბრუნდა, ყველაფრით მოემზადა, ცხენზე შეჯდა; ას სამოცი დარ-ჩეული მოყმე იახლა, ასმათიც თან წილიანა და წავიდენ. ბევრი იარეს და ზღვის პირს მიადგენ, იქ გემი იპოვნეს მიმავალი, ჩასხდენ შიგ და ამ გვარად იწყეს ძებნა. ოცი თვე ზღვა-ზღვა იარეს, ბევრი გამოიკითხეს, ეძიეს, მაგრამ მნახველიც-კი ვერავინ ჰპოვეს. ამ დროს განმავლობაში ტარიელს ზოგი მხლებელი მოუკვდა და ზო-გიც შინ დააბრუნა. დარჩა მასთან მარტო ასმათი და ორი მონა. ტანჯულ ტარიელს სულ ზღვაში სიარული და ძებნა მოს-წყინდა; ზღვას თავი დაანება და ხმელეთზედ გამოვიდა.

## VIII

### ტარიელისა და ფრიდონ მეფის შეურის ამბავი.

ზღვის პირად ერთ ადგილს მშვენიერი ბალი ნახეს. ტარიელმა ჩრდილში ცოტა მოისვენა, მონები კი პურის საჭმელად დასხდენ. ტარიელი ომ ადგა, ძლიერ დალონებული იყო, რადგან აგრე დიდხანს ეძია თავისი მიჯნური და ვერც ჭორი გაიგო რა და ვერც დასტური. ამ დროს ერთბაშად ყვირილი მოესმა. ვიღაც მშვენიერი ვაჟი შავ ტაიშს მოაქროლებდა; დაკოდილი იყო და გამწყრალი მტერს ემუქრებოდა. ტარიელმა საჩქაროდ მონა აფრინა და სოხოვა, მომითმინეთ, თქვენი ნახვა მინდაო. მაგრამ ცხენოსანმა მონას პასუხი არ აღირსა. მაშინ ტარიელი ცხენს მოახტა, უცხო ვაჟს წინ ჩაეგება და სოხოვა, მითხარ, რა გიჭირს, ვინ დაგკოდაო? ტარიელმა ვაჟი დაიყოლია და ბინაზე წამოიყვანა. ტარიელის ერთი მონა თურმე დასტაქარი იყო. მან ვაჟს მობანა წყლული, უწამლა და შეუხვია.

შემდეგ ამისა უცხო ვაჟმა უამბო ტარიელს თავის ვინაობა. მე სახელად ნურადინ-ფრიდონ მქვიან და მულლა-ზანზარის ქალაქის მეფე ვარო. ჩემი სამეფო თურმა მცირეა, მაგრამ ყველაფრით მდიდარიაო. მამა ჩემი და ბიძა ჩემი გაიყრენ და სამეფო გაინაწილეს. ზღვის კუნძული ჩვენ გვერგო, სანადირო კი ბიძა ჩემს. მამა და ბიძაც ორნივე დაიხოცენ და მეფობა მათ შვილებს დაგვრჩა. ჩვენ შორის შური ჩამოვარდა, და ერთმანეთს ალარ ვზოგავთ. სანადირო ადგილი გაგვიხდა სადავო. დღეს სანადიროთ წამოველ და ხუთიოდე ბაზიერნიც თან ვიახლე. ნადირობის დროს მომეპარენ ბიძის შვილები, გზა. შემიკრეს და ჩხუბი მიყვეს. მე ჩემს ხმალს მივმართე; ხმალი გამიტყდა და ამისთვის გაიმარჯვეს. მეც დამჭრეს და ბაზიერნიც სულ ერთიანად დამიხოცეს, „მაგრამ აწ მიყურონ, რა ვუყო, ოხრად გაუხდი ყოფნასო“.

ტარიელმა ომ ეს ამბავი მოისმინა, ფრიდონს ურჩა, აჩქარება არ ვარგაო. მომითმინეთ, მეც გიშველი, შენს მტერს

შევებმი და ერთად ვიომოთო. ფრიდონს ძლიერ გაეხარდა, დაუშადლა და თავის სასახლეში მიიწვია. ფრიდონისას რომ მივიდენ, წინ ლაშქარი მიეგებათ, გაეხარდათ მეფის გადარჩენა, ღმერთს მადლობა შესწირეს და თაყვანი სცეს. ტარიელი მათ ძლიერ მოეწონათ და ათას-ფერი ქება უთხრეს. ფრიდონ მეფემ თავის ძვირფას სტუმარს ნადიმი გაუმართა.

ფრიდონი მალე მორჩა. მაშინ ის და ტარიელი მოემზა-დენ და საომრად წავიდენ. ზღვაში რომ შევიდენ, წინ ნაფ-ებით მტერი დახვდათ. ტარიელმა სულ ერთიანად დალეჭა იმათი ნავები. მტერი შეშინდა, გაბრუნდა და ნავთ-საყუდელს. შეე-ფარა. გმირი ტარიელი აქაც მიუხდა მათ, შეება და შემუსრა ისე, რომ ყველა მაცქერალი გააოცა. მერმე ფრიდონ და ტარიელი ზღვას გასცილდენ და ხმელეთით წავიდენ. აქ იმათ წინ მტრის ცხენოსანი ჯარი დაუხვდათ, შემოუტიეს, შეებენ და ფიცხელი ომი გაიმართა. ფრიდონ და ტარიელი, — ეს ორი გმირი, ლომებივით იბრძოდენ და თითქო ერთმანეთს ეჯიბრე-ბოდენ: სადაც-კი მისწვდენ, ცოცხალი აღარ გაუშვეს მტერი: ფრიდონმა თვითონ შეიპყრა თავისი დამკოდველი მტერი. წა-ართვეს ყველა ქალაქები და იმათ საუნჯესაც დაეპატრონენ.

ფრიდონი და ტარიელი გამარჯვებული რომ დაბრუნდენ, წინ ხალხი მიეგება დიდი ამბითა. ტარიელის ახოვნობას მამა-ცობას და მშვენიერებას ყველანი აღტაცებაში მოჰყავდა. ფრი-დონ მეფემ დიდი სეფობა და ნადიმი გამართა. თავის ძმობილს მრავალი ძვირფასი საჩუქარი მიართვა, მაგრამ, როცა ყველანი მხიარულობდენ, ტარიელი დალრეჯილი იყო: თავის დაკარ-გულ მიჯნურს იგონებდა და გულზე ცეცხლი ეკიდებოდა. ეს ამბავი ყველას უკვირდა, რადგან მიზეზი არავინ იცოდა.

## IX

### ნესტან-დარეჯანის ამბის ცნობა.

„ერთ დღეს მე და ფრიდონი სანატიროთ გავედითო“, ა- უამბობდა ტარიელი ავთანდილს, „ზღვის პირად წაწვდილს ქე

დზე გადავდექით და იქ მიამბო ფრიდონმა ჩემი დამწველის ამბავით". ეს ამბავი აი რაში მდგომარეობდა. თურმე ფრიდონი ერთხელ სანაღიროდ იყო და სწორედ იმ წაწვდილ ქედიდან თვალი მოჰკრა ზღვაში, რაღაც შავ წერტილს, რომელიც მისკენ მოცურავდა. ფრიდონმა ვერ იცნა რა იყო, გაპკვირდა და შორიდან თვალს ადევნებდა. როცა მოახლოვდა, ნახა პატარა ნავი სამოსელით შებურვილი. ამ ნავს ორი ზანგი მოეზიდებოდა. ფრიდონი თვალს არ აშორებდა. ნაპირს რომ მოადგენ, კიდობნილან გაღმოსვეს ერთი საკვირველი მშვენიერი ქალი. ფრიდონმა შისი შეპყრობა მოინდომა და საჩქაროდ თავის მერანი გაქუსლა, მაგრამ ზანგებმა შეიტყეს და გაასწრეს.

ეს ამბავი რომ ტარიელმა გაიგონა, ელდა ნაცემივით ცენიდან გადმოიჭრა და მორთო ტირილი. ფრიდონს ძლიერ გაუკვირდა და ინანა რათ ვუთხარიო. ტარიელმა: უთხრა, ის მთვარე ჩემი იყო, ისა მწვავს და ისა მდაგავსო. მერმეთ მოუყვა და ყველაფერი დაწვრილებით უამბო: ფრიდონმა ჯერ კიდევ არ იცოდა, თუ ტარიელი ინდოეთის პატრონი იყო. გაეხარდა და ემუდარა, ნუ სწუხარ და თავს ნუ იკლავო; ვარჩიოთ და რაცა სჯობდეს, ის ვქნათო. მერმე ადგა და შინ წამოიყვანა ტარიელი. აქ ითათბირეს, როგორ უნდა მოქცეულიყვენ რომ ნესტან-დარეჯანის ამბავი გაეგოთ. ფრიდონმა უთხრა ტარიელს: ჩემი ქალაქი გზა არის ყოველგნით მიმავალთ ნაეთათა. გავგზავნოთ ნავებით მონები და ვაძებნინოთ შენი დაკარგული მიჯნურიო. მანამდე შენ აქ დარჩი, ნუ ინაღვლებ და ამაოდ თავს ნუ მოიკლავო. ტარიელს მოეწონა მეგობრის რჩევა. ფრიდონმა დაიბარა დარჩეული მენავენი და გაგზავნა ყოველ მხრით. მენავენი წავიდენ, დიდ ხანს ეძებეს, მაგრამ მნახველიც ვერ ჰპოვეს. ბოლოს დაბრუნდენ და ბატონს მოახსენეს, ვერაფერი გავიგეთო. ამ ამბავმა ტარიელი მეტის-მეტად დააღონა, იმედი გადასწუვიტა და წამოსულა დააპირა. ფრიდონს ძლიერ უმძიმდა მეგობრის მოშორება, მაგრამ რას იზამდა, დაპყაბულდა, ერთი საკვირველი რაში აჩუქა, გამოეთხოვა და გაისტუ.

მრა. ტარიელი წამოვიდა, კიდევ ბევრი ეძება თავისი სატრფო, მრავალი ქვეყნები მოიარა, მაგრამ არ იქნა, ვერა გაიგორა. ბოლოს, იმედ-დაკარგულმა, გადასწყვიტა კაცთა მოშორება და ტყე და ველად ყოფნა. ასმათსა და თავის ორ მონას ურჩია, თქვენ წადით და მე დამტოვეთო. ისინი გაკვირდენ და გადაჭრილი უარი უთხრეს. შემდეგ ადგა და ის გამოქვაბული კლდე იპოვა, საღაც ავთანდილმა იგი ნახა. ეს გამოქვაბული მოეწონა და დაპატრონება მოინდომა. მაგრამ ის ქვაბი დევების სამყოფი იყო. ტარიელი როდი შეშინდა, მათ შეება და საშინელი ბრძოლა გაიმართა. დევების ყვირილი ცამდი აღიოდა და ლახტების ცემით ქვეყანა ინძრეოდა. გმირმა ტარიელმა მაინც კიდევ სძლია ისინი და დახოცა, მაგრამ იმასაც ორივე მონა მოუკლეს. გადარჩენ მარტო ტარიელი და ასმათი, იმ ქვაბს დაპატრონდენ და დაბინავდენ.

„აპა, ძმაო! მაშინდლიდან აქა ვარ და აქა ვკვდებიო“, უთხრა ბოლოს ტარიელმა ავთანდილს. „სატრფოს სახედ მე ვეფხი გამოვსახე და ამიტომ მეც ვეფხის ტყავი წამოვისხი და მას ვატარებ სიკედილამდისო. კაცთა ნახვა მეჯავრება და მხეცთა თანა ვიარებიო. მხოლოდ ეს ქალი აღარ მშორდება, რაღან ესეც მისთვის ცეცხლ-ნადებიაო“.

საბრალო ვაჟმა რომ ეს ამბავი გაათავა, თავში ხელი იცა, საშინლად მოთქმა დაიწყო და ცხელ ცრემლსა ლვრიდა. ასმათი ახლოს მიუჯდა, მუხლ-მოყრილი შეეხვეწა და, როგორც იყო, გააჩუმა. ამის შემდეგ ავთანდილს უთხრა ტარიელმა: „აწ წადი, ნახე შენი მზე და უამბე, რაც ნახე და ჩემგან გესმაო.“

ავთანდილმა მოახსენა: „ძმაო, შენი მოშორება დღეის იქით აღარ მინდაო“. დაუწყო მუდარა, ნუ სტირი და ნურცთავს იკლავო: მაგითი ვერას უშველი მას, ვისთვისაც ცეცხლი გედებაო. სჯობია მოთმინება იქონიო. მე წავალ, ვნახავ ჩემს მთვარეს, მას ვუამბობ შენს ამბავს, მერმე დავბრუნდები და გიშველიო. დასაჯერებლად ასე ეუბნებოდა;

„რა აქიმი დასწეულდეს, რა ზომ გინდა საქებარი,  
მან სხვა იხმოს მკურნალი და მაჯისაცა შემტყობარი.  
მან უმბოს რაცა სჭირდეს სენი ცეცხლთა მომდებარი,  
სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი“,

ამასთანავე ფიცი ჩამოართვა, ნურსალ წახვალ, აქვე დამ-  
ხვდიო. თვითონაც ფიცი მისცა, მალე დავბრუნდები და არ  
გიღალატებო. ტარიელს მოეწონა ავთანდილის ერთგულება და  
შეჰვიცა: არსალ წავალ, მოგელიო.

მთელი ღამე ერთად დარჩენ, იბაასეს და პური ჭამეს.  
ისე დამეგობრდენ, როგორც ძმები, და ერთმანეთი ძლიერ შე-  
უყვარდათ. რომ გათენდა, ავთანდილი წასასვლელად მოემზადა.  
წასვლისას ერთმანეთს გადაეხვიენ და ტირილით გაიყარენ.  
ასმათიც გამოეთხოვა ავთანდილს და ემუდარა, მალე მოდი,  
მოგვეშველეო. ავთანდილმა ქალს პირობა მისცა და ორი თვე  
ვადა დაუნიშნა.

## X

### ავთანდილის დაბრუნების ამბავი არაბეთში.

ავთანდილი ძლიერ ეშურებოდა არაბეთში მისვლას. პირ-  
ველად იგი თავის მამულში მივიდა. აქ მას ლაშქარნი და დი-  
დებულნი სიხარულით მიეგებენ და მობრძანება მიულოცეს.  
შერმაღინი მოხვია ძვირფას ბატონს და ლმერთს მაღლობა  
შესწირა, მისი ნახვა ომ აღირსა. ავთანდილმაც სიხარულით  
მოიკითხა ერთგული ყმა და უამბო რაც, წასვლის შემდეგ  
თავს გადახდა. შინ ავთანდილი სულ ერთი დღე დარჩა და  
ნადიმი გამართა. მეორე დღეს აფრინა მეფესთან შერმაღინი  
მახარობლად და თვითონაც წავიდა. შერმაღინმა ახარა მეფესა  
და თინათინს ავთანდილის დაბრუნება და ვეფხის-ტყაოსნის  
პოვნა. მათ მახარობელი საჩუქრებით აავსეს. გახარებული მე-  
ჭე კხენზე შებრძანდა, ამალა იახლა და ავთანდილის შესაყრე-

ლად წაბრძანდა. ავთანდილმა თაყვანი სკა. როსტევანმა ავთანდილს მოეხვია, გულში ჩაიკრა და ისე გადაკოცნა. მერე ორნივე დარბაზში მიბრძანდენ. აქ ნაღიმი გაიმართა და ლხინი მთელი დღე არ შემწყდარა; ავთანდილის მშვიდობით მოსვლა ყველას ძლიერ უხაროდა. ავთანდილი მეფეს წინ უჯდა და ყველაფერს უამბობდა: სად იყო, სად იარა და ან ტარიელი როგორ იპოვნა.

ნაღიმი რომ გათავდა, ავთანდილი თავის საღვომზე წავიდა. აქ მიჯნურის კაცი დახვდა, ებრძანა, ნახვა მენატრის და მალე მოდიო, ავთანდილი სიხარულით წავიდა. თინათინი ტახტზე იჯდა. მშვენივრათ მორთული და მთვარესავით ანათებდა. ავთანდილს თინათინი ~~სტური~~ მიეგება, მოიკითხა და წინ დაისვა. მერმე ბოდიში მოიხადა და უთხრა მომიტევე, რომ ამდენი გასაჭირი და ტანჯვა გამოგაცდევიერ. ავთანდილმა მოახსენა ნუ ბოდიშობთ, რაკი ვპოვე, ვინც მინდოდა, განსაცდელი აღარ მახსოვეს.

„ჭეადრა: რა კაცსა სოფელმან მისცეს წადილი გულისა, სსოვნა არა ჭიამს ჭირისა, ვით დღისა გარდასულისა.“

მერმე მოჰყვა და დაწვრილებით უამბო, სად იყო და სად ძებნა ვეფხის-ტყაოსანი, რამდენი გასაჭირი გამოსცადა და როგორ იპოვნა. აუწერა მისი ვინაობა, საკვირველი მშვენიერება, მამაცობა, თავგადასავალი და ტანჯვა მიჯნურისათვის, ან სად და როგორ ცხოვრობდა მაშინ ასმათით. ბოლოს ისიც გაუმჯდავნა, ტარიელს რომ შეპტიცა და დაპირდა შველას. ასე უთხრა.

„ჭიამს მოჰყვარე მოჰყორისათვის თავი ჭირისა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიუვარული გზად და ხიდად.“

ქალს ერთის მხრით უხაროდა, რომ სურვილი კეთილად აუსრულდა, რომ ავთანდილმა ვეფხვის-ტყაოსანი იპოვა და მშვიდობითაც დაბრუნდა, მეორე მხრით კი ეძნელებოდა კვლავ მისი მოშორება. მაგრამ რაკი ფიცის გატეხა და ღალატი არ შეიძლებოდა, ამიტომ ნება დართო და ასე უთხრა:

„საწუთო კაცის უფლებას ვითა ტაროსი უხდების:

ზოგჯერ მზეა და ოდესშე ცა რისხვით მოუქუხდების..”

წამოსვლის დროს ვაუმა უთხრა, შენს სახსოვრათ ნიშანი რამ გამატანეო. ქალმა მოიხსნა მკლავიდან მშვენიერი მარგალიტი და უბოძა. ქალ-ვაჟი რომ ერთმანეთის ჭვრეტით გაძლენ, ვაჟი ადგა, გამოეთხოვა მზის-უნახავს და წამოვიდა მაგრამ მოშორება ძლიერ აწუხებდა და ცეცხლს უკიდებდა. მთელი ღამე სულ იმის ფიქრში იყო, ვაი, თუ მოვკვდე და ველარ ვნახო ჩემი სატრტოო.

დილით ავთანდილი მეფემ მიიწვია სასახლეში. იქ დახვდა მრავალი ხალხი, მის სანახავად შეკრებილი. მეფე სანალიროთ ემზადებოდა და ავთანდილი რომ მივიდა, თან იახლა და წავიდენ. ნადირობის შემდეგ მეფემ სანადიმოთ მიიწვია თვალნი და დიდებულნი. გაიმართა ლხინი. ავთანდილი მეფეს წინ უჯდა და მამა-შვილივით ტკბილად საუბრობდენ. ნადიმი როცა გათავდა, ავთანდილი შინ დაბრუნდა; დიღხანს არ დასძინებია, ტარიელს იგონებდა, კვლავ მის ნახვას ნატრობდა და წასვლას ეშურებოდა. თუმცა კარგად იცოდა, რომ როსტევანი წასვლის ნებას არ მისცემდა. მაინც კიდევ გადასწყვიტა, შუამდგომლად ვეზირის გავგზავნა და თხოვნა.

## XI

ვეზირის შუამდგომლობა და მეფის უარის თქმა.  
ავთანდილის გაპარვა.

გათენდა თუ არა, ავთანდილი ადგა, ჩაიცვა, ცხენზე შეჯდა და ვეზირთან წავიდა. ვეზირს ძლიერ იამა მისი მისვლა, მიეგება, თაყვანი სცა და დიდი პატივით მიიღო. ავთანდილმა უამბო ვეზირს, რაც აწუხებდა და ემუდარა, წადი, სთხოვე მეფეს, ნება დამრთოს და გამიშვასო.. თან დიდ ქრთამს დაპირდა გარჯისათვის, ვეზირმა სიცილით მოახსენა, ქრთამად მე იგიც მეყოფა, რომ მიკადრეთ და მობრძანდით ჩემს

სახლშიო. მაგრამ, უთხრა, ვიცი, მეფე გაჯავრდება. ან მომკლავს და ან ამიკლებსო. ავთანდილი არ მოეშვა და როგორც იყო, დაჯერა:

ვეზირმა სთქმა: „შენი ცეცხლი, მეცა ცეცხლად მომედების, ვეღარ ვუჭირეტ ცრემლთა შენია, სთველიცა გაქარდების; ზოგჯერ თქმა ჭიჭობს არა თქმისა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების. ვიტევი; მოვავდე არა მგამა, ჩემი მზეცა თქვენ მოგვედების“.

ადგა ვეზირი, კრძალვითა და შიშით ხელმწიფესთან წავიდა. მეფე მხიარული და პირ-მლიმარი დაუხვდა. ვეზირი შეკრთა, შეშინდა და მოხსენება ვეღარ გაბედა. მაგრამ მეფემ შენიშნა და უბრძანა, მითხარ რა იცი, ან დალრეჯილი რის-თვის ხარო? მაშინ ვეზირმა მოხსენა ყველაფერი, რაც ავთან-დილმა დაავალა. მეფეს ფერი ეცვალა, გარისხდა, სკამი კედელს ახალა და დალეწა. ვეზირს შეჰკივლა: „ვით გაბედე მაგის თქმა და მოხსენებაო! შეშინებული ვეზირი კანკალით მოშორდა მეფეს და წამოვიდა. გულში ასე ფიქრობდა:

„მტერი მტერს ვერას ავნებს, რომელ კაცი თავს ივნებს“.

როცა შინ მივიდა დალრეჯილი, ყველაფერი უამბო ავთანდილს, რაც მოხდა სასახლეში. ავთანდილს ძლიერ ეწყინა, ინალვლა, მაგრამ რას უშველიდა. ვეზირს დიდათ დაუმაღლა და დაასაჩუქრა. საღამომდის ვეზირთან დარჩა, ისაღილა და მზის ჩასვლისას შინ წავიდა. რა-კი მეფემ არ გაუშვა, გაპარვა გადასწყვიტა და ასე ფიქრობდა:

„ოდეს კაცს დაქვიროს მაშინ უნდა ძმა და თვისიო“.

თავის სამშობლოში რომ მივიდა, დაისვა გვერდით თავისი ერთგული ყმა შერმადინი, უამბო ყველაფერი და თანაც გაუმუღავნა, უნდა გავიპაროვო. დაავალა, მეფის ერთგული იყავიო, ჩემს სახლსა და კარს შენ უპატრონეო, ჯარებსაც ეთავადეო, მტერს და მოყვარეს პასუხი ჩემს ნაცვლად შენ გაეკიო და დაპირდა, თუ ღმერთმა ჰქმნა და ცოცხალი დავბრუნდი ერთი-ორად გადაგიხდიო. როსტევანთან ანდერძი დასწერა და შერმადინს გადასცა.

თავის ანდერძში ავთანდილი სწერდა გამზრდელ მეფეს, შეუძლებელია, ფიცი გავტეხო, არ წავიდე და არ ვუშველო ჩემს ძმობილს ტარიელსო. ფიცის გატეხა და მოყვრის ღალატი დიდი ცოდვააო. მოციქულები და ფილოსოფოსნი ასე ბრძანებენო. თან ევედრებოდა მეფეს, მოთმინება იქონიეთ. ნუ და-მგმობთ, შემინდეთ და კურთხევა წამატანეთო. ჩემზე ნუ ნა-ღვლობთ; რაც განვებაა, ის ასრულდებაო. არ რა მშვენი-ერი სიტყვებით ესაუბრებოდა, სხვათა შორის, ავთანდილი მეფეს თავის სამაგალითო ანდერძში.

, „ვიცი ბოლოდ არ დამიგობ ამა ჩემსა განზრახულსა, —  
კაცი ბრძენი გერ გასწირავს მოუვარესა მოუგარესა;  
მე სიტყვასა ერთსა გვაღრებ, ჰლატონისგან<sup>1)</sup> სწავლა-თქმულსა:  
„სიცრუებ და თოპირობა ავნებს ხორცსა მერმე სულსა“.  
რაცა ღმერთსა არა სწადეს, არა საქმე არ იქმნების,  
შზისა შუქთა გერ-შჭერეტელი ია ხმების, ჭარდი ჭენების.  
„რა უარეა მამაცსა, ამშიგან პირის მდმეჭელსა.  
შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭელსა!  
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა, ქსლისა მბეჭელსა? —  
სჯობს სახელისა მოხვეჭსა უოველსა მოსახვეჭსა!  
„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო ვერცა კლდოვანი;  
მისგან უოველი გასწორდეს სუსტი და ძალ-გულოვანი;  
ბოლოდ შეჭყარნეს მიწამან ერთგან მოუმე და მხცდევანი,  
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!“  
„არას გარგებს სიმიშილი, უსარგებლო ცრემლთა დენა,  
არ გარდავა გარდუალად მომაფალი საქმე ზენა;  
წესი არის მამათაგან მოჭირება, ჭირთა თმენა,  
არგის ძალუქს ხორციელსა განგებისა გარდავლენა“.

ბოლოს სწერდა გამზრდელ მეფეს, თუ ვინიცობაა, საწუ-  
თრომ მიღალატა და მოვკვდი, მაპატიეთ, დამიტირეთ, ჩემი  
მონები გაათავისუფლეთ და ობოლნი და გლახაკნი გაიკითხეთო:

1) პლატონი ბერძნების გამოჩენილი ფილოსოფოსი იყო.

,,თუ საწუთომან დამიშხობელმან,  
დარიბი მოვყედე დარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან,  
ვეღარ შემსუდოოს დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან,  
მენ შემიწყალოს თქვენმავე გულმან მოწეალე-მლობელმან.“  
მაქვს საქნეები ურიცხვი, ვერვისგან ანაწოები, —  
მიეც გლასხავთა საჭურჭლე, აიავისუფლე მონები,  
შენ დაამდიდრე უოველი ობოლი, არას მქონები:  
მიღვწიან მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“.

ანდერძის წერას რომ მორჩა, ასე ილოცა:

,,დმერთო, ღმერთო, მოწეალეთ, არვინ მივის შენგან კიდე,  
შენგან ვითხოვ შეწენასა, რაზომსაცა გზასა ვვლიდე:  
მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, ღამით მავნე განმარიდე!  
თუდა დავრჩე, გმსახურებდე, შენდა მსხვერპლსა შევწირვიდე.“

მერმე შერმაღინს გამოეთხოვა, შეჯდა ცხენზე, ახსენა  
ღმერთი და მალვით წავიდა. საბრალო შერმაღინმა ბევრი ევე-  
დრა, მეც თან მიახლეო, მაგრამ უარი უთხრა.

დილას როსტევან მეფე საშინლად გამწყრალი ადგა და  
ვეზირის ხმობა ბრძანა. ვეზირი შიშითა და მოწიწებით იახლა.  
მეფე ისეთს მდგომარეობაში იყო, — ალარც კი ახსოვდა კარგად  
რისთვის შეტუქსა ერთგული ვეზირი. ვეზირმა კვლავ გაახსენა  
გუშინდელი ამბავი. გაჯავრებულმა ხელმწიფემ სიტყვა გააწ-  
ყვეტინა და უბრძანა, მეტად ალარ მომავნონო. ვეზირი რომ  
მოშორდა და გამოვიდა, ავთანდილის გაპარვა შეიტყო, მაგრამ  
მეფეს მოხსენება ვეღარ გაუბედა. ავთანდილმა დაიგვიანა. მე-  
ფემ იფიქრა: „უცილოდ გაიპარაო“, და ვეზირი დაიბარა.  
ვეზირმა ყველათერი მოხსენა როსტევანმა წვერის გლეჯით  
მოთქმა მორთო და დიდხანს ცრემლსა ლვრიდა. იგონებდა თა-  
ვის გაზრდილს და უბნობდა: „რათ მომიძულე, რათ დამაგდე?  
მე უშენოდ როგორ გავძლო, ან რომ მოვკვდე, ვინ მიტი-  
რებსო“.

ავთანდილის გაპარვა და მოშორება ყველას საწყენად და-  
ურჩათ. დიდ-კაცობა და ლაშქარი სასახლეს მოაწყდა. ყველა-

ნი სწუხდენ, სტიროდენ და დაღრეჯილ მეფეს უსამძიმრებდენ. მეფეც პასუხად ბრძანებდა: „რა ვაწყინეთ, რა შევცოდეთ, რად გაგვყარნა, რად გაგვწირნაო“.

ბოლოს მეფე დაფიქრდა, მარტო წავიდა ავთანდილი, თუ წაჟურა ნეტავ ვინმეო? სწორეთ ამ დროს შერმადინიც მოვიდა და ავთანდილის ანდერძი მიართვა მეფეს. მეფემ ანდერძი გადაიკითხა და გაიგო რომ ავთანდილი შარტო წასულიყო. ამან კიდევ უფრო მოუკიდა ცეცხლი გულ-დამწვარ მეფეს. სასახლეში შესწყდა ყოველგვარი ლხინი, ყველანი ავთანდილის მოშორებას გლოვობდენ. მეფემ აუარებელი მოწყალება დაუჩიგა გლახაკთა, დავრდომილთა და ქვრივ-ობოლთა და უბრძანა, ელოცათ ავთანდილისთვის.

## XII

### ავთანდილის მოგზაურობა. ტარიელის შეურა.

ავთანდილი გზაზე საშინლად ნაღვლობდა: იგონებდა თავის სატრფოს, გამზრდელ მეფეს, საყვარელ სამშობლოსა და ლაშქარს; მოშორება გულს უკლავდა და ცრემლებს ლვრიდა. ასე ფიქრობდა, ვაი თუ მოვკვდე და ვეღარ ვეღირსო იმათ ნახვასო. გული და გონებაც მისი თინათინთან იყო, მაგრამ აბა რას იზამდა. ფიცის გატეხა ეძნელებოდა და ტარიელის შველაც ენატრებოდა. ორ ცეცხლ შუა იყო საბრალო. დღე და ღამე გზაზე შეუსვენებლათ მიღიოდა და ღმერთს ევედრებოდა. ცას, შზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს შესჩიოდა და შველას სთხოვდა. ხანდის-ხან წყლის პირად ისვენებდა, ნაღირის ხორცისა სწვავდა და თავს იმითი ირჩენდა.

ბოლოს, როგორც იყო დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ ავთანდილმა მიაღწია იმ ადგილს, საღაც ტარიელი სცხოვრობდა. შორიდან ქვაბი დაინახა და დიდათ გაეხარდა. კარებს რომ მიუახლოვდა, წინ ასმათი მიეგება. ავთანდილი სიჩქარით გადმოხტა, ქალს მოეხვია, აკოცა და ტარიელის ამბავი ჭკითხა. ასმათმა ტირილით უპასუხა: დიდი

ხანია მომშორდა, წავიდა და ოღარ მოსულაო. საბრალო ავთან-დილს, ამ სიტყვებმა ლახვარივით გაუარეს გულში, ძლიერ ეწყინა და ტარიელს უსაყვედურა, თუ არ შეეძლო, რად დამპირდა, ან რად გატეხა ფიცი თვისიო? ასმათმა ტარიელი გაამართლა და მოახსენა ავთანდილს, რომ იგი თავის გონებაზე აღარ არისო, სიცოცხლე მობეზრებია და მარტო სიკვდილს ნატრობსო. უამბო: როცა წავიდა, ვკითხე, ავთანდილი რომ მოვიდეს რა ქნას; სად გეძიოსო? მან მიბრძანა, უთხარ ავთანდილს, ამ არეს არ მოშორდები; არ მინდა ფიცის გატეხაო. თუ მკვდარი მნახოს, დამმარხოსო, ცოცხალი მნახოს, უკვირდეს სათუო ჩემი სიცოცხლეო. შემდეგ ამისა ასმათი შეევედრა ავთანდილს, წალით, ძებნეთ, იქნებ ცოცხალი სადმე იპოვოთო. ავთანდილმა ცოტა დაისვენა, მოკლედ უამბო ასმათს თავისი გამოპარვით წამოსვლა, მიჯნურისა და გამზრდელ მეფის მიტოვება. მერმე გამოესალმა ქალს და წავიდა ტარიელის საძებრად. მიღიოდა და სჩიოდა:

„მოუგარემან გარდის კონა გულსა მკრა და დამიწულულა,  
იგი ფიცი ჩემგან სრული, მან ადარა კამისრულა,  
მას თუ გამური, საწუთოფერ, ჩემი ლხინი გარდასრულა,  
სხვა მოუგარე თვალსა ჩემსა გაჭიცულა გაბასრულა.“

სამი დღე და ღამე ეძია. მოვლო მრავალი ხევი, შამბნარი, ტყე და ველი. მაგრამ მაინც ვერსად იპოვა. ბოლოს როცა ნაღვლიანი მიღიოდა და ლმერთსა და ბედს უჩიოდა; ერთ ქედს გადაადგა და მზიან-ჩრდილიანი ველი დაინახა, აქ მან თვალი მოჰკრა, შამბის ძირს სარავე უკუ-ყრილ, ტარიელის ცხენს, სიხარულისგან გულმა ფანცქალი დაუწყო, იფიქრა, უთუოდ იგიაო და გრიგალივით ჩაირბინა. იქ მართლაც ნახა ტარიელი, მაგრამ საკვირველი სურათი წარმოუდგა თვალ წინ. ტარიელს პირი ჰქონდა დაკაწრული, საყელო გადაგლეჯილი და თმა გაწეწილი. თვალთაგან ცრემლი სდიოდა და ამ ქვეყნის აღარა ესმოდა-რა. ერთის მხრით ეგდო მოკლული ლომი და სისხლიანი ხმალი, მეორე მხრით კი უსულო ვე-

თქი მიწაზე გაშელართული. ავთანდილი მიიჭრა ტარიელთან, შესძახა, ახლოს მიუჯდა ცრემლი მოსწურა, და ჩასძახოდა: „ძმაო ტარიელ! ვერ მიცნობ შენს ავთანდილს, შენთვის მკვდარსაო“.

მაინც კიდევ დიდხანს ვერაფერი შეასმინა. ბოლოს დიდი ცდით, წვალებით და მოვლით, როგორც იქმნა, გონებაზე მოიყვანა. ტარიელმა თვალი გაახილა, იცნო ავთანდილი და ტირილით ყელს მოეჭდო „მადლობა ღმერთს კიდევ გნახეო,“ უთხრა, „ჩემს თავს შეცებს ნუ შეაჭმევ, დამარხე და დამიტირეო.“

ავთანდილმა უკიუინა სულ-მდაბლობა, გაამხნევა, თავს ნუ იკლავო და უთხრა: „ჭირსა შიგან გამაგრება, ასე უნდა, ვით ქვიტკირსო“. მაგრამ მაინც არ გაუციდა, — ვერ დააჯერა, რომ ამდგარიყო და შინ წაყოლოდა. არ რა სიტყვებითა და მაგალითებით ესაუბრებოდა იგი ტარიელს:

„ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ სახმილი სდებიან,  
ვის არ უნახავს ჰატიუნი, ვისთვის ვინ არა ბნდებიან?  
მითხარ, უსახო რა ჭქმილა, სული რად ამოგხდებიან,  
არ იცი, ვარდი უკეთოდ არავის მოუკრებიან?“

მაინც კიდევ ვერას გახდა. სხვა რომ ვერა გააწყორ-რა, ბოლოს ასეთი ხერხი იხმარა. ავთანდილმა იცოდა, რომ ცხენით გავლა დარდს გაუქარვებდა და ამიტომ შეეხვეწა: „ნუ გამიშვებ გულ ნატკენს, ცხენზე შეჯექ, გაიარე, უწინდელებრ და-გინახოო“. ტარიელი დათანხმდა. ავთანდილმა ცხენი მოჰვარა და ნელა შესვა. გაიარეს და სიარულმა მართლაც მოჯობინება დააჩნია. გზა-გზა ავთანდილმა ტარიელი ტკბილი სიტყვებით შეაქცია. ბოლოს უთხრა, რასმე გკითხავ, გამიცხადე დაფარულიო: „შენ რომ მის სამხრე გაბია, ვისთვისაც გწვავს ალი, რა რიგ გიყვარს, როგორ გიღირსო“? ტარიელმა უპასუხა: „უგ არის ჩემი სიცოცხლე, მთელ ქვეყანას მირჩევნიაო“?

ავთანდილმა ამით ისარგებლა, ასმათი მოაგონა და ასე უსაყველურა: „თუ კი მართლა უსულო და გაჭედილი ოქრო

აგრე ძვირფასად გილირსო. მაშ შენი მიჯნურის გამზღველი, შენი ასმათი, რატომ მოგიძულებია? რათ არ წამოხვალ, არ ნახავ, უპატრონოდ დაგიგდიაო“?

ტარიელმა რომ ეს მოისმინა, ავთანდილს უთხრა; რა-კი სიკვდილს მომარჩინე, თანახმა ვარ, წავიდეთ და ვნახოთ ჩემი ერთგული ასმათიო. ამას შემდეგ, მართლაც, ორნივე ქვაბისკენ გაემგზავრნენ.

აი გზაში რა უამბო ტარიელმა თავის ძვირფას ძმობილ ავთანდილს: შენ რომ წახვედი, ქვაბში ყოფნა მომწყინდა, ავდექ, ცხენზე შევჯექ და წამოვედი. ვიარე და ამ ქედზე გადმოვდექი. დავინახე ლომი და ვეფხი ერთად შეიყარენ, იცელ-ქეს და ითამაშეს, თითქო მიჯნურები ყოფილიყვნენ. გამეხა-რდა მათი ნახვა, გულზე დარდი. გადამყარეს, მაგრამ მერმე გამაკვირვეს: შეიძენ, წაიკიდენ და ერთმანეთი არ დაინდვეს. ლომმა სძლია, გამოუდგა ვეფხს და მოკვლა მოუნდომა. მე გავრისხდი და ვიფიქრე, რათ ჰკლავს საყვარელს-მეთქი: ხმალ-გაწვდილმა შევუტიე ლომს, ვსტყორცნე თავში და სიცოცხლე დავამწარე. მას შემდეგ ხმალი გადავაგდე, ვეფხი შევიპყარ ხე-ლით. ვეფხი მიღრენდა, არ მზოგავდა და ბრჭყალიბით სისხლს მაღენდა. გავგულისდი ისიც შიწაზე დავანარცხე და მოვკლი: მაშინ გამახსენდა, მე რომ ჩემს საყვარელს ვითა ლომი წავე-კიდე. ამან ცეცხლი წამიკიდა, ცნობა დამიკარგა და კინალამ სული დავლიე. ამ დროს შენც მოხველ, მომეშველე და სასიკვდილო მომაბრუნე. მაშ, რად გიკვირს, რომ ვსტირი და სიცოცხლეს აღარ ვინატრიო, უთხრა ავთანდილს.

ტარიელმა რომ ეს ამბავი გაათავა, კვლავ მოაგონდა თა-ვისი მიჯნური, ასტირდა და ცხელი. ცრემლები გადმოყარა. ავთანდილი-კი ამ დროს ტარიელს ამხნევებდა და იმედს აძლე-ვდა. ამასობაში ქვაბს მიუახლოვდენ. გახარებული ასმათი გა-რეთ გამოიჭრა, ტარიელს მოეხვია, აკოცა და ღმერთს მაღლო-ბა შესწირა. მერმე ყველანი ქვაბში შევიდენ და ასმათმა ვე-ფხის ტყავი დაუგო გმირებს. ისინი დასხდენ და კვლავ გამა-

რთეს საუბარი. ასმათმა მწვადი შეწვა და მიართვა მათ, მაგრამ ლონე მიხდილ ტარიელს. ჭამის თავი აღარა ჰქონდა. ღამე ერთად გაათიეს, ისაუბრეს და არჩიეს, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. ტარიელი ავთანდილს მადლობას ეუბნებოდა, რადგან მისთვის ამოდენი ჯაფა და სიკეთე არ დაიშურა, თანაც ეხვეწებოდა: „აწ წადი და შენს მიჯნურთან დაბრუნდიო“.

ავთანდილმა გადაჭრილი უარი უთხრა და პირ-იქით ემუდარა, გამხნევდი და შენ თავს ნურაფერს ავნებო. ერთი წელიწადი მოითმინეო, წავალ, ვეძებ შენს მზეს და უკეთუ-ვერ ვიპოვე და ცოცხალი არ დავბრუნდი, რაც გნებავდეს; ის ჰქმენიო. ტარიელი დათანხმდა და პირობა მისცა. დილით ავთანდილი და ტარიელი ასმათს გამოეთხოვენ და წავიდენ, მთელი დღე ერთად იარეს და ზღვას მიახლოვდენ. ღამე ურთად გაათიეს. აქ ტარიელმა ასწავლა ავთანდილს ფრიდონთან მიმავალი გზა და შეეხვეწა, წადი, ნახე და ჩემი ტანჯვა უამბეო. დილით მოეხვიენ ერთმანეთს, ტირილითა და კოცნით გამოესალმენ და გაშორდენ. საბრალო ტარიელი დარჩა მარტო დალონებული, მიმავალ ძმობილს დიდს ხანს უცქეროდა და თვალს ვეღარ აშორებდა.

### XIII.

#### ავთანდილის წასვლა ფრიდონთან.

გზად მიმავალი ავთანდილი ფიქრობდა თავის თავ-გადასავალზე და გულ-დანალვლიანებული ასე ჰსჩიოდა:

„გად, სოფელთ, რაშიგან ხარ, რას გვაძრუნებ, რა ზნე გჲირსა! უფლიმც შენი მინდობილი ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა;

სად წაიუგან სადაურსა, ადუფზერი სადით ძირსა,

მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა.“

როდესაც მოაგონდება თავისი საყვარელი, რომელსაც თვი დაანება და დაშორდა, იგი მიმართავს მზეს ამ სიტყვებით:

„აწა, მზეო, გეჯები შენ, მძღესთა მძღეთა მძღესა,

ვინ დაბალსა გაამადლებ, მეფობსა მისცემ სვესა,

მე ნე გამური საუფარელსა, ნე შემიცვლი დამედ დღესა.“

ამ გვარად მიღიოდა საბრალო ავთანდილი და მრავალ-ნაირ გულის გასაგმირავ ლექსებს იმღეროდა. სამოცდა ათი დღე იარა. ბოლოს ერთ ზღვის პირას მივიდა. იქ მენავეები ნახა და მათი ვინაობა გამოიკითხა. მენავეებმა ყველაფერი და-წვრილებით მოახსენეს და უთხრეს, აქედან იწყება თურქთა სამე-ფოს საზღვარიო, რომლის ხელმწიფე არის ნურადინ ფრიდონი, კაცი ჭკვიანი და პატიოსანიო. ჩვენც მათი მონები ვართ და აქითკენ მივეშურებითო. ავთანდილს ძლიერ გაეხარდა რომელი-დონის სახელი გაიგონა და უბრძანა, მე სწორედ თქვენს მეფესთან მივდივარ და გზა მასწავლეთო. მათ ბრძანება აღუსრულეს და გზა დაულოცეს. გზაზე ვინც-კი შემოხვდა ავთანდილს, ყველას აკვირვებდა მისი მშვენიერება და თვალს ვერ აშორებდენ.

მულდაზანზარის ქალაქს რომ მიუახლოვდა, სადაც ფრი-დონი ცხოვრობდა, დიდი მინდორი ნახა. ლაშქარს ველზედ ალყა შემოერტყა და ნადირობა გაემართა. ავთანდილს მოახ-სენეს, ფრიდონ მეფე ნადირობსო. ძლიერ იამა და პირდა-პირ ლაშქრისკენ გასწია. როცა მიახლოვდა, ერთბაშად ჰაერში ორბი გამოჩნდა. ავთანდილმა ცხენზე მჯდარმა ამოილო ნიშანში, სტყორცნა ისარი და ორბი ძირს ჩამოაგდო. ავთანდილი სა-ჩქაროდ გადმოხტა, ორბს ფრთები დასჭრა და კვლავ წყნარად ცხენზე შეჯდა. ჯარმა რომ ეს დაინახა, გაუკვირდა, ალყას თავი დაანება და გარს შემოერტყა საკვირველ უცხო ვაუს. ყვე-ლანი შურითა და გაკვირვებითა უყურებდენ.

ფრიდონ მეფე ამ დროს ორმოცი დარჩეული კაცით ქედზედ ბრძანდებოდა და იქ ნადირს მოელოდა. ალყის დაშლა გაუკვირდა; კაცი აფრინა საჩქაროდ, ლაშქარს ჰკითხე, რა მო-ხდაო. პასუხად ავთანდილმა შეუთვალა, ნუ გასწყრები, დიდო მეფევ, მოვსულვარ თქვენთან სტუმრად მე, ტარიელის მეგო-ბარიო. ფრიდონს რომ ტარიელის სახელი ესმა, ძლიერ იამა, ქედიდან ჩამოიჭრა და ავთანდილს მიეგება. ავთანდილმა თა-ყვანი სცა და სალაში მოახსენა. ფრიდონი მოეხვია და გადა-კოცნა უცხო სტუმარი.

მეფემ სთხოვა, შინ წავიდეთო. ნადირობა დაიშალა. გზა-  
ზე ავთანდილმა უამბო მეფეს თავისი ვინაობა, ვეფხის-ტყაო-  
სნის ნახვა როსტეჭან მეფის მიერ, მისი ძებნა, ქვაბში შეყრა



„სტყორცნა ისარი და ორბი ძირს ჩამოაგდო.“ (გვრ45).ე.

და დაძმობილება. ბოლოს მოახსენა, ტარიელმა ოქვენი სიკეთე მიამბო და მეც გიახელით, რომ მიჩვენოთ ის ადგილი, სადაც ჰპოვეთ მისი მზეო. ფრიდონი ძლიერ შეწუხდა, ტარიელის ტანჯვა და წვალება რომ მოისმინა: იგონებდა მასთან ყოფნას, იბრალებდა და ცრემლსა ღვრიდა.

ავთანდილი ძლიერ გააკვირვა წეს-წყობილებამ, რომელიც ფრიდონის სასახლეში და მის სამეფოში ნახა. ფრიდონმა დინდი ამბით და პატივით მიიღო უცხო სტუმარი, ნადიმი გაუმართა და მრავალი ძვირფასი საჩუქარი მიართვა: ავთანდილი იქ რამდენიმე დღე დარჩა; ფრიდონთან ერთად ნადირობდა და ყველას აკვირვებდა სიმარდით და მშვილდ-ისრობით. მერმე მოინდომა წასვლა. ფრიდონს სთხოვა, ზღვის პირს წამყევ და მიჩვენე ის ადგილი, სადაც ნახეთ ორი ზანგი და კიდობნით ტურფა ქალიო.

ფრიდონს თუმცა არ ჰსურდა ავთანდილის აგრე მალე გაუშვება, მაგრამ უარი ვეღარ უთხრა და გაჰყვა. ერთი მშვენიერი შეკაზმული ტაიჭი და სრული აბჯარი მიართვა; ოთხი გამოცდილი მონა აახლო; ჯორზე საგებელი აუკიდა და ასე გაისტუმრა: თვითონაც ზღვის პირამდინ გააცილა, უჩვენა ის ადგილი, სადაც ერთხელ ნესტან-დარეჯანი ნახა და გარემოებაც უამბო. ბოლოს მოეხვია და გამოეთხოვა.

#### XIV.

#### ავთანდილის წასვლა ნესტან-დარეჯანის საძებრად.

ავთანდილმა ასი დღე იარა. გზაზე ხან თავისი მიჯნური აგონდებოდა და ხან ტარიელი. შავი ფიქრები გულს უწყლულებდენ და არ უსვენებდენ. სადაც-კი ზღვით მომავალ შეზაერს ნახავდა, ყველას ნესტან-დარეჯანის ამბავს ჰკითხავდა ხოლმე, მაგრამ ვერა შეიტყო-რა. ბოლოს ერთ ზღვის პირათ ქარავანი ნახა. მოქარავნეები დალონებული ადგენ, ვერც ზღვაში

დესვლას ჰბედავდენ და უკან დაბრუნებაც ეძნელებოდათ. ავთანდილმა სალამი მისცა და ვინაობა გამოჰკითხა. ქარავანის პატრონმა უსამ მოახსენა, ბალდადეველი ვაჭრები ვართო; ზღვათა მეფის ქალაქს მივალთო. მაგრამ მეკობრებისა გვეშინიან რა ზღვაში შესვლა ვერ გაგვიძელნია. ავთანდილმა გაამხნევა ვაჭრები, აიმედა და უთხრა: „მე ვიცი და მეკობრებმა, წამომყევით, ზღვაში შევიდეთო.“ ვაჭრებს ძლიერ გაეხარდათ, თაყვანი სცეს, ქებაც მოახსენეს და წავიდენ. როგორც კი ცოტა გაიარეს, მეკობრების ნავიც გამოჩნდა მაღალის დროშით. ნავს ძელზე სახნისი ეგო. მორთეს კივილი და ვაჭრებისაკენ გამოაჩქარეს ნავი; ჯაბანი ვაჭრები შეშინდენ, მაგრამ ავთანდილმა უბრძანა მათ, ნავებში დაიმალეთ და ნურას გეშინიათო. თვითონ-კი აბჯარი გადიცვა, რკინის კეტი აიღო და მამაცურათ თავში დადგა. მეკობრები კივილით მოუხდენ და ნავს სახნისი უძგერეს. მაგრამ ავთანდსლმა მოასწრო, კეტი ჰკრა და ძელი მოსტეხა. მტრებმა გაქცევა დააპირეს. ამ დროს ავთანდილი ნავში გადახტა და მუსრი გაადინა ყველას;

,,მათ ფაშქართა გულ-უშიშრად ასრე ხოცდა ვითა თხასა,

ზოგნი ნავსა შეანარცხის, ზოგსა ჭურიდა შიგან ზდფასა;

ერთმანეთსა შემოსტურცხდის, რვა ცხრასა და ცხრა ჭკრის რვასა;

ვინც რჩენილან, მკვდართა შეა იმალვიან, ჭმალვენ ხმასა.“

ვინც კი ცოცხლები გადარჩენ, ეხვეწებოდენ, ღმერთი იწამე, ნუ დაგვხოც, ყველა თქვენ გეახლებითო. მეკობრები რომ სძლია და ამოწყვიტა, მათ საუნჯეს დაეპატრონა. ვაჭრებმა იზრიალეს, ამოვიდენ და ავთანდილს თაყვანი სცეს: ხელ-ფეხი გადუკოცნეს და სათითაოდ ქება უთხრეს. მერმე მეკობრების ნავები დასცალეს, რაც-კი ჰპოვეს, გაღმოზიდეს და თვით ნავები-კი დასწვეს.

ქარავნის უფროსმა ავთანდილს უმდაბლესათ მოახსენა: „ყოველივე, რაც-კი რამ გვაქვს, თქვენი იყოს, რადგან სიკვდილს გადაგვარჩინეთ.“ ავთანდილმა უარი უთხრა, მხოლოდ სთხოვა, მე მსურს ჩემი ვინაობის დაფარვა. თქვენც ასე

სთქვით, ვითომ მეც ვაჭარი ვარ, მიუფროსეთ და მიბატონეთო: ვაჭრებს ძლიერ გაეხარდათ, აღგენ, ყველამ თაყვანი სცეს და იუფროსეს. ავთანდილი, მართლაც, ვაჭრულად გამოაწყვეს და წავიდენ. კარგი დარი დაუდგათ, იარეს და ზღვის პირს მიადგენ. ზღვის გაღმა დიდი ქალაქი და მშვენიერი ბალები იყო: ვაჭრებმა ნავი დააბეს და საქონელი გადმოზიდეს. ავთანდილმა ჯუბა ჩაიცვა და დაბრძანდა, ვით უფროსი.

## XV

**ამბავი ავთანდილისა და ფატმანის გაცნობისა და  
დამეგობრებისა.**

როცა ავთანდილი და ვაჭრები ბალის პირად დაბინავდენ. იმ დროს იქაური მებალე მივიდა და ცქერა დაუწყო მათ. ავთანდილი ესაუბრა და ამბავი ჰქითხა მას. მებალემ მოახსენა, ეგ ქვეყანა ზღვათა მეფის სამეფო არისო: თვით ამ ქალაქს გულაშაროს უწოდებენო. ზღვით მოაქვთ ყოველ მხრიდან ძვირფასი საქონელიო. მეფედ ზის მელიქ-სურხავი, სავსე ყოველის დიდებითაო. მკვიდრი ხალხია პურადი, მოქეიფე და მხიარულიო. ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვავილი ფერად-ფერადიო. ვინც-კი მოდიან, ყველანი გვიცნობენ და ჩვენ შეგვნატრიანო. მე ვარ უსენის მებალე, ვაჭრების უფროსისაო. ვინც აქ მოდის სავაჭროდ, უსათუოდ ბატონს ნახავს, ძლვენსა უძლვნის, მოიკითხავს, სავაჭროსაც მას უჩვენებსო. უსენი აარჩევს სასახლისათვის, რაც რამ კარგიაო, ფულს დაუთვლის, ბაჯალლო ოქროს და ნებას დართავს ვაჭრობისასაო. ახლა უსენი შინ არ არის. მის ნაცვლად ქალაქს ქალბატონი განაგებსო. მისი ცოლი ფატმან-ხათუნ პურადი და სტუმართ მოყვარე ადამიანიაო. წავალ ვეტყვი, რომ მობრძანდით, მიგიშვევთ და პატივს გცემთო, მოახსენა მებალემ ავთანდილს. ავთანდილმა უბრძანა, აგრე ჰქენიო. მებალე გახარებული გაიქცა და ახარა ქალბატონს მდი-

დარი და მშვენიერი ვაჭრის მოსვლა. ფატმანს ძლიერ გაეხარდა, ათი მონა გაუგზავნა, დაპეატიუა მიიწვია. თვით მის ვაჭრებს ქარვასლაში საკუთარი ბინა მისცა. ფატმან-ხათუნ თუმცა ხანში შესული დედაკაცი იყო, მაგრამ კოხტა, ქეიფის მიმდევარი და განცხრომის მოყვარული გახლდათ. ავთანდილი რომ მივიდა, ფატმანი წინ მოეგება. ერთმანეთი მოიკითხეს, შევიდენ და შინ დასხდენ. ფატმანს ავთანდილი ძლიერ მოეწონა, მისი სტუმრობა იამა, აღარ გაუშვა და გაუმასპინძლდა. ავთანდილმა უძლვნა ფატმანს ძვირფასი საჩუქრები.

მეორე დღეს გაახსნევინა ვაჭრებს საქონელი. მან სასეფოდ აირჩია ყველაფერი, რაც-კი მოეწონა, ლასი დაუთვალი და ვაჭრობის ნება დართო. ავთანდილმა უთხრა ვაჭრებს, აწ წადით და ივაჭრეთ, როგორც გინდათო, მხოლოდ გააფრთხილა არ გამცეთო.

ავთანდილი ყოველ დღე ვაჭრულათ იცვამდა; ფატმანთან ხშირად სტუმრად მიღიოდა და ნადიმობდა. ქალს ძლიერ მოეწონა ავთანდილი და კიდეც შეუყვარდა. ქალი ცდილობდა დაეფარა თავისი გრძნობა, მაგრამ ვეღარ ახერხებდა. გამუღავნებისაც ეშინოდა; ვაი თუ ეწყინოს, შეხედვაც დამიძვიროსო. მაგრამ მერმე იფიქრა:

,,მას მჟღნალმა რთგორ ჭეულნოს, თუ არ უთხრას რაცა სჭირდეს.“.

ადგა და ერთს საღამოს წიგნი მისწერა ავთანდილს და მჩიწვია.

ავთანდილს თავის ძვირფასი თინათინის სახე უდგა თვალწინ. სულ ის ახსოვდა, მას იგონებდა და სხვა მიჯნური რად იამებოდა, მაგრამ ფატმანზე მაინც არ გაჯავრდა, რადგანაც იცოდა, რა ჯურის ქალიც იყო და ასე სთქვა:

,,კოვასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების.“

ამას გარდა დარწმუნებული იყო იმაში, რომ რადგან ფატმანი ისეთ ქალაქში სცხოვრობდა და ისე მრავალ მომსვლელ-წამ-სვლელს იცნობდა, უსათუოდ რაიმე უნდა ცოდნოდა ნესტან-დარეჯანის შესახებ. ამიტომაც აღარ იუკადრისა მისი მიჯნურობა და

თვითონაც პასუხი მისწერა, ვითომ და, იმასაც ძლიერ უნდოდა მასთან დაახლოვება:

,მოგეწერა, წავიგითხე შენი წიგნი, ჩემი ქება,

შენ მომასწარ, თვარე შენგან შე უფრო მჭიდრო ცეცხლთა დება,

შენცა გინდა, მეცა მინდა. გაუწევეტლად შენი ხდება,

შეურა არის ჰირიანი, თრთავეა რადგან ნება.“

ფატმანი სიხარულით ფეხზედ აღარ იდგა და კვლავ მისწერა საჩქაროდ წერილი და იმავე საღამოსთვის იხმო. ავთან ნდილი ადგა და, როცა შელამდა, წავიდა. მაგრამ გზაზე ფატმანის კაცი მოეგება და მოახსენა, შინ დაბრუნდი წუ მოხვალო. ავთანდილმა ითაკილა, ეწყინა და აღარ დაბრუნდა. როცა მივიდა, ქალი მოწყენით დახვდა, რაღაც აწუხებდა.

მაინც ერთად დასხდენ და საუბარი დაიწყეს. ამ დროს ვიღაც უცხო შემოვიდა; კეკლუცად იყო ჩაცმული. და უკან ხმლით მონა მოსდევდა. ქალთან რომ ავთანდილი ნახა, ეუცხოვა, და ძლიერ გაუკვირდა. ფატმანი შეკრთა, შეშინდა და სრულიად აკანკალდა. გარისხებული ვაჟ-კაცი ფატმანს ასე დაექადა: „თუ გამითენდა, განანებ მაგა ყმისა ყოლასაო, სიცოცხლეს გაგიმწარებ, შვილებს შენი კბილით შეგაჭმევო. თუ არ გიყო, რაც რომ გითხარ, მოდი წვერზე მომაფურთხეო“. ესა სთქვა, გატრიალდა და წვერებზე ხელი წაივლო. შეშინებულმა ფატმანმა თავში ხელი წაიშინა, ცხელი ცრემლი გაღმოყარა და საშინელი მოთქმა დაიწყო: „დამქოლეთ მოდით ქვითაო, უბედურმა ეს რა ვქენი! ქმარი მოვკალ, უღალატე, წვრილი შვილიც ამრვსწყვიტეო“.

ავთანდილი გაკვირვებით ისმენდა ყველაფერს. მერმე ქალს უთხრა, დადუმდი და სთქვი, ვინ იყო ის კაციო? ან რად მოვიდა, რა უყავ, რისთვის გექადოდა შენაო? ფატმანი ეუბნებოდა, დამესხსენი, ნურას შეითხავ, ვერ მიშველი ვერასფრითაო. — „ენამ მიყო, რაცა მიყო, რად გავანდე დაფარულო“? ამბობდა. მერმე ავთანდილს შეეხვეწა: „წადი მოჰკალ ის კაცი ამაღამვე, თორემ წავა, მეფეს ეტყვის საიდუმლოს, ჩემგან

თქმულსაო. მეფე მომკლავს ლალატისთვის და დამიხოცს წვრილთა შვილთაო". ავთანდილი ადგა ლახტი აიღო, წინამძღოლი მოითხოვა და წავიდა.

ფატმანმა მონა აახლო და შეეხვეწა, თუ მოჰკლა, ჩემი ბეჭედი წააძრე, მომიტანეო. მონა წაუძღვა ავთანდილს და ჩუმად ზღვის პირს მიიყვანა. იქ იმ კაცის სასახლე იდგა ტურფად აგებული. მონამ ხმა-დაბლა უთხრა ავთანდილს: „ეგ არის მისი სადგომიო". დასაწოლი ადგილიც უჩვენა. კარებთან ავთანდილს ორი დარაჯი დახვდა, მაგრამ მინამ ხმის ამოლებას მოასწრებდენ, სტაცა ორთავეს ხელი, თავი თავს შეუტაკა და სული გააცხებია. ჩაჩნაგირი, — (ეს არის იმ კაცის სახელი,) — მარტო იწვა სევდიანი თავის ოთახში. მოავლო საბრალოს ავთანდილმა ხელი და ისიც მოკლა. ბეჭედი წააძრო და წამოილო. ფატმანთან რომ მივიდა, ბეჭედი მისცა და უთხრა, ფიქრი ნუ გაქვს, შენი მტერი ხვალ მჩეს ველარ ნახავსო. ფატმანმა ძლიერ დაუმადლა.

შემდეგ როცა დასხდენ და ისაუბრეს, ავთანდილმა სთხოვა ფატმანს: „აწ შენც მითხარ, რად შიშობდი, რას გექადდა ჩაჩნაგირიო? მსურს გავიგო ყველაფერი, თუ ხათრი გაქვს, მიამბეო". ფატმანმა მოახსენა, რა-კი სიკვდილს გადამარჩინე, მეც ყველაფერს გაგიმხელო.

## XVI

### ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა ფატმანისგან.

ფატმანმა ასე უამბო ჩაჩნაგირის ამბავი:

ამ ქალაქში ნავროზობა დიდ ბეღნიერ დღეთ მიაჩნიათ. ყველანი უქმობენ, იკაზმებიან და დროს ატარებენ. ათი დღის განმავლობაში სასახლეში დარბაზობა და ლხინი იმართებოდა, დიდებულნი სადარბაზოთ მიღიან და მეფეს ძლვენსა სძლვნიან. ჩემი ქმარიც და ვაჭრები მეფეს ძლვენს მიართმევენ. მეც წავასხამ ვაჭართ ცოლებს და დედოფალს მივულოცავთ ხოლმე. იქ

ვლხინობთ, ვმხიარულობთ და ბედნიერნი მოვალთ. შინ. ერთ-ხელ, ნავროზობის ტლე რომ დადგა, ვიახელით დედოფალს და მიუულოცეთ ძლვნით. ჩვენც წყალობით აგვავსო, ვილხინეთ, ვითამაშეთ და მერმე შინ დავბრუნდით სტუმრებით. ჩვენს ბაღში ზედ ზღვაზე გვაქვს გადადგმული ტურფა კოშკი. სტუმრები იქ მივიწვიე და ნადიმი გაუმართე. თან მომლერლები გვახლდენ და ტკბილად იმღეროდენ. მაგრამ ნადიმობის დროს მე რაღაც სევდა მეწვია და ერთბაშად ცუდად გავხდი. ნადიმობა მოიშალა და სტუმრები წავიდენ. მე მარტო დავრჩი, სევდიანი, მწუხარება მომერია. კოშკის სარკმელი გავაღე და ზღვისაკენ ვიცქირებოდი. იმ დროს თვალი მოვკარ ზღვაში რაღაც საკვირველი მოცურავდა; ვერ ვიცანი მხეცი იყო თუ ფრინველი. გამიკვირდა. როცა მოახლოვდა და ზღვის პირს მოდგა, მაშინ უიცან, ნავი იყო. ორი ზანგი, ქაჯთა მსგავსი, იმ ნავიდან გაღმოვიდა. გაიხედ-გამოიხედეს, ხომ ვერ გვხედავს ვერავინაო. მერმე გადმოილეს კიდობანი და ერთი მზის უნახავი გადმოსვეს. თავს შავი რიდე ეფარა და მწვანით იყო შემოსილი. არე-მარეს სხივები მოპფინა, მზე მევონა ამოსული. მე საჩქაროდ ვიხმე ოთხი ჩემი მონა და ვუბრძანე, ჩაუხტით-მეთქი, შეევაჭრეთ, ფას ნუ დაიშურებთ, რაც ითხოვონ, მიეცით. თუ უარი სთქვან, დახოცეთ და ქალი აქ მომგვარეთ. მათ აასრულეს ჩემი ბრძანება.—ჩაუხტენ და შეევაჭრენ. ზანგები უარზე იდგენ, გაგულისდენ, არ გაყიდეს. მაშინ სარკმლიდან გადავძახე: „არ დაინდოთ, დახოცეთ-თქო“. იმათაც ზანგებს თავი მოსჭრეს და ზღვაში გადაყარეს. მერმე მზის უნახავი მომგვარეს და მეტის-მეტად გამახარეს. მივეგებე, მივეფერე, გვერდს მოვისვი, როგორც შვილი. შემდეგ ვკითხე:

„ქალთ, გინ ხარ, ან იმ ქაჯებს სად მიუავდით“.

ქალი სტიროდა, ცრემლს ღვრიდა, ერთი სიტუაც არ მაღირსა. მე მისი ცოდვით დავიწვი და არაფერი აღარ ვკითხე. ავდექ შინ მოკიყვანე და არავის არ ვუჩვენე. ოთახი მოვრთე სტავრით და ჩუმად იქ დავაყენე. ერთი ზანგი დაფარულად მას

ფარეშად მივუჩინე. მეც ხან-და-ხან შევდიოდი, ვუვლიდი და  
ვამხნევებდი. მაგრამ ტირილს არ იშლიდა, ტლე და ლამე ურე-  
მლებს ლვრიდა. ბევრჯელ ვსცადე, ვემუდარე, მაგრამ ხმას არ



„მივეგებე, მივეფერე, გვერდს მოვისვი, როგორც შვილი“. (გვერ. 53.)

იღებდა, არც ქვეშაგებს ნდომულობდა, არც სახურავს იკარებდა: ჩაცმულს ეძინა ხანდის-ხან და სასთუმლად მკლავი ედვა. ხვეწნითა და ძალადობით ძლივს ცოტა საჭმელს ვაჭმევდი. ასე მყავდა დამალული და ხორციელს არ გავანდე. არც ჩემს ქმარს გავუმხილე, მეშინოდა სასახლეში არ გამცეს-თქო. მაგრამ თანაც შიშში ვიყავი, რომ შეეტყო, თავს მომჭრიდა. ორ ცეცხლ-შუა ვიყავ ბედკრული, არ ვიცოდი, თუ რა მექნა“.

მე და ჩემი მოღალატე ქმარი ერთხელ მარტოდ დავრჩით. ვესაყვარლე, ველაქუცე, მერმე გავუტყდი და ვუთხარი: „გეტყვი რასმე საიდუმლოს, უკეთუ ფიცს მომცემ; რომ არ გამცემ.“ საშინელი ფიცი მომცა, სიკვდილამდის არ გაგამხელო. მეც დავუჯერე, გავბრიყვდი და ჟველაფერი ვუამბე. მერმე ავდექ, წავუძეხ წინ, შევიყვანე ოთახში და ვუჩვენე ის ქალი. ქმარი გაკვირდა და მითხრა: ეგ ხორციელს არ ჰვავს, ზეცით ჩამოსული ანგელოზიაო. ორნივე შევეხვეწეთ: „გვითხარ, ვინ ხარ, ვისთვის კვდები-თქო“? მაგრამ ქალმა ხმა არ გაგვცა, მხოლოდ ტირილს მოუმატა. შეგვებრალა, დავეხსენით და ცოტა ხილი შევაძლიერ. არც ის ჭამა, არც ხმა გაგვცა, მეტის-მეტად დაგვალონა. ქალის ჭვრეტით რომ გავძეხით, ავდექით და გამოვედით. ამას შემდეგ ორნივე ხშირად შევდიოდით ქალთან ერთად, ვნახულობდით, მისვლა გვატკბობდა და გაშორება გვაწუხებდა..

გავიდა დრო. ერთხელ ქმარმა, იმ ღვთის მტერმა, მითხრა, წავალ, მეფეს ვნახავო. ტაბაკზე დაწყო თვალ-მარგალით ტები. როცა მიდიოდა, მე ვუთხარ, ყელი არ გამომჭრა, მეფეს არ გაუმხილო რა-მეთქი. შემომფიცა, არას ვიტყვი; ეჭვი ნუ გაქვს ნურაფრისაო. მეფე იმ დროს, თურმე, ნადიმად იჯდა და ქეიფობდა. უსენის მისვლა იამა, ძლვენი მიიღო და დაუმადლა. ჩემი ქმარი გვერდს მოისვეს, პატივი სცეს, დალიეს, დაალევინეს. მეფემ ჰკითხა: „უსენ მიკვირს სად შოულობ უმ ძვირფას თვლებსაო“! უსენმა მოახსენა, რატომ გიკვირთ, ხელმწიფეო! ყოველივე თქვენგანა მაქვს, რაც კი რამე მაბაღიაო.. თურმე, ნალვინევი იყო, მიღალატა, არ დამინდო. აღგა და მეფეს მოჲ

ხსენა: „ეგ რად გიკვირთ, ხელმწიფეო! მე ქალი მყავს თქვენდა სასძლოთ ისეთი, რომ არავინ ჰყავს ქვეყნად ტოლიო. როცა ნახავთ, გაოცდებით და დიდათ მაღლიერი დამრჩებითო. მეფეს ძლიერ იამა და იმ წამსვე ყმებს უბრძანა: „მომგვარეთო“.

მე შინ ვიჯექ არხეინად, რა ვიცოდი თუ მიღალატებდა. მეფის მონები მომადგენ და თაყვანი მცეს. შევკრთი, გავკვირდი!.. მათ მითხრეს, ქალი გვიბოძე, ხელმწიფემ გამოგვგზანაო. თავზე მეხი დამეცა. მონებს ვკითხე: „რა ქალი მეთქი“? მათ კვლავ მკადრეს: „უსენა, თქვენმა ქმარმა, მეფეს უძლვნა მზეთ უნახავი ქალიო“. რას ვიზამდი? ავდექ, ქალთან შეველ და შევსჩივლე, ასეა-მეთქი:

,,მან მითხრა: დათ, ნუ გიკვირს, ეგე რაზომცა ძნელია,—  
ბედი უბედო ჩემზედა მიწუივ ავისა მქნელია;  
კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს,—ავი რა საკვირველია!  
სხვა და სხვა ჭირი ჩემზედა არ ახალია,—ძველია“.

მერმე აღგა ფერ-მიხდილი და ტირილით მთხოვა მოსაბური. შეველ საჩქაროდ საჭურჭლეს, ავიღე ძვირფასი თვალმარგალიტი, წელ-სარტყელში ჩავულაგე და ისე გავისტუმრე. მოვეხვიე გადავკოცნე და მონებს ჩავაბარე. სასახლეში რა მეფემ სცნა ქალის მისვლა, წინ მიეგება. მისმა სილამაზემ მეტის-მეტად გააკვირვა და კიდევ უფრო მოალხინა. მეფემ ქალი გვერდს დაისვა, უალერსა და ასე ჰკითხა: „ქალო, ვინ ხარ, ვისი შვილი, საღაური სად მოსულხარო“? ქალი-კი მოწყენილი იჯდა, თავ-მოხრილი და ხმას არ იღებდა. ყოველი კაცი ჰკვირობდა, სტუმარი და შინაური.

მშვენიერი მეფის ვაჟი იმ დროს, თურმე წასული იყო საომრად. მეფემ ბრძანა, როცა მოვა მზის უნახავს მას შევრთავო. ქალი მეფურად შემოსა, ლალის გვირგვინი დაადგა და საუფლის-წულო სადგომში ტახტი დაუდგა. იქ დასვა ქალი და უბრძანა, ცხრა ხაღუმი მუდამ იდგენ კარის მცველადაო. გახრებული ხელმწიფე ნაღიმობდა და ლხინობდა. უსენს დიდი წყალობა უბოძა.

მზის-უნახავი იტანჯებოდა და ფიქრობდა, რა ვქნა, რა  
მოვიგონო, რომ თავს ვუშველო და გავიქცე აქედანაო? იმედს  
არ ჰყარგავდა, გონებას იკრეფდა და ასე ამბობდა თავის გულში:

„სიკედილამდის ვის მოუკლავს თავი კაცის მეცნიერსა?

რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გთხებანი გთხიერსა“.

ბოლოს მოიხმო მცველები და ამ გვარად ემუსაითა; „თქვენი  
ხელმწითე შემცდარია, თუ ფიქრობს ჩემსა სძლობასო, მე და-  
ნას დავიცემ გულში და თავს მოვიკლავ უცილოდო. მაშინ  
მეფე თქვენი განრისხდება და თავს მოგჭრით სუცველასო.  
მაშ, ის გიჯობთ, თქვენ წაიღოთ ცველაფერი, რაც-კი რამ  
მაქვს, მე გამიშვათ, გამაპაროთ და თქვენს ლმერთსა დაამა-  
დლოთო. თუ არ იზამთ, რასაც გირჩევთ, დამერწმუნეთ, ბევრს  
ინანებთო“.

ეს სთქვა და იმათ მისცა, რაც მარგალიტი ჰქონდა თან.  
გვირგვინიც მათ უბოძა და ძეირფასი სამოსელიც. მცველებს  
შიში დაავიწყდათ, რა რომ ნახეს მარგალიტი და გაპარება  
დაასკვნეს. ერთმა მცველმა გაიხადა თავის კაბა და მას ჩააცვა.  
მერმე გააპარეს და ოვითონაც გადიხვეწენ. მე იმ ღროს, განა-  
გრძო ფატმანმა, შინ ვიჯექი მოწყენილი და დანა კბილს არ  
მიხსნიდა. ვიღამაც ერთბაშად დაარაკუნა და შემომძახა: „ფატ-  
მანო“! ავდექ ჩერა, მივეგებე და გავკვირდი, როცა ვნახე.  
მოვეხვიე გადავკოცნე და შევეხვეწე, შემოდი-თქო. მაგრამ არ  
ქმნა, მემუდარა ერთი ცხენი მათხოვე და გამიშვიო: მდევრებისა  
ეშინოდა. გავექანე საჯინიბოში, გამოვგვარე შეკაზმული კარგი  
ცხენი და მივეცი. გამოვეთხოვე ტირილით, შევსვი ცხენზე და  
გავისტუმრე.

რა გაიგეს, მთელი ქალაქი შეიძრა.. გზები შეკრეს და მდე-  
ვარიც დაადევნეს. ჩემთან მოიჭრენ, იკითხეს. მე ფიცით უარი  
ვუთხარი. მთელი სახლი გამიშინჯეს, არ სჯეროდათ ჩემი ფი-  
ცი. ეძიეს და ვერ იპოვეს, მერმე თავი დამანებეს. მეფე სწუხ-  
და, წვერს იგლეჯდა და ყვიროდა: „ვინ გაუშვაო.“

მას აქეთ მე ქმარი ჭირივით შემძულდა და შევიყვარე ის კაცი ჩაჩნაგირი, რომელსაც დიდი ადგილი ეჭირა სასახლეში. ერთხელ გაუტყდი და ყველაფერი მას ვუსმბე. ამ ლამეს; შენ რომ გიხმე, მე მას არ ველოდი. მაგრამ კაცი მომივიდა, ეთქვა, მოვალო. მე შენთან კაცი ვაფრინე, ნულარ მოხვალ-მეთქი. შენც გწყენოდა, წამოსული არ დაბრუნდი და შემოხვედი. იგიც მოვიდა, ერთად გვნახა, ეწყინა და, ხომ ხედავდი; დამემუქრა, საიდუმლოს გაგიმხელო და რომ არ მოგეკლა, მართლაც სულ იტყოდა, რაც იცოდა. მაშინ მეფე აგვიკლებდა, დაგვხოცდა და დაგვქოლავდა. მაგრამ მიხსენ სიკვდილისგან, მაგიერი ღმერთ-მა გიზღოსო, — უთხრა დასასრულ ფატმანმა ავთანდილს.

ავთანდილი სულ განაბული ისმენდა ამ ამბავს. სურდა შეეტყო, რა მოუვიდა მერმე საბრალო ნესტან-დარეჯანს და ამიტომ გაამხნევა ფატმანი და ემუდარა, სულ მიამბე, რაც რამ იცი გაქცეული ქალისაო. ფატმანმაც აუსრულა ავთანდილს თხოვნა და განაგრძო.

## XVII

### ქაჯთაგან ნესტან-დარეჯანის შეპყრობის ამბავი.

რომ გავაპარე, გავუშვი, აღარ მქონდა მოსვენება: დღე და ღამე ვიგონებდი და ნაღვლიანი ვიჯექ შინა. მოლალატე ჩემი ქმარი ჭირივით მეჯავრებოდა და ახლოს აღარ ვიკარებდი. საბრალო ქალისა ველარა გავიგე-რა და გულს ცეცხლი მედებოდა.

ერთ სალამოს, მზის ჩასვლის დროს, გამოვედი სევდიანი, საღარაჯო გავიარე და მგზავრთა სადგურს გადავადექი. იქ ოთხი კაცი დავინახე, ერთი მონურად ჩაცმული. სამი-კი მგზავრულად. სუფრას უსხდენ და პურს შეექცეოდენ. მე მათ თვალყურს ვადევნებდი და ლაპარაკიც მესმოდა. ერთმა სთქვა: „ძმებო, ეს რას ჰგავს, ჩვენ არ ვიცნობთ ერთმანეთსო. საჭიროა

ყველამ სთქვას, ვინ არის და ან რა იცის. „ მართლაც, სამა მგზავრმა სათითოვოდ სთქვეს, ვინც იყვნენ ან რაც იცოდენ. „ მე რაც ვიცი, ყოველ ამბავთა სჯობიაო, სთქვა მეოთხე მგზავრმა „, მე ვარ მონა ქაჯეთის პატრონისაო; მეფე გვყავდა დიალ კარგი, ქვრივ ობოლთა მწყალობელიო.. მაგრამ მოვვიკვდა, აღარ გვყავს. ეხლა მის მაგივრათ მეფობს მისი და რომელსაც დულარ-დუხტ ჰქვიან სახელად, მხნე არის და მამაკიო. იგი ზრდის თავის ძმის ობლებს, როსანსა და როდისაო. “

ყველა მის ყმების უფროსი არის როშაქი. ერთხელ როშაქმა ბრძანა, წავალ, თქვენც წამყევით, ვიმეკობროთ, და ნადავლით ავივსნეთო. მაშინვე ასი მონა დარჩეული ვეახელით, წაგვიყვანა. ვიმეკობრეთ, არ გაუშვით ქარავნები, საღაც ვნახეთ. ბევრით-ბევრი საქონელი წავართვით და წავიღეთ. მინდორ მინდორ მივდიოდით, მეტად ბნელი ლამე იყო. ერთბაშად შუა მინდორში გამოაჩნდა მნათობი რაღაც ძლიერი. ზოგმა სთქვა ცისკარია, ზოგი ამბობდა—მთვარეო. შორს მოუარეთ, მივედით და შემო-ვერტყით ირგვლივ. ვნახეთ ვიღაც ცხენოსანი ქალი, გზათ მოღიოდა. მისი ციმციმი მზესავით ქვეყანას ეფინებოდა. როშაქმა შეატყო ქალობა და გვერდს წაუდგა ცხენით.

არ გაუშვით, შევიპყარით, წამოყვანა დავაპირეთ. როშაქმა ჰქითხა: „ ქალო, ვინ ხარ, ვის ეკუთვნი, ან საღ მიხვალო “? ქალმა ხმა არ ამოიღო, სტიროდა და ცრემლსა ლვრიდა. როშაქმა ბრძანა, მეფეს მივგვრი, დამიმადლებს, კარგათ ვიციო. გაბრუნდენ, ქაჯეთს წავიდენ როშაქი და მისი მხლებელნი და ტურფაც თან წაიყვანეს, მე-კი ვსთხოვე, გამოვეშვი გულნაშაროს ქალაქშიო. “

მე რომ ეს გავიგონე, უამბობდა ავთანდილს ფატმანი, სა-შინლად გავიხარე, მივხვდი, ვინც იყო ის ქალი, ამოვიხმე უცხო მგზავრი, ყველაფერი გამოვკითხე და ისე გავისტუმრე. მე მყავს ორი შავი მონა საესე ყოველის გრძნებითა. უჩინრად შევლენ, საღაც ჰსურთ, თავიანთ თვალთ-მაქუობითა. ორივე ქაჯეთს ვა-ფრინე და უბრძანე ამბის ცნობა. მონები მალე დაბრუნდენ ქაჯეთით, ყველაფერი მომახსენეს. ის ქალი მიუყვანიათ ქაჯე-

თში დულარ-დუხტ დედოფალთან და მას უთქვამს, როსანს შევრთავ ცოლადაო. მანამდის კოშკში ჩაუსვამთ, გამდელიც უახლებიათ. თვითონ წასულა საომრად და ჯარიც თან წაუყვანია.

ქალაქის შიგნით კლდე არის უზარ-მაზარი, მაღალი; იმ კლდეში გვირაბი აღის, ასაძრომელი ხერელი. იქ ჰყავთ ის ქალი ციხეში დამწყვდეულიო. გვირაბის კარზე ნიადაგ მცველები აყენიაო; ათი ათასი ვაჟ-კაცი თვითონ ქალაქის მცველიაო.

ავთანდილი რომ ამ საკვირველ ამბავს ისმენდა, გულში უხაროდა და ღმერთს მადლობას სწირავდა. ფატმანს უთხრა: „საყვარელო! დიდათ გმადლობ ამ ამბისთვისო“.

„ქაჯი ხომ უხორუოა, რამ გახადათ ხორციელიო? ან რათ უნდათ მათ ის ტურფა, რას აქნევენ, რისთვის ჰყავთო“? ჰკითხა ავთანდილმა.

ფატმანმა მოახსენა; არ არიან მართლა ქაჯნიო. ქაჯებად მისთვის უწოდენ, რომ სალს კლდეზე სცხოვრობენო, თან არიან სავსე გრძნებით, ყოველთა მტერთა მძლეველიო. მტრებსა თვალებს დაუბრმავებენ, როცა უნდათ ქარს ასტეხენო; ზღვაზე გავლენ, როგორც ხმელად და მტრისა ნავებს და-ამხობენო.

ავთანდილი გულში ღმერთს ადიდებდა, მადლობის ნიუნად ფატმანსაც ეალერსებოდა. ერთი ლამე იქ დარჩა, ფატმანი გაგიუებით ყელს ეხვეოდა და ჰკოცნიდა, ავთანდილს, თუმცა სხვა ცეცხლი სწვავდა, მაგრამ იგი მაინც იფერებდა ქალის სიყვარულს და გულში ასე ფიქრობდა:

„თუ უფავი გარდსა იშთვნის თავი ბულბული ჭგანია.“

დილით ადგა იღრე და თავის ბინაზე წავიდა. როცა შინ მოვიდა, გადასწყვიტა თავის გამოჩენა. ვაჭრული სამოსელი გაიხადა და თავის საკუთარი კოხტა ტანისამოსი ჩაიცვა. ისე მოუხდა და დაამშვენა, თითქო სულ გამოიცვალაო. სადილათ ფატმანთან წავიდა. ფატმანმა რომ ნახა, გაიკვირვა, შემოსცინა და ძლიერ მოეწონა. ნასადილევს ავთანდილი შინ წამოვიდა. ნასვამი იყო, დაწვა და ცოტა დაიძინა. სალამოს ფატმანს შე-

უთვალა, მარტო ვარ და მოდი მნახეო. ქალმა სიხარულით აუსრულა სურვილი. ავთანდილმა ბალიში მიართვა და გვერდს დაისვა. მერმე გაუტყდა და ყველაფერი ნამდვილი უთხრა: თუ ვინ იყო იგი, ან სადაური, ვის ეტრფოდა და რისთვის დასტოვა სამშობლო. უამბო აგრეთვე დაწვრილებით ტარიელის ამბავიც. აუწერა მისი მშვენიერება, გმირობა და გამოუთქმელი ტანჯვა მიჯნურის დაკარგვის გამო და ასე უთხრა: „შენა ხარ მისი წყლულის წამალი; მოდი და ქაჯეთს გავეგზავნოთ შენი გრძნეული მონები; ვაცნობოთ ნესტან-დარეჯანს ყოველი ჩვენი ამბავი. იგიცა მოგვწერს ყველაფერს და ეგება რამე ვუშველოთო.“

ფატმანმა სიხარულით აუსრულა მას თხოვნა, მოიხმო მონა გრძნეული და უბრძანა ქაჯეთს წასვლა. ყველაფერი დაწვრილებით მისწერა ნესტან-დარეჯანს. შეუთვალა, შენც მოგვწერე, რაც კი იცი მანდაურიო, და ნიშანი რამ გაუგზავნე შენ-თვის ტანჯულს ტარიელსო.

მონამ წაისვა ტანზე რაღაც მოლის წამალი, იმავე წამს გაქანდა, ვით ისარი. ბინდამდის ქაჯეთში გაჩნდა და ისე გაიარა ციხის კარი, რომ მცველებმა ვერ დაინახეს. ნესტან-დარეჯანის წინაშე გაჩნდა, როგორც რამე მოჩვენება. მზის უნახავი შეშინდა, ეგონა, რომ მავნე იყო. მონამ უთხრა, ნუ გეშინიან, მე ფატმანის ყმა ვარო. ამოილო და მიართვა მისგან გავგზავნილი წიგნი. საბრალო ნესტან-დარეჯანს სიხარულით ცრემლები მოერია, საჩქაროდ წერილი გადიკითხა და ღმერთს მადლობა შესწირა. მონას ავთანდილის ამბავი გამოჰკითხა. მონამაც უამბო ავთანდილის ფატმანთან სტუმრობა და აუწერა მისი მშვენიერება.

ნესტან-დარეჯანმა საჩქაროდ არი წიგნი დასწერა; ერთი ფატმანს მისწერა და მეორე თავის მიჯნურ ტარიელს. მისცა ორივე მონას, დაუმადლა და გაისტუმრა. ფატმანს სწერდა ქალი: „დედისა მჯობო დედაო! შენმა წიგნმა გამახარა, მაამა და ამატირაო. მე ქაჯთ ვყევარ შეპყრობილი. ქაჯთა მეფე წარსულია საომრად და არ მოსულა. ციხეში ვარ დამწყვდეული,

დღე და ლამე ჯარი მიცავს. ჩემი დახსნა არ იქნება, ტყუილად შველას ნუ ვინ ფიქრობს. გეხვეწები, ტარიელს შეუთვალე, ნუ წამოვა. ვერც მე მიშველის, თავსაც ავნებს და მე კიდევ უფრო გამამწარებს. ის თუ მოკლეს, მეც მოვკვდები, ორ ნაირად დავიწვები. ნიშნის ხლება გებრძანა და ვასრულებ ბრძანებას: ვუგზავნი ჩემს მიჯნურს ჩემის რიდის ნაკვეცსაო.“

ტარიელს რომ წერილი მისწერა, ქვასაც-კი აატირებდა. აი რასა სწერდა, სხვათა შორის, საბრალო ქალი:

„ჭე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონალფაწები,  
ტანი ქალმად მაქვს, ქალამი ნაღველთა ამონაწები,  
მე გული შენი ქადაღდად გულსავე ჩემსა ვაწები:  
გულო, შავ-გულო, დაბმულ ხარ, ნუ აქსნები, აწები!“  
„ჭედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქნელია?  
რა-ზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია;  
ბრძენი იცნობენ, სწუნობენ, მით მათვან საწუნელია,  
უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია!“

„ჭედავ, ჩემო, ვით გაგვარნა სოფელმან და უამიან კრულმან,  
ვედარ გნახე საუგარელი მხიარული მხიარულმან;  
ნეტარ რა ჭემნას უშენომან გულმან, შენგან დალახვრულმან.  
გაგიცხადა დამალული გონებამან დაფარულმან“. „

„შენმა მზემან, აქნამდის შენ ცოცხალი არ მეგთხე.  
ჩემი მეთქეა, გარდასრულდა სიცოცხლე და ულვლი ღონე;  
აწ რა მესმა, შემომქმედი ვადიდე და ღმერთსა ვმონე,  
ჩემი უველა აქნამდის ჭირი ლხინსა შეგაწონე“. „

„შენი სიცოცხლე მეუთვის ჩემად იმედად გულისად,  
გულისა ერთობ წელეულისა და ასრე დადაგულისად!  
მომიგონებდე, გახსოვდე მე, შენთვის დაკარგულისად,  
ვზი მზრდელი სიუფარულისა, მის ჩემგან დანერგულისად“. „

„შენმა მზემან, უშენოსა არგის მიხვდეს მთვარე შენი,  
შენმა მზემან, ვერგის მიშხვდეს, მოცავიდენ სამი მზენი;  
აქა თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლავნ დიდი კლდენი;  
სული ჩემი შეიგეღრენ, ზეცით მომხვდენ ნუ თუ ფრთენი“. „

მე ისეთ მაღალ ციხეში ვზივარო, სწერდა, ნესტან-დარე-  
ჯანი, რომ ოვალნი ძლივს გადასწვდებიანო. გზა გვირაბით შე-  
მოდის და მცველები ზედ დგანანო. მათთა შემბმელთა დაპხო-  
ცენ, ცეცხლივით მოედებიანო.. ამათ ძლევას ნუ ფიქრობ,  
უთუოდ მოგერევიანო. მკვდარი რომ გნახო, დავიწვი, როგორც  
აბედი კვესითო. ნუ მაგლოვებ, შინ დაბრუნდი, ანუგეშე მამა  
ჩემიო. ბოლოს სწერდა: „გიგზავნი შენეულის რიდის ნაკვეცსო“.

ფატმანის მონა დაბრუნდა და წერილები მოუტანა, ავთა-  
ნდილმა ძლიერ გაიხარა და ღმერთს მაღლობა შესწირა. ფატმანს  
დაუმადლა და უთხრა: „შენი ვალი ჩვენგნით გადუხდელიაო“. მერმე  
წასასვლელად მოემზადა, ტარიელთან მახარობლად. ფრი-  
დონის ყმები მოიხმო, მაღლობა გამოუცხადა, დაასაჩუქრა ოთ-  
ხივე და გაისტუმრა. ფრიდონს წიგნი მისწერა და, დარეჯანის  
პოვნა ახარა: „მომიტევეო“, სწერდა, ვერ გიახელ, ვერ გნახეო  
ტარიელთან მივიჩქარი, მინდა მალე გავახარო. ორივენი ერთად  
მოვალთ, მოგვეტოდე, გესტუმრებითო, მაშინ გვიშველე, წა-  
გვყევი ქაჯთა ზედა გავილაშქროთო.“

თვითონაც ავთანდილმა მომავალი გემი ნახა, ჩაჯდა და  
გასწია ტარიელთან. ფატმანი ურემლით გამოეთხოვა და გაა-  
ცილა ავთანდილი.

### XVIII

#### წასვლა ავთანდილისა და ტარიელის შეყრა:

ავთანდილი ზღვით სიარულს მორჩია და ხმელეთად გამო-  
ვიდა. მშვენიერი გაზაფხული იდგა და მთელი ბუნება ყვაოდა:  
მხიარული ავთანდილი სიმღერით მიღიოდა და ცხენს მიაჭრო-  
ლებდა. შორიდან რომ ქვაბი დაინახა, იამა და გულმა ფან-  
ცქალი დაუწყო. მოახლოვდა ტარიელის შეყრის დროც. მაგრამ  
ამ დროს თავში აზრმა გაუელვა, ვაი თუ შინ არ იყოსო. ამ-  
ჯობინა გზა-გზა ძებნა და თვალიერება. მინდვრათ მიღიოდა  
და ტარიელს უკივოდა. ტარიელი, მართლაც, იმ დროს ერთ

შამბის პირს იდგა, ხელში ხმალი ეპყრა და სისხლს აცლიდა. მას, თურმე, ლომი მოეკლა და ხმალი გასისხლიანებოდა. ავთანდილის ხმა რომ მოესმა, უცბად გაიხედა, იცნო და მისკენ გაექანა. ორივენი შეიყარენ, მოეხვიენ ერთმანეთს და გადაკოცნეს, ტარიელი ტირილით ეუბნებოდა: „რა-კი შენ გნახე ცოცხალი, ჭირი ჭირად აღარ მიჩანსო.“

ავთანდილი კი მხიარული იცინოდა და ღიმილით ეუბნებოდა: „ნუდარ ნაღვფლიბ, ნურფა სტირი, მოგინახე დაკარგულია.“

ტარიელს ასე ეგონა, ხუმრობსო და არა სჯეროდა. მაშინ ავთანდილმა, ვეღარ მოითმინა, ადგა და ამოილო რიდის ნაკვეცი წერილიცა და ორივე ძმობილს მისცა. ტარიელმა გაგიუებით ტუჩს მიიკრა, კუცნა დაუწყო და ცრემლსა ლვრიდა. მაგრამ მოულოდნელის მეტის სიხარულით ელდა ეცა და ძირს დაეცა. ავთანდილმა ბევრი ინალვლა, ასე მოულოდნელად რად ვახარეო:

„წეალი სწრატათ რად დავასხი ცეცხლსა ძნელად დასაშრეტსა, ჩქარად ეცეს, ვერ გაუძლებს გული ლხინსა მეტის-მეტსა. თქმულა, სიწენარე გმიბილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა.“

შეშინებული ავთანდილი გაიქცა, წყალი ეძება, მაგრამ ვერსად ვერ იპოვნა. ამ დროს წაქცეული ლომი დაინახა სისხლიანი. პეშვით სისხლი მოიტანა და მომაკვდავს დააპკურა. ტარიელი შეკრთა და თვალები გაახილა. ცხელმა სისხლმა მოაბრუნა, გონს მოვიდა და წამოჯდა. მიჯნურის წერილს აკოცა და გადიკითხა. ამ დროსვე იგონებდა ქაჯთა ხელში ჩავარსნილ საყვარელს და ცრემლს ლვრიდა. ავთანდილი გვერდით უჯდა, ნუგეშს სცემდა და ეუბნებოდა: „ნუ სტირი, ძმაო ტარიელ, სჯობს წავიდეთ, ვუშველოთო.“

ამას შემდეგ ტარიელმა თავის ძმობილს გამოჰკითხა, სადიარა, სად ეძია და ან ამბავი როგორ სცნა. მერმე უთხრა, მაგიერი ლმერთმა გიზლოს ზეციერმაო. ბოლოს ადგენ და ორი ვენი ცხენებით ქვაბისაკენ გაემართენ. ქვაბის კარებს მიახლოვდენ, ხუმრობდენ და იმღერიდენ. ასმათს ძლიერ გაუკვირდა და სიხარულით გამოიჭრა. დაუძახეს: „ჰე, ასმათო, დაკარგული მოვარე ვნახეთო!“

ავთანდილი ცხენიდან ჩამოხტა და მოეხვია ასმათს, ასმათიც ავთანდილს გადაეხვია, ჰკოცნიდა და ცრემლით ეხვეწებოდა: „მითხარ ისიც რა სცანი, გეთაყვა, ჩემის გაზრდილის ქალისო“? ავთანდილმა პასუხის ნაცვლად, მისი წერილი აჩვენა. ქალმა იცნო მისი ხელი, ათრთოლდა და იძახოდა: „ამას რას ვხედავ! რას მოვესწარი! — კიდევ ცოცხალი ყოფილაო“! მივარდა ტარიელს მოეხვია და აკოცა.

„ავთანდილ უთხრა: „ნუ გეშის, ეგე ამბავი მრთელია,  
დხინი მოგვეცა, მოგვშორდა უოველი ჭირი ძნელია,  
შჩე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ძნელია,  
ბორცოტსა სძლია გეთილმან, — არსება მისი გრძელია.“

ბოლოს სამივენი ქვაბში შევიდენ და ღმერთს მადლობდენ. ასმათი ტარიელს და ავთანდილს თავს ევლებოდა და უმასპინძლდებოდა. პური სჭამეს, ტკბილად ისაუბრეს და დაისვენეს.

ტარიელს გაახსენდა და ავთანდილს მოახსენა: „მე რომ დევები დავხოცე და ეს ქვაბი დავირჩინე, საჭურჭლე დარჩათ მრავალი, ჯერეთ ხელი არ მიხლიაო. მოდი ვნახოთ, რა ჰქონიათ, რა საუნჯე, რა სიმღილრეო. აღგენ და ქვაბს. მიაღენ, ორმოცი კარი დალეწეს და შევიდენ, თვალ-მარგალიტი იპოვეს. ბატის კვერცხის ოდენი, ოქრო და ვერცხლიც იმდენი, ანგარიში არ ჰქონდა. ერთიც ზარალხანა ნახეს, სავსე იყო. იარაღით. იქვე იდგა კიდობანი, რომელსაც

ზედ ეწერა: „აქა ქევს აბჯარი საჭვირველიო;  
ჯაჭვ მუზარადი, ალმასი, ხმალი, ბასრისა მწყელიო;  
თუ ქავნი დევთა შეებნენ, იუს დღე იგი ძნელიო,  
უმის-ქამისთვი ვინც გახსნის, არის მეფეთა მკვდელიო.“

ტარიელმა და ავთანდილმა ეს კიდობანი გახსნეს და შიგ სამი ხელი აბჯარი იპოვეს: ხმლები, მუზარადები და საბარკულები ზურმუხტის ბუდეში. ძლიერ გაეხარდათ, აიღეს და თითო ხელი მათ ჩაიცვეს. ერთი ხელიც ფრიდონისთვის შეჰკრეს ღვედით და წამოიღეს. ოქრო, ვერცხლი და მარგალიტიც, რაცა უნდოდათ, გამოზიდეს. მერმე საჭურჭლე ყველანი ხელ-

ახლად მაგრა დაბეჭდეს. ამას შემდეგ მოემზადენ ქაჯეთში წასასვლელად. იმ ღამეს ქვაბში დარჩენ; დილით ადგენ, ფრიდონისას წავიდენ და ასმათიც თან წაიყვანეს.


## XIX

### ტარიელისა და ავთანდილის წასვლა ფრიდონთან.

კარგა ხნის მოგზაურობის შემდეგ მგზავრები მიუახლოვდენ ფრიდონ მეფის სასახლეს. იქ მახლობლად მისი ცხენის ჯოგი ნახეს მინდვრათ და ძლიერ მოეწონათ. ტარიელმა უთხრა ავთანდილს, მოდი ფრიდონს გავეხუმროთო: მის ჯოგს თავს დავეცეთ, როგორც მტერნი და წავასხათო, რომ შეიტყობს, უსათუოდ თვითონ წამოვა საომრად. როცა მოვა, გვიცნობს ჩვენ და ანაზღათ გაპკვირდებაო. ეს ოინი ავთანდილსაც მოეწონა და დაყაბულდა. ადგენ, ჯოგს შემოადგენ და ცხენებს დაჭერა დაუწყეს. მეჯოგეებმა კიუინა დართეს, ვინა ხართ და რასა შვრებითო. მათ მშვილდები მომართეს და მეჯოგეებს გამოეკიდენ. მეჯოგეები უვიროდენ, არიქა, მოგვეშველენით, მეკობრებმა ამოგვწყვიტესო. ფრიდონმა რომ ეს გაიგო, ძლიერ იწყინა და იმ წამსვე თავის რაზმით მისაშველებლად გამოიჭრა. ავთანდილი და ტარიელი ფრიდონს წინ შეეხეჩენ, მუზარადი მოიხადეს და სიცილით მოახსენეს: „რად გეწყინათ ჩვენი მოსვლა, ან საომრად რისთვის მოხვალთო:?“

გაკვირვებული ფრიდონი მსწრაფლ ცხენიდან ჩამოხტა, თაყვანი სცა ძვირფას სტუმრებს და ორივეს მოეხვია. მოიკითხეს ერთმანეთი და მრავალი ილალობებს. მხიარულმა ფრიდონმა სტუმრები სასახლეში მიიწვია, დიდი ლხინი გადიხადა და ბევრი საჩუქარი მიართვა სტუმრებს. ტარიელმაც უძლენა ფრიდონს ის საკვირველი აბჯარი. მეორე დღეს მოემზადენ ქაჯეთში წასასვლელად. ფრიდონმა სთქვა: მომისმინეთ, მე ქაჯეთს კარგათ ვიცნობ, გარშემო სულ კლდე არტყია, ცხა-

დათ შებმა არ გვარგიაო. ამიტომ არც დიდი ლაშქარი არის  
საჭირო, საომრად რომ ვიახლოთო.. ჩვენ წავიდეთ და თანაც  
მარტო სამასი დარჩეული ცხენოსანი წავასხათო. ორთავე გმირს



როგორ ავიღოთ ქალაქი, ან მცველები რა გვარ ვძლიოთ (გვერ. 68).

მოეწონათ ეს ოჩევა და დათანხმდენ. თავისი დობილი ასმათი ტარიელმა იქ დატოვა. შეიარაღდენ გმირები, ახსენეს ღმერთი და წავიდენ. ფრიდონმა გზა კარგათ იცოდა და დღე და ღამე მი-დიოდენ. ზღვას გაცილდენ, გაიარეს და ქაჯეთს მიუახლოვდენ. რომ ვერ შეეტყოთ მათი იქ მისვლა, ფრიდონას რჩევით, დღისით ტყეში იმალებოდენ და ღამით სიჩქარით მიღიოსენ. ქაჯეთს რომ მიუახლოვდენ, ტყეში დაბინავდენ. აქ სამივე ერთად და-სხდენ, იფიქრეს და ითათბირეს: როგორ ავილოთ ქალაქი ან მცველები რა გვარ ვძლიოთო.

## XX

### თათბირი ფრიდონისა, ავთანდილისა, ტარიელისა და გამარჯვება.

ფრიდონმა სთქვა: ჩვენ ცოტანი ვართ, ისინი მრავალი არიან, პირ-და-პირ შებმა არ შეიძლება; თუ კი კარები დაგვიხშეს, ათასი წელიც რო ვეცადოთ, მაინც ვერ შეუვალთო. თუ და-მიჯერებთ, მე გაწვრთნილი ვარ სიყრმითვე და ისე გავივლი საბელზე, თვალს ვერ მომასწრებს კაციო. ვისროლოთ თოკი, ბურჯს მოვსდოთ და გამოვსწიოთ მაგრადო. მე გავივლი ჩაუ-ხტები როგორც ქარი; მცველებს დავხოც, კარს გაგიღებთ და თქვენც მაშინ მომეშველეთო. ავთანდილმა უთხრა, ფრიდონ, ვიცი ძლიერ მამაცი ხარ, ცალი არ გყავს, — იმედი გაქვს სიმარ-დისა და თანაც შენი მკლავისო. მაგრამ მაინც ეგ სხესარი ვერას გვარგებს, სხვა ვარჩიოთო. აბჯრის ჩხარუნს გაგვიგებენ მცველები, თოკს მოკვეცენ, და ვერ გარგებს მაშინ ცოდნა და ვერც შენი მამაცობაო. სჯობს მისმინოთ, თქვენ აქ დარჩით დამალული, მე გამიშვით, ვაჭრულად გამოვეწყობი, ჯორს ავკიდებ იარალსა, შესცდებიან, შემიშვებენ, ვით ვაჭარსა. მაშინ ნახეთ ჩემი ღონე, სულ სისხლის რუებს ვადენო. კლიტეს დავლეწ კარს გაგიღებთ და თქვენც მომეშველენითო.

ტარიელმა ორნივე აქა: არ გაკლიათ ღმერთმან იცის, არც გმირობა, არც აზრიო, მაგრამ გთხოვთ, მეც მისმინოთ. თქვენ რომ იომებთ, გაიმარჯვებთ, მიჯნური ჩემი გაიგებს, გად-მოდგება საჭვრეტლად ზემო კოშკზე. თქვენა გნახავთ ომსა შინა, მე უომრად რა გვარ მნახოსო! ეგ შემარცხვენს მე მის თვალში, ეგ არა გზით არ იქნებაო. ამიტომ, ვგონებ; თქვენ თათბირს, აჯობებს ასე მოვიქცეთო. გავიყოთ სამასი კაცი, ას-ასი თითოს გვხედებაო. ყველანი ღამით მოვემზადოთ და ვუ-ცადოთ გათენებასო. რა მოვიდეს განთიადი, ფიცხლავ გავქუ-სლოთ ცხენები; სამთავე სამ მხრით მივმართოთ და დავეცეთ ვითა მტერიო. ისინიც შემოგვიტევენ, ჩვენ უჩვენოთ მაშინ ზურგიო, შევშინდეთ და გამოვიქცეთ. ეგონებათ დაგვამარცხეს, გაალებენ თვითონ კარებს და გამოგვედევნებიან შესაპყრობლად. ჩვენც მაშინ დაუბრუნდეთ და ვიწყოთ მათი ხოცვაო. ვეღარ გაგვიმაგრდებიან, ისევ ციხეს მიაშურებენ. ჩვენც მივყვეთ უკან, შეუხტეთ, შევებათ და დავაყენოთ მათგან სისხლის ღვარებიო. ტარიელის თათბირი ყველას ძლიერ მოეწონა და ფრიდონმა თა-ვის ძმობილს ხუმრობით მოახსენა: „მაგა ცხენსა, ჩემეულსა-ვერ მიასწრებს ვერა ცხენი. ოდენ გიძლვენ, არ ვიცოდი თუ ქაჯეთს მოგვიხდებოდა საომრად წასვლა, თორემ არა გზით არ გიძლვნიდიო.“ მსმენელებს გაეცინათ, მოეწონათ ეგ ხუმრობა სხვაც ბევრი რამ იხუმრეს შეგობრებმა. მერმე ადგენ, დაეკაზმენ და წასასვლელად მოემზადენ. ის სამასი დარჩეულნი ვაჟკაცნი გაი-ყვეს, თითომ ასასი. ლამე იქ გაატარეს და ელოდენ განთიადსა.

გათენდა თუ არა, ცხენს დეზები ჰკრეს. შეიქმნა მათრახთა ტკრციალი, სამთავე სამს კარს მიმართეს და დაეცენ ვით შევარ-დენნი. მცველებს წაუხდათ მცველობა, — ვერ დაიჭირეს მცვე-ლები. ქაჯეთს ეწვია ლვთის რისხვა. იმდენი ჯარი გასწყვიტეს, ველი მკვდართა ვერ იტევდა. ტარიელის შემყრელი, მარტო შიშით ბნდებოდა.

ავთანდილი და ფრიდონი შიგნით ერთად შეიყარენ, ძლიერ გაეხარდათ და ერთმანეთი მოიკითხეს. მერმე სთქვეს:

„ტარიელი რა იქმნაო“ ბევრი ეძებეს და ვერსად ნახეს, ერთად  
წავიდენ და ციხის კარებს მიმართეს. იქ აბჯრის რიყე ნახეს,  
რომელიც ტარიელს დაელეწა. ათი ათასი მცველი უსულოდ  
ეყარენ. ციხის ბჭენიც დალეწილი იყვნენ... ტარიელის ნაქმნა-



„მკერდი მკერდსა შეეწება, გარდაეჭდო ყელი ყელსა.“ (გვერ. 71).

რია, აშას ცილი არ უნდაო, სთქვეს და გვირაბში შევიდენ. გაიარეს დიდი ხვრელი და თვალ-წინ წარმოუდგათ მშვენიერი სანახავი სურათი: ნახეს ტარიელი მოხვეოდა თავის მზესა. „მკერდი მკერდი შეეწება, გარდაეჭდო ყელი ყელსა“. სიხარულის ცრემლებს ლვრიდენ, შეყრილიყვენ მზე და მთვარე. კაცის თვალი უკეთეს ქვეყნად ვერას ნახავდა, ფრიდონი და ავთანდილი შედგენ და მზის უნახავს მორიდებით თაყვანი სცეს. ტურთამ მიიღო სალამი პირითა მოცინარითა, აკოცა ძმურად მშველელთა და მაღლობა მოახსენა. ბედნიერ ტარიელს ძმობილებმა გამარჯვება მიუღოცეს:

მერმე შეკრიბეს მხედრები, რომლებიც მათ თან იახლენ: სამას კაცისგან ას ორმოცი აღარ ჰყავდათ, დაეხოცათ ომში ქაჯებს. შემდეგ ქალაქი გაშინჯეს და დამალულნი ამოსწყვიტეს. იმოდენი ავლა-დიდება იპოვეს, ენა ვერ გამოსთქვამს. სამი ათასი აქლემი დატვირთეს მარტო მარგალიტით, იაგუნდით და ლალებით. ქაჯეთის ციხეში მცველები დასტოვეს, ქალი კიდოუ ბანში ჩასვეს და ამ გვარად წამოვიდენ კმაყოფილნი. თუმც გზა ეშორებოდათ, მაინც ზღვის სახელმწიფოს მიმართეს. ფატ-მანის ნახვაც უნდოდათ, რადგანაც დავალებული იყვნენ მისგან.

## XXI

ზღვის შეფისა და ფატმანის ნახვა გზაზე და ფრიდონის  
მისვლა.

ტარიელმა ზღვის მეტესთან კაცი გაგზავნა და მისწერა: ქაჯეთს ვიყავ, გავიმარჯვე, მოვდივარ და ჩემი მიჯნურიც თან მომყავს კიდობნითო. მოვდივართ და ნახვა თქვენი გვწადიან, ვითა მამისაო. ქაჯეთს სრულად თქვენ მრგიძლვნით, თქვენი ჯარი ჩააყენეთო. მე ვისწრაფი, თქვენთან ხლების დრო არა მაქვს და თვით მოგვეგებეთ, მობრძანდითო. ფატმანის ქმარსაც უბრძანეთ, გამოგზავნოს თავისი ცოლიო. მისი ნახვის მონატრეა ჩემი მზე, მისგან დავალებულიო.

ზღვათა მეფეს ძლიერ გაეხარდა, მოეგება ტარიელს გზაზე  
დიდი რაზმით და ფატმანიც თან იახლა. საძლვნოდ მრავალი  
მარგალიტი და ძვირფასი სტავრა წამოიღო. რა სცნეს მისი  
მობრძანება, სამნივე მიეგებენ; გაღმოხტენ და თაყვანი სცეს,  
სიყვარულით მოიკითხეს. მეფემა და მისმა მხლებლებმა ტარიელს  
ქება უთხრეს. ნესტან-დარეჯანის „შვენებამ მეფე კიდევ უფრო  
გააკვირვა. ფატმანიც მოეხვია მას, გადაჰკოცნა და სიხარულის  
ცრემლით მოიკითხა. ნესტან-დარეჯანიც ეხვეოდა, ჰკოცნიდა  
და მადლს უხდიდა.

ზღვათა მეფემ დიდი ლხინი გაუმართა ძვირფას სტუმრებს.  
შვიდ დღეს არ გაუშვა, აღხინა და აქეითა. ქაჯეთის წყალო-  
ბისთვის ტარიელს მაღლობა მოახსენა და იაგუნდისა და ოქროს  
ტახტი მიართვა. ნესტან-დარეჯანს მიუძლვნა ერთი ძვირფასი  
ყაბაჩა (¹), რომელიც შემკული იყო ლალითა და წითელი  
იაგუნდით. ფრიდონსა და აჭთანდილსაც თითო შეკაზმული  
ცხენი და თითო ძვირფასი თვლებით შემკული კაბა მიართვა.

ტარიელმა ზღვათა მეფეს დიდი მაღლობა შესწირა და  
ბოდიში მოიხადა, რომ გასაჯა და თვითონ შინ ვერ იახლა. მერმე  
გემი სთხოვა და წამოსვლა დააპირა. მეფემ ტარიელს  
ტკბილი სიტყვით მოახსენა: „ხელმწიფეო, ლომო-ქველო,  
მშვენიერო სანახავო! მე მის ფასისა რა გიძლვენ, რაც რომ  
ნახვით გავიჩარეო.“ მერმე ბრძანა ხომალდის მომზადება, გა-  
აცილა ძვირფასი სტუმრები და კოცნით გამოეთხოვა. ფატმანიც  
ნესტან-დარეჯანს ეხვეოდა და ჰკოცნიდა. გაყრა ეძნელებოდათ  
და ბევრი ცრემლი აფრქვიეს. ტარიელმა უთხრა ფატმანს, დღეის  
შემდეგ და ხარ ჩემიო. რაც შენ სიკეთე მიყავი, მისი გადახდა  
არ ძალმიძსო. მერმე სულ ერთიანად უძლვნა ის საუნჯე, რაც  
ქაჯეთიდან მოჰკონდა.

ამას შემდეგ მხიარულად წამოვიდენ მოგზაურნი. ტურფა  
კიდობანში უჯდათ და ყველანი მას შეჰაროდენ. ასმათს წინ

¹) ქათიბის მსგავსი ზევიდან ჩასაცმელი.

და წინ კაცი გაუგზავნეს და ახარეს, მშვიდობით მოვდივართო. შეიძრა მისი საბრძანებელი და მეფეს ხალხი წინ მიეგება. ვეზი-რებმა და დიდებულებმა თაყვანი სცეს და მიულოცეს. ხალხის ტევა აღარ იყო, იძახოდენ: „ვაშა! ვაშა!“ ასმათის სიხარულს ხომ საზღვარი აღარ ჰქონდა.

გაზრდილი რომ ნახა, გულში ჩაიკრა და მოშორება აღარ უნდოდა. ნესტან-დარეჯანიც მოეხვია თავის გამზრდელს და ცრემლსა ღვრიდა.

ფრიდონ მეფეს მოაგონდა ქაჯეთში დახოცილი ჯარი. ცრემლით აქო დახოცილნი და ხალხს უთხრა სამძიმარი. რა ნახეს მეფის ცრემლები, ხალხიც შესწუხდა და ატირდა: „ნულარ გლოვობ, ხელმწიფეო!“ — მოახსენა მეფეს ხალხმა, — „თქვენთვის სიკვდილი არ გვიმძიმს, სიცოცხლისაცა მჯობიაო“.

ამას შემდეგ შევიდენ მულლაზანზარის ქალაქში. სცემდენ ბუკა და ტაბლაკა, გაპეთა ზათქი და ზარი. ხალხი მოაწყდა საცერათ, ვერ იჭერდა დიდი ჯარი. სასახლეში რომ ჩამოხდენ, წინ უფენდენ ოქსინოსა.

## XXII

### ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის დაქორწინება ფრიდონისას.

ფრიდონ მეფემ ქალ-ვაჟისთვის მშვენიერი ტახტი დასდგა; თვალ-მარგალიტით შეამკო, ორნივე ზედ დასვა და ისეთი ქორწინება გაუმართა, როგორც ეკადრებოდათ. ლხინი თამაში და სიმღერა რვა დღეს არ შემწყდარა. ქალ-ვაჟი ისე შვენოდენ, ვით შეყრილი მზე და მთვარე. ფრიდონმა გახსნა საჭურჭლე და არ დაუზოგავს საჩუქარი. ახლად დაქორწინებულებს ცხრა მარგალიტი მიართვა, ბატის კვერცხის ოდენა. ერთი თვალიც ისეთი საკვირველი უძღვნა, რომელიც ღამით მზესავით ბრწყინავდა. ავთანდილსაც უძღვნა ფრიდონმა ტაბაკით მარგალიტი. სტავრა

იმდენი გაიცა, ანგარიში არა ჰქონდა. ტარიელმა ფრიდონს დიდი მაღლობა მოახსენა ამ სიტყვებით: „არ გეშურების სიცოცხლე, არცა გაცემა სულისა, მე თქვენგან ვპოვე მოკვდავმან წამალი ჩემის წყლულისაო“.

როცა ქორწილი გათავდა და წამოსვლის დრო იყო, ტარიელმა მოციქულობა გამართა ავთანდილთან. მოციქულად თვით ფრიდონი მიუგზავნა. შეუთვალა: ვინ გადიხდის, ძმარ, შენსა ჭირნახულსაო. აწ მითხარ ჩემგან რა გინდა, ანუ რით მოგეხმარებიო? გირჩევ, წავიდეთ არაბეთს, როსტევან მეფეს ვემუდარები: თუ შენ შენს მიჯნურს არ შეგრთავს, მე ჩემსას არ ვექმარებიო. ავთანდილს გაეცინა და შეუთვალა: „მე მშველელი რაში მინდა? განა ქაჯთა ჰყავთ ჩემი მზე! ტახტსა ზედა ზის მორჭმულიო“. ფრიდონს უთხრა, მოახსენე: „მადლი რად უნდა, მეფეო! ვარ მუცლიდგანვე დედისა თქვენად სამონად შობილიო. ღმერთმა ავთანდილი მიწა ჰყოს, თუ მეფედ არ გყო ცნობილიო. ჯერ წავიდეთ ინდოეთში, მტერნი თქვენნი ამოვსწყვიტოთ. მინდა გნახო ტახტსა ზედა შენ და შენი მზე მჯდომარეო. მაშინდა მივაღ არაბეთს და ვნახავ ჩემსა მზესაო!!“ ტარიელი არ დათანხმდა და გადაჭრილი უარი უთხრა.

ფრიდონ მეფემ წაიყვანა საუკეთესო მოყმენი და თან წაჰყვა ავთანდილსა და ტარიელს. ჯერ წავიდენ ქვაბთა შინა, სადაც წინეთ ტარიელი სცხოვრობდა. გზაზე ხუმრობით, სიცილითა და სიძლერით მიღიოდენ. ქვაბში რომ მიაღწიეს, ჩამოხტენ, პური სჭამეს და დაისვენეს. რაც დევთა დარჩენილი საუნჯვ აქ იყო, ტარიელმა ფრიდონს უძღვნა. მისი მოყმენიც, ვინც იქ იყვნენ მოწყალებით გაამდიდრა. ფრიდონმა და მისმა ყმებმა თაყვანი სცეს და დიდი მაღლობა გამოუცხადეს. მერმე მე-ფემ ყმებს უბრძანა, აქლემები მოასხით და ეს საუნჯვ გაზიდეთ და გადიტანეთო. მეორე დღეს ყველა ერთად არაბეთში გაემგზავრენ. არაბეთში რომ შევიდენ, იქ მრავალი ციხე ნახეს; მშვენივრად გაშენებული სოფლები. მნახველის თვალს იტაცებდა. ტარიელმა როსტევანს კაცის პირით შეუთვალა:

„მოვდივარ მეფე ინდოთა დარბაზსა თქვენსა სამეფოს. პირველ მნახეთ, გამიწყერით და შეპყრობა მომინდომეთ, მეც ვიწყინ და დავხოცე თქვენი მონები მრავალიო. აწ მოვალ თქვენსა წინაშე, შემინდეთ შეცოდებანიო, ჟღვენი არა გვაქვს, გვმოწმობენ ფრიდონ და მისი ყმანიო. მხოლოდ ქლვნათ თქვენი ავთანდილი მე თქვენთვის მომიუჯანიაო“. როსტევანს რომ ეს ამბავი მოუვიდა, მეტის-მეტად გაეხარდა და შესაყრელად წავიდა. თან იახლა ლაშქარი, მოყმენი და დიდებულნი. როცა ავთანდილმა გაიგო მეფის მოახლოვება, ტარიელს მოახსენა, ვერ შევხვდები, მრცვენიანო. შენ და ფრიდონ მიეგებეთ და, რასაც მიზამთ, თქვენ იცითო. ტარიელმა მოუწონა თავის ძმობილს ესეთი კრძალვა და უთხრა, ნუ წამოხვალ, დარჩიო, მე და ფრიდონ წავალთ და მივეგებებითო.

ქალი ჩამოსვეს კილობნიდან და იქ კარავი დაუდგეს; ავთანდილიც იქვე დარჩა. ფრიდონ და ტარიელ წავიდენ და მიეგებენ როსტევანს. როცა მიუახლოვდენ, გადმოხტენ, თაყვანი სცეს მოხუცებულ მეფეს და მოწიწებით სალაში მოახსენეს. მეფე მოეხვია ფრიდონსა და ტარიელს და გადაჭრუნა, როგორც შვილები. მერმე აქო ტარიელი, მოუწონა თვალადობა.

ტარიელმა მოწიწებით მოახსენა შეფეს:

, მიგვირს, თუ ეგრე სიკეთე თქვენ ჩემი რად გეგონების,

რადგან აეთანდიდ შენია, სხვა რად ვინ მოგეწონების—“.

მისი უნახაობა და არ მოსვლა ნუ გიკვირსთო, უთხრა, მოდით და მწვანეზე დავსხდეთ, მე მოგახსენებთ ამის მიზეზსაო, მაგრამ თან გეაჯებით, ჯერ ფარმანი მიბოძეთო.

დასხდენ ერთად მწვანე კორდზე და რაზმიც გარს შემოადგათ. ტარიელმა ჰკადრა მეფეს ზრდილობით და ბრძნულის სიტყვით: თქვენთა უყვართ ერთმანეთი, ქალი მას და იგი ქალსო. მით ვიგონებ საბრალოსა, მტირალსა და ფერ-ნამკრთალსაო. მუხლო-მოყრილი გეაჯები, ნულარ აწვევ. იმათ ალსაო. მიეც იმას ქალი თქვენი, მკლავს მაგარსა, გულ-ფიქალსაო. ესე

სოქვა, ადგა, მეფის წინ მუხლი მოიყარა, ხელ-მანდილიც ყელზე მოინასკვა და ეხვეწებოდა, ვით გამზრდელს. ტარიელი რომ მუხლ-მოყრილი ნახა, მეფე ძლიერ შეძრწუნდა, თაყვანი სცა და მოახსენა: „რასა ვხედავ, ხელმწიფეო! გინდ გინდოდესთ ქალი ჩემი სასიკვდილოთ ანუ ტყვეთ, არცა მაშინ და-ვიშურებ, დამერწმუნეთ, თქვენთვის მასო. მე სიძესა ავთანდილზე უკეთესსა სად ვიშოვნი. ქალი ჩემი თვით მეფედ ზის, და-მითმია ტახტი მისთვის. ვინცა სურდეს, ის შეირთოს, უარი ჩემგან როგორ ეთქმის. ავთანდილი ხომ მეც მიყვარს, ღმერთმა იცის, მისთვის ვკვდებიო.“ ტარიელს ძლიერ გაეხარდა, ადგა, მეფეს თაყვანი სცა და მაღლობა მოახსენა.

ფრიდონი ავთანდილთან მახარობლად გაექანა. ამ ამბის უკეთეს კიდევ სცნობდა ავთანდილი განა! საჩქაროდ წამოვიდა ბედნიერი და გამზრდელ მეფეს ფეხ ქვეშ დაუვარდა. მაგრამ რცხვენოდა და ხელ-მანდილით პირის სახეს იფარავდა. როსტევანმა ააყენა, მოეხვია და გადაჰკოცნა. თან უბრძანა: „ნულარ ირცხვი, მალე შეგყრი შენსა მზესო“.

ავთანდილმა მოახსენა თავის გამზრდელ როსტევანს, დროა ნახოთ, მოიწვიოთ, მიგელისთ მზის-უნახავიო. ადგენ ყველანი. ცხენებზე შესხდენ და კარავისაკენ გაეშურენ. როცა მივიდენ, მეფე ჩამობრძანდა ცხენიდან და ნესტან-დარეჯანს სალამი მისცა. ნესტან-დარეჯანიც მიეგება მეფეს და, როგორც მამას, უამბორა. ტურფამ გააკვირვა სილამაზით ყველა მეფის მხლებელნი. როსტევანმაც აქო ქალი და შეამკო. მერმე ყველანი მიიწვია და სასახლეში წაიყვანა.

თინათინი სასახლეში ტახტზე იჯდა.. სკიპტრა, გვირგვინი და პორფირი მეტის-მეტად უხდებოდა. მისულებს პირს მიადგათ მის სახის ელვა. გაჰკვირდენ, თაყვანი სცეს და ჭება მოახსენეს. თინათინიც ტახტიდან ჩამობრძანდა სასალმოდ, ნესტან-დარეჯანს მოეხვია და აკოცა. ამ ორი მზის ერთად შეყრამ დედა-მიწა გაანათა. მოიკითხეს ერთმანეთი და საყვარლად ისაუბრეს. მერმე წამოდგენ ცოლ-ქმარნი, თინათინს ხელი

მოჰკიდეს, ტახტზე დასვეს და ავთანდილიც გვერდს მოისვეს. მათი ერთად ყოფნა ყოველ სანახავსა სჯობდა. შერცხვა, გაწითლდა თინათინ და დაუწყო გულმა ხტომა. მამამ უთხრა, ნუ ირცხვიო, აღვა და ქალ-ვაჟი ასე დალოცა:

„ამ, შეილნო, ღმერთმან თქვენ მოგცეთ ათას წელ დღეთა გრძელობა; სვესვიანობა, დიდობა, კვლავ ჭირთა გარდუხდელობა, ცამცა ნუ შეგცვლით, მოგვედებისთ თვით მისებრ შეუცვლელობა, თქვენით ხელითა მეღირსოს მიწათა შემომურელობა“.

მერმე ბრძანა როსტევანმა ავთანდილის თაყვანება: „ეს არისო მეფე თქვენი, ასრე იქმნა ლვთისა ნება. ჩემდა სწორად ემსახურეთ, დაიჭირეთ ჩემი მცნებაო“, უთხრა ლაშქარს. ლაშქარნი დიდებულნიც წამოდგენ და მდაბლათ თაყვანი სცეს. ყველას ძლიერ გაეხარდა მისი გამეფება. ტარიელმა თინათინს მოახსენა: „მიხარია, რომ შეგყარეთ, ალარა ვწვავთ ცეცხლის დებაო. ქმარი შენი ძმა ჩემი, მწარი აგრეთვე შენი დობაო“.

### XXIII

#### ავთანდილისა და თინათინის დაქორწინება

ამას შემდეგ ავთანდილი და თინათინი დიდი ამბით დაქორწინდენ და დაბრძანდენ ოქროს. ტახტზე. ძმად იყო ტარიელ და დობილად მისი ცოლი. ქორწილი გადაიხადეს გამოუთქმელი ენითა. ძროხა და ცხვარი სანადიმოთ უთვალავი დახოცეს. გაიმართა სმა და ჭამა და გაისმა საკრავთა ხმა. მსმელთათვის წყარო ლვინისა, ვითა შილი, ისე სდიოდა. ჭიქებს ლალისას: ხმარობდენ, ჯამებსაც იაგუნდისას. ბინდიდან დაწყებული ცისკრამდის სმას არა სწყვეტდენ. ტაშკვრელნი და მომღერალნი მსმენელთ ყურს უტკბობდენ. აუარებელი. ძვირფასი საჩუქრები გასცეს.

მეორე დღეს ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს უმასპინძლა როსტევანმა და ცალკე ტახტი დაუდგა. დედოფალი და ავთანდილი ქეშად დასხდენ მათდა სწორად; ფრიდონიც გვერ-

დით მოუსვა მათ, როგორც მეფე თანასწორი. ინდოთა მეფე-  
დედოფალს მიართვეს დიდი ძლვენი: თითო სკიპტრა, პორ-  
ფირი და გვირგვინი, ძვირფასის თვლებით შემკულნი, — ათასი  
ძვირფასი თვალი, ათასი დიდრონი მარგალიტი, ვით ბატის  
კვერცხი, და ათასი ცხენი, მსგავსი რაშისა. ფრიდონს უძღვნა  
ცხრა ტაბაკი, მარგალიტით ავსებული, და ცხრა შეკაზმული  
ძვირფასი ტაიჭი: ფრიდონ და ტარიელი ორნივე ძლიერ მა-  
დლიერნი დარჩენ და პურად მასპინძელს თაყვანის სცეს და  
მადლობა მოახსენეს.

მთელი თვე ერთად იყვნენ, ლხინობდენ და დროს ატა-  
რებდენ. ერთი თვე რომ გავიდა, ტარიელმა როსტევანს ავ-  
თანდილი მიუგზავნა და შეუთვალა, ნება დამრთეთ, შინ გიახ-  
ლოთ, რადგან დროა წასვლისაო. როსტევანმა მოახსენა, ნუ  
ბოდიშობთ, რაც გიჯობდესთ, ის ჰქმენითო. ავთანტილიც გი-  
ახლებათ, წადით ლაშქრით დიდითაო. ავთანდილმა მიუტანა  
ტარიელს ეგამბავი და თითონაც სთხოვა, წამიტანე, გიახლე-  
ბიო. ტარიელმა უარი უთხრა, გაუცინა, მოახსენა: „ახალ შეუ-  
რილ მთვარეს, მზეო, ვით მოშორდებიო“.

ავთანდილმა უპასუხა, მაგით ფიქრობ მოტყუებასაო. გინ-  
დათ წახვიდეთ, მიძრახოთ, ცოლი უყვარს ვერ შორდებაო. ტა-  
რიელსაც გაეცინა და მიუგო: „წამყე, რადგან თქვენი სურვი-  
ლია, მხოლოდ ცილსა ნუ დამწამებ, ნუ ინებებთ მაგის თქმასო“..

ამას შემდეგ ავთანდილმა გამოიწვია ლაშქარი და ოთხ-  
მოცი ათასი დარჩეული ცხენოსანი კაცი იახლა. ტარიელიც  
მზად იყო ინდოეთში წასასვლელად. მეფე როსტევან დალო-  
ნდა, ტირილით გამოეთხოვა. ორივე მზის-უნახავებიც მოეხვი-  
ენ ერთმანეთს, მკერდითა. მკერდისა მიეკრენ, ყელითა გარ-  
დაჭრობილნი, ატირდენ, ცრემლს აფრქვევდენ. და მცქე-  
რალნიც აატირეს. კვლავ აკოცეს ერთმანეთსა, ტუჩი ტუჩია  
შეაწებეს. გაშორდენ და ალთქმა დასდვეს წიგნის წერით მოგო-  
ნებისა. წამსვლელნი და დარჩენილნი დიდხანს უცქეროდენ  
ერთმანეთს. ეძნელებოდათ გაყრა და თვალს ჭელარ აშორებდენ.

სამი გმირი გაემართა ინდოეთისკენ. მხიარულნი მიღი-  
ოდენ და გზაზე მინდვრათ ისვენებდენ. პურს სჭამდენ, ლვი-  
ნოს სმიდენ, მომლერალნი იმლეროდენ. ინდოეთში რომ შე-  
ვიდენ, მცხოვრებლები თავის ნებით მოეგებენ ტარიელს,  
თაყვანი სცეს და იპატრონეს. ბუკა ჰკრეს და იძახოდენ:  
„ესეა მეფე ჩვენი“. გამეფდა ტარიელი და შვიდი ტახტი ჩა-  
იბარა: ამ გვარად მის აუსრულდა ყველა თავისი წადილი და  
დაივიწყა ბერნიერმა გამოვლილი განსაცდელი.

ავთანდილისა და ფრიდონისათვის ორი ტახტი დაამზადა;  
დასვა ორივე ხელმწიფურად და ნადიმი გადაიხადა. გაიმართა  
სმა და ჭამა, სიმლერა და მხიარულება. ავთანდილს და ფრი-  
დონ მეფეს ინდოელნი თაყვანს სცემდენ. ტარიელის შველი-  
სათვის აქებდენ და მადლს სწირავდენ.

ლხინის ღროს მოიხმო მეფემ ასმათი, მისთვის თავდადე-  
ბული, და უთხრა: „რაცა შენ ჰქმენ, არ უქნია არც გამზრ-  
დელსა, არც გაზრდილსაო,“ და ინდოეთში ცრთი პატარა სა-  
მეფო უბომა. ვინც გწადდეს, ქმრად შეირთეო, სამეფოს ეპა-  
ტრონე და გვმსახურებდე ერთგულადო. ქალმა ფეხი გადუ-  
კოცნა, თაყვანი სცა, დიდი მადლობა შესწირა და სიკვდი-  
ლამდის ერთგულობა აღუთქვა.

ავთანდილ, ფრიდონ და ტარიელ ცოტა ხანს ერთად  
იყვნენ, ილხენდენ და თამაშობდენ. მიუდიოდათ ძლვენი—ხან  
მარგალიტი ლარიბი და ხან საუკეთესო ცხენები. ბოლოს  
ავთანდილს მოწყენილობა დაეტყო. ტარიელმა შეამჩნია, რომ  
ცოლთან ეშურებოდა და აღარ დაიჭირა ძმბილი, თუმცა,  
გაყრა ეძნელებოდა. როსტევანს მრავალ-გვარი საჩუქრები გა-  
უგზავნა. მისმა ცოლმა თინათინს გაუგზავნა ყაბაჩა, ერთი რიდე  
და ერთიც ისეთი ძვირფასი თვალი, რომ ერთი კაცი ძლივს  
ზიდავდა. ავთანდილ და ფრიდონ ერთად წამოვიდენ. ტარი-  
ელმა ორივე ძვირფასი სტუმრები დიდი ამბით გამოაცილა.

ფრიდონ და ავთანდილ ჯერ ერთად მიღიოდენ, მაგრამ  
მერმე გაიყარენ და სხვა და სხვა გზაზე წავიდენ. ავთანდილი

თავის ლაშქრით არაბეთში გაემგზავრა. გამზრდელი და დედოფალი მხიარულად მიეგებენ ჯარებით.

ამას შემდეგ სამივე ხელმწიფე: ავთანდილი, ფრიდონ და ტარიელი სიკვდილამდის ისე იყვნენ, როგორც ძმები. მეფობდენ და ისე განაგებდენ თავიანთ სახელმწიფოს, როგორც ბრძენნი. მათი ხალხიც ბელნიერათ სცხოვრობდა. როცა მტერი რომელსამე მათ სახელმწიფოს მოადგებოდა, ერთმანეთს შველოდენ და შეერთებულის ძალით სძლევდენ. ამ გვარათ მათი ერთობა, სიყვარული, მეგობრობა და განუწყვეტელი კავშირი სამაგალითოდ დარჩენ ქვეყნისათვის.

894.63

n 724



554.65  
n 26-7

ଓବ୍ରାଶ କ୍ଷେତ୍ର ପାଞ୍ଜଳି.

ଫ୍ଲେଟାଇବି.

ଫାର୍ମ. ପାଞ୍ଜଳି. ପାଞ୍ଜଳି. ପାଞ୍ଜଳି. ପାଞ୍ଜଳି.  
1914. ୩